




# ქართული ბიბლიოთეკა



1926-1930



1990



2008-

2  
2009

# ქართული ბიბლიოთეკა

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია  
1926 წელს

აღდგენილია  
1990 წელს

განახლებულია  
2008 წელს

**2**

მარტი

**2009**

აკრილი

**რედაქტორი**

ლევან ბრეგაძე

**სარედაქციო ჯგუფი**

მაია კუდავა  
ნინო მინიშვილი  
პაატა ნაცვლიშვილი  
მეგი ობოლაშვილი  
ნინო ყულოშვილი  
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:  
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

F/2017

**პოეზია**

ქეთევან ნიჟარაძე. ლექსები **5**

**მსატკრული პროზა**

ჯემალ მესრიშვილი. სულელი ქმარი ბურუსიდან **8**

**ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა**

რეზო ადამია. ტრაპიზონული დღიურიდან **33**

**ასალი თარგმანები**

იოჰან ვოლფგანგ გოეთე. სცენები „ფაუსტიდან“  
(თარგმანი დავით წერეთლისა) **41**

პოლ რეზუ, შარლ მიულერი. ყელსაბამი  
(თარგმანი ლია დარაშვილისა) **52**

**ინტერპრეტაცია**

გიორგი გოგოლაშვილი. სულიკო – უკვდავი სული  
საქართველოსა **60**

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## სელოვნება

- 64** ვალენტინა (ვალია) ხაზალია. აღიარების დიდი გზა –  
ნიკო ფიროსმანი
- 74** იური სტამატელი. სატირული გრაფიკა

## ნიშნები

- 78** „არტანუჯი“ გთავაზობთ
- 79** „ინტელექტი“ გთავაზობთ



პოეზია

ქეთევან ნიჭარაძე  
ქვიშის სამკაულები




უდაბნოს მკერდზე  
მორიალე  
ათასი ქარი  
თავის პირმშოებს არასოდეს არაფერს ავნებს –  
ეხება მხოლოდ იშვიათად მავალ ქარავენებს,  
უყვითლეს მტვერს და  
მორიელებს  
ფენებად აყრის –  
ოაზისამდე გზა სანამდე გაიკვალება,  
უდაბნო ქვიშის სამკაულებს იკრავს რკალეზად.

\*\*\*

მეტრონომივით  
მონოტონური  
წუთების მუქლურჯ დღეთა რხევაში  
ისე გამოჩნდი, როგორც მუდმივი  
ერთგვაროვნების მკაცრი რევეანი,  
როგორც ფანქარი  
თავზე საშლელით,  
როგორც შეხვედრა  
ვნებისაშლელი,  
ვფიქრობდი, იმ ძველ კვალს გადაშლიდი,  
სულ სხვაგვარ სახეს დამიხატავდი  
და მოწყდებოდა ბედნიერება  
ხიდან ვაშლივით . . .

ვცდებოდი, თურმე,  
ცრუობდი, თურმე.  
და არც ცრუობდი, სიმართლე რომ ვთქვა.  
არც კი ცდილობდი,  
გეთქვა ტყუილი,  
მაცოცხლებელი ვნებით რომ სუნთქავს.

ვინანე ოცნება,  
ვინანე შეხვედრა,



ინანეს კოცნებმა,  
 სინანულს შეხედა  
 ჩუმად გაოცებამ . . .  
 და ამ სინანულმა შენთან ვერ მობედა.  
 უცხო გულგრილობას აქ შეხვდა სითბო და  
 არავინ იცოდა, სითბო რას იქმნოდა,  
 რომ არა უაზრო, ფუჭი გულცივობა  
 და უსასტიკესი სვლა – ბედთან ცილობა . . .  
 ვცდებოდი, თურმე,  
 ცრუობდი, თურმე.  
 და არც ცრუობდი, სიმართლე რომ ვთქვა.  
 არც კი ცდილობდი,  
 გეთქვა ტყუილი,  
 მაცოცხლებელი ვენებით რომ სუნთქავს.

### ტყემალი


ტყემალს –  
 ასე უღვთოდ მჟავეს,  
 ალბათ, უკვირს თავადაც,  
 რატომაა  
 ვარდისფერი გაზაფხულის თამადა.  
 აპრილის და  
 ლექსის წვიმა არა და არ მოთავდა,  
 როცა ირგვლივ  
 ყველას ნაცვლად ტყემლის ტოტი შფოთავდა.  
 ერთიანად გაიწუნა  
 იმ სტროფებით მთანმინდა,  
 მერე ნაცნობ ტყემლის ყვავილს  
 ისევ შემოაწვიმდა.  
 როცა  
 ველურ სითეთრეში იპარება სიმწკლარტე –  
 თითქოს ფრთებზე  
 ბუღბუღები ისველებენ ნისკარტებს...  
 ტყემალს –  
 ასე უღვთოდ მჟავეს,  
 ალბათ, უკვირს თავადაც.  
 რატომაა  
 ვარდისფერი გაზაფხულის თამადა.

\*\*\*

მე მართლა გხედავ – თითქოს სულ ახლოს,  
თუმცა შენთან თოვს და ჩემთან კი მზეა,  
გთხოვ, ამ სივრცეებს ხელი არ ახლო,  
თორემ სინათლე ნგრევის პირზეა . . .  
მე ჩემს სურვილებს ამ თხოვნას ვარჩევ –  
არ შეამოკლო დრო და მანძილი,  
გაზაფხულამდე ლექსებში დარჩე,  
შენც შემინახო სიტყვა განძივით...  
და ეს თხოვნები ჩვენ გვექცა სახლად,  
შენ იტან ზამთარს, მე ველი წვიმას  
და ისე ვნატრობთ ერთმანეთს ახლა,  
როგორც სიყვარულს ვნატრობდით წინათ...

### პრემიერის დღე

მიიწურება პრემიერის  
დღე ასფიქსიით,  
დეკორაცია რჩება სცენას –  
მარტო, სფინქსივით.  
ერთმა სცენარმა ხან გვაცინა,  
ხანაც გვატირა,  
გამოგვივიდა დრამის ნაცვლად  
მხოლოდ სატირა.  
პერსონაჟებთან შერიგებას  
მაინც ვცდილობდით,  
არ ვერთობოდით გარდაუვალ  
ბედთან ცილობით,  
როცა ვარჩიეთ გაჩერება  
და არ გავრისკეთ,  
ბოლო იმედი გავაცილეთ  
ღია კარისკენ,  
და მოქმედებებს შორის ასე  
გადაღლილები,  
ახლალა ვიკრავთ მახსოვრობას  
აზრის ღილებით...  
აი, დასრულდა პრემიერის  
დღე ასფიქსიით  
და რეკვიზიტი შერჩა სცენას –  
მარტო, სფინქსივით.






## მხატვრული პროზა

ჯემალ მეხრიშვილი

### სულელი ქმარი ბურუსიდან



196... წელს ერთ-ერთი დიდი, როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე, ყველაზე პრესტიჟული დაწესებულების წამყვანი განყოფილების გამგე გავხდი. ოცდაცხრა წლისამ ამას სხვისი მფარველობის გარეშე, საკუთარი ნიჭითა და მუყაითობით მივალწიე. ეს იმ დროისთვის ზღაპრულ წარმატებად ითვლებოდა. როგორც წესი, ახალთახალი, შავი „ვოლგა“ მემსახურებოდა. შოფრად მყავდა ერთი ავლაბრელი სომეხი, არტემ მცაკანიანი – კაცი წესიერი, დუმილის მოყვარული და გულთმისანი: არამარტო იმას, თუ რას ვფიქრობდი, არამედ რა უნდა მეფიქრა, ხშირად იმასაც კი ხვდებოდა ხოლმე!

მაშინ მარტოხელა ცხოვრებას ვენეოდი და ჩვენი დანარჩენი მუშაკებისგან განსხვავებით, არტემს არანაირ პირად დავალებებს არ ვადლევი. ამიტომ სამსახურებრივი საქმე თუ კაცური ურთიერთობა საათივით გვექონდა აწყობილი და ერთმანეთს ყველაფერს უსიტყვოდაც ვუგებდით. მაგრამ იმ სვეკრულს მოულოდნელად საშინელი უბედურება მოევლინა: სახინკლესი ატეხილი აყალმაყალისას ვიღაც გარენრებმა ერთადერთი ვაჟიშვილი ბეჭუთით მოუკლეს და უგემოდ ჩაქვესკენლდნენ.

სანყალ მამას შვილი ჯერ არ გასციებოდა საფლავში, ახლა მეორე უბედურება დაატყდა თავს. რუსის რძალმა მამამთილის არანაირი ხვეწნა-მუდარა და მაცდური დაპირებები ახლოსაც არ გაიკარა, არც ქმრის ორმოცამდე მოიცადა: ერთ დღეს მოუსვა ხელი სამივე შვილს – ორ გოგონას, ერთ ბიჭუნას – და სამუდამო საცხოვრებლად თავის მშობლიურ უფაში გაფრინდა. ქალაქში, სადაც თავის დროზე არტემის ვაჟს, კარაპეტას სამხედროში ყოფნისას ცეკვებზე შემთხვევით გაეცნო და თავდავიწყებამდე შეჰყვარებოდა ეს მონღოლურად ირიბჭრილიანი თვალის პატრონი, ხასიათმოუტყველი ქერა ალქაჯი.

მალე თვით უცაბედად დაბერებულ მამასაც დაეტყო გასაკვირი ცვლილება. სულს აქეთ რაც რამ ებადა, ცამონმენდილზე ყველაფერი მიყიდ-მოყიდა და თავის ისტორიულ სამშობლოში, სომხეთში ნაბარგება გადაწვიტა. „ჩაყალ, ჯერ მოვენყოიბი და მერე ვნახოთ, – გამანდო თავისი ნაფიქრი, – იქნება ეს უბედურებიც (ცოლი ადრევე გარდაცვლოდა) იქ, ჩემთან გადავასვენო... რა ვქნა, ჯუმბერჯან, ვერე მკარნახობს ჩემი ღმერთი!“

სადგურამდე მეც გავაცილე. მატარებლის გასვლის წინ ორთავეს მოგვერია ცრემლი.

\*\*\*

მეორე დღესვე დამინიშნეს ახალი შოფერი, ომა. რაკი მანამდე სათადარიგოდ მუშაობდა, გაკვრით ვიცნობდი კიდევც. წარმოშობით მთიელი იყო თუ მთიელად მოჰქონდა თავი, კარგად აღარ მახსოვდა. ჩემზე შვიდიოდე წლით თუ იქნებოდა უფროსი. მაღალი იყო, ჰუსარუ-



ლულვაშებიანი და სიტყვამრავალი. ჩვენი მანდილოსნები ხუმრობით ერმიტაჟს ეძახდნენ, რადგან როცა ავტომობილის წმენდისას პერანგს გაიხდიდა – ის კი პერანგს ხშირად მაშინაც კი იხდიდა, როცა ამის აუცილებლობა მაინცდამაინც არ იყო ხოლმე – სიყვარულის თემებზე შესრულებული სვირინგებით აჭრელებული, მოხდენილი მხარ-მკლავი მოუჩანდა.

ახალ შოფერს ერთი თავისებურება სჭირდა. ჩემი ნებისმიერი საქმიანი დავალების შესრულებას აღიქვამდა არა როგორც თავის სამსახურებრივ მოვალეობას, არამედ საკუთარი სურვილით ჩემდამი გამოჩენილ რაღაც უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების დადასტურებას. „რაზეა ლაპარაკი – მოგიკვდეს ჩემი თავი, ახლავე!.. მაგაზე დაგზარდები?! შენი გულისთვის მაგ კონვერტს მინისტრთა საბჭოში კი არა, თუგინდ ჯოჯოხეთში წავიღებ!.. მე ყველანაირ გაგებასა და კაცობაში...“

\*\*\*

ოქტომბრის პირველ პარასკევს, საღამოს რვა საათსა და ოცდასამ წუთზე შეფმა თავისთან გამომიძახა. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში რაღაც შეუფერებელი ინციდენტი მომხდარიყო და ამის სასწრაფო შემოწმება მე დამავალა.

– მთელი საქალაქო კომიტეტი შაბათ-კვირას თქვენს განკარგულებაში იქნება. თუმც მათთვის არ მითქვამს, ჩვენ რა გვიანტერესებს! მაშ, ხვალე გაემგზავრეთ და საქმის შესწავლას, გნებავთ, სამი საათი მოანდომეთ, გნებავთ – სამი დღე. ოღონდ მოხსენებითი ბარათი სამშაბათ დილით, თერთმეტი საათისთვის მაგიდაზე უნდა მედოს! გასაგებია?

– დიახ!

კაბინეტში დაბრუნებისთანავე პირად მდივანს ომას გამოძახება დავავეალე. ისიც უმალ გამოცხადდა, ოღონდ უჩვეულოდ აღელვებულ-აფორიაქებული. მე არც კი დამანება, თვითონ დაიწყო არეული ლაპარაკი.

– ო, უფროსო, რომც არ... მე მაინც უნდა ამოვსულიყავი!.. უცბად ისეთი საქმე გაიჩითა... უნდა მიშველო!

– რა მოხდა?.. დაჯექი.

სკამზე ფორიაქით დაეშვა.

– ხვალ ქორნილში ვარ დაპატივებული!


– ქორნილში?! ხვალ ქუთაისში რომ ვართ წასასვლელები?! – მიეუფე და გულწრფელად მოეუყვი ნელან შეფთან შეხვედრის წვრილმანები.


– ვაახ! – გამწარებით ამოიოხრა, – ხვალ ბიძაშვილს ერთადერთი ვაჟის ქორნილი ჰქონია და რო არ წავიდე, სანათესაოდან ამოსარცხი გავხდები!..

– კეთილი, – ვუთხარი მცირე ფიქრის შემდეგ, – რახან ასეა, ნადი ქორნილში, მე კი მატარებლით ან ავტობუსით გავემგზავრები.

– ეგ რა მითხარი, უფროსო! – დამდურულივით ნამომიხტა სკამიდან, – მაშინ მოგიკვდეს ჩემი თავი, თუ... თან ქორნილში შენცა ხარ დაპატივებული!

– მე... ეეეც?!





– ჰო, რა გაგიკვირდა! ბიძაშვილს დაუბარებია, აქ მარტოკა არ მომადგე, უეჭველად შენი უფროსიც დამიბატოტეო!

– არა, მართლა წამოვიდოდი, იქ რომ არ...

ატაცებელი ომა არც მისმენდა.

– ჯიხვის მწვადებზე ვიპურმარილებო!.. გათენებისას ორიოდ საათით წაუფიხნებო... მერე კი ჯიხვის რქებს წამოვიღებო... აბა, როგორ?!.. და დილაადრიანად ისევ აქ ვიქნებით! აქედან ქუთაისში ჩასვლას კი რა უნდა – დაეანეები და ორ საათში ჩაგიყვან!

– ნასვამი?

– მერე, ვინ იბახის, დავლევო?!

– მესმის, მაგრამ...

– კვირა-ორშაბათი აეგრე გეყოფა შესამონმებლად! – ომამ საჩვენებელი თითი დანასავით გამოისვა ყელში, – ორშაბათ საღამოს კი შენ ებურად ჩაანიკნიკებ და მერე იმის მაგიდაზე დადებას რაღა უნდა?!.. ჰა, რას იტყვი?.. მართლა მარტო კაბინეტში ჯდომა და სულ წერა და წერა ხო არ არის, არა – ქვეყნიერებაზეც ხო უნდა გაიხედ-გამოიხედო!

თბილისში დაბადებულ-გაზრდილი და კაბინეტის კაცის კვალობაზე მეტად ცუდად ვიცნობდი როგორც, საერთოდ, ხალხსა და მის ზნე-ჩვეულებებს, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს. ამიტომ ომას მსჯელობა დამაჯერებელი და მიმზიდველი მეჩვენა.

– კეთილი, რაც არის არის – წავიდეთ! ოღონდ მანქანა სათანადოდ მოამზადე!

– აჰ, ეგ რა მითხარი, უფროსო! ჩვენს კრიალა მერანს იმ უხეტმა-ხეტ გზებს დავანგრევივებ?! იქ ჩემი „კოლხოზნიკით“ ავალთ და ჩამოვალთ!.. ოღონდ ძალიან ადრე ასვლაც არ ივარგებს!.. მე კი მიპოვიან საქმეს, მაგრამ შენ რა უნდა აკეთო – ლოდინით გაბეზრდები! ხუთზე რო გავიდეთ, ხოშიანი იქნება, ოთხმოცდაათიოდე კილომეტრის გავლას რა უნდა!

\*\*\*

ხუთს სამი წუთი უკლდა, ძირს რომ ჩავედი. მალე ომაც მოდრიგინდა თავისი მოვლილი „კოლხოზნიკით“. „კარლო მარტინის“ ფირმის კრიალა შავ ფეხსაცმელებში, ჰალსტუხსა და ძვირფას შარვალ-კოსტუმში გამონკეპილს რომ შემავლო თვალი, მეტყველ ტუჩებზე თითქო სინანულნარევი ღიმი აუკრთა. მაგრამ მე ამისთვის რაიმე განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია, ვინაიდან მაშინ ვერ მივხვდი მის მნიშვნელობას.

თბილისში თბილი, მშრალი, უმზეო დღე იდგა. მაგრამ როგორც კი უკან მოვიტოვეთ ქალაქი და ტყიან მთა-გორებს შევუდექით, ამინდი თვალსა და ხელს შუა უნამუსოდ გამოიცვალა: აცივდა, უინჯლავდა, სიყვითლემორეულ ტყიან ხეობებს რძისფერი ნისლი სევდისმომგვრელად ეზღაზნებოდა. რაც უფრო ზევით და ზევით მივიწევიდით, მით უფრო მეხილემოდა თვალი და დამნაშავეს განცდა მეუფლებოდა: ერთხელ მაინც როგორ არ მომივიდა აზრად, ზურგჩანთამოკიდებულს ოდესმე აქეთ ამომესეირნა. სინდისის ქენჯნა მით უფრო მსუსხავი იყო, რამდენადაც უკვე ნახავი მქონდა ეგვიპტის პირამიდები, ბოსფორი, მონ-მარტრი, ბავარია, მარადიული ქალაქი, ფუძიამა...



ირგვლივ ყველაფერი მაკვირვებდა და მიზიდავდა: ხშირტყიანი გორები, ნისლის ნაფლეთები, გზის გადაღმა გაშოტილი უზარმაზარი ხეცყეულები, წინა ღამით მგლების ხროვისგან ზედ მოსახვევის ყურში გახეთქილი, გულმუცელგამოჭმული ძროხა, დაბურულ ფერდობში დასახლკარებული ეული ოჯახი, ზღმარტლითა და ასკილით სავსე კალათებით წვიმაში უდარდელად მიმავალი ქალები, ტყის პირას, ბუერიანში უმთავალყუროდ მოხეტიალე კახური ღორის კოლტი, გაურჩეველი ლობიოთი სავსე აივნები, თივით გამოტენილი სახლების ფარღალღალაჭერი... ვაშლის ბაღები? ფაფუკმოლიან ეზობებში რამოდენა ფერად-ფერადი ვაშლი იყო გაფენილი, გაზარმაცებულ პატრონებს კი კარს მომდგარი ჭირნახულის აკრფა-დაბინავენაც ვერ მოეხერხებინათ!

– ეგ სიზარმაციით როდი მოსდით, უფროსო! – მასწავლა ომამ, თან მანქანას სიჩქარე გამოუცვალა, – ეხლავე რო აკრიფონ და შინ შეზიდონ, სითბოზე სუ დაულუბებათ, ნესტნანოვი მინა კი მაცივარივით ინახავს!.. პირველი ყინვების დაჭერამდე ე მაგრე ეყრება, მერე კი აიღებენ, აბა, მანდ ხო არ დაამყოფებენ!

\*\*\*

დახშირბინდებული იყო, პატარა მდინარეზე გადებული ხის მორყეული ხიდი რომ გადავიარეთ და ომას სოფელში შევედით. კვამლანადენ სახლებში ერთმანეთის მიყოლებით ინთებოდა ნათურები. ეზოებიდან თხემზე ცელფანგადაჭიმული თივის ზვინები, დაპრესილი ნაშვის პირამიდები და შეკონილი სიმინდის ფუჩეჩის მარგილაყრილი გორები მოჩანდა. რაღაცით სავსე ზურგჩანთამოკიდებულ გალუმპულ მენახირეს ის-ის იყო მოერეკა ნახირი და პატრონებს ღია ჭიმკრებში სახრის ქნევითა და შეძახილებით შეჰყავდათ თავ-თავიანთი საქონელი. ორღობის ორივე მხარეს, ბინდბუნდში ალისფრად ანათებდა სქელ-სქელ მორგვებად დახერხილი თუ უკვე დაპობილი და ერთმანეთზე შეხორავებული წიფლის შუა.


შორიდანვე მოისმოდა მექორნილეთა ყაყან-ბუბუნი. დოღ-გარმონის ხმას შიგადაშიგ აშკარად ერჩეოდა კლარნეტის თავანყვეტილი, გამყინავი ნამოკივლება.

– მოვედით! – შესძახა ომამ, მანქანებით გამოჭედულ გრძელ ორღობეს რომ მივუხლოვდით და თავისი „კოლხოზნიკი“ ვიღაცის ბოგირიანი ჭიმკრის ყურში უკუსვლით გადააყენა. მკვირივი, წვნიკი წვიმა დაჭიმულ ბრეზენტზე ქათმების კენკვასავით ჩამოისმოდა.

კოჭებამდე ტლაპოში მედიდურად მიმავალ ჩექმებიან ომას ფეხის წვერებზე რომ ავედევნე, ხოლო როცა ნახერხგამლილ გრძელ საჩეხში შესულეებს, თბილ-თბილი, გრძელი ქურთუკების ჯიბებში უდარდელად ხელბჩანყობილი, აგრეთვე ჩექმებიანი კაცები ჩლუნგი გაკვირვებით მოაჩერდნენ ჩემს შილიფად ჩაცმულობას, ტლაპოში ამოვლებულ ფეხსაცმელებსა და ლაფმოცხებულ შარვლის ტოტებს, მაშინღა მივხვდი აქეთ წამოსვლისას ომას უცნაური ღიმილის მნიშვნელობას, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

\*\*\*





მსგავსი ხალხმრავალი ქორნილი არც მანამდე და არც მას მერეღა მინახავს – ირგვლივ ტევა არ იყო. იქაურობა ბაზარს უფრო ჰგავდა. როგორც მერე მითხრეს, ოჯახისთვის სხვადასხვა დროს თურმე რაიონის ბევრ „საქაფავ ადგილზე“ ემუშავა, სამშოც ამიტომ დიდძალი გასჩენოდა და ახლა ლამის მთელი რაიონის ერთფეროვანი საკაცეთი სულ აქ მოჯარებულიყო. თან კიდევ მოდიოდნენ და მოდიოდნენ! კაცი გახეტდებოდა – რა სუფრა გასწვდებოდა, სად უნდა დაესხათ ამოდენა ჯამაათი!!!

იმ ქედვაში ომა ძლივს მიიკვლევდა გზას. მეც უაზროდ მივყვებოდი. დერეფნის ბოლოს უცებ ვილაც ფეხზე მატრიალებელ ოცდახუთიოდ წლის თვალტანად ქალს ორივე ხელით ჩაეხვია და ჩაკოცნა. თავის მხრივ ქალიც მოეხვია ცალი ხელით. ოღონდ იმდენად, რამდენადაც მეორე ხელით სავსე მკერდზე მიხუტებული ფრიალა თეფშების სვეტი ამის საშუალებას აძლევდა.

– როგორა ხართ, როგორ? – ჩაეკითხა ომა, – სადა მყავს ლეგო?  
– მინაში!

– ვააახ! ეგ ისევ აურევდა, აი!.. ბაღლები?

– იზრდებიან!

– თათარა ძია?

გალიმებამ ქალს მიმზიდველად ჩაუჩრუტნა ლოყები.

– რა იყო, გამოიცვლებოდა, რა!

ომასაც ისე გაელიმა, როგორც უჯიათი კაცის ხსენებაზე ელიმებათ ხოლმე.

– ეთო, მე და ჩემი სტუმარი თქვენსას წავუძინებთ გათენებისას. მიგვიღებ?

– არა გრცხვინია, ბიჭო?!

– ოქრო გოგო ხარ! – შესძახა ომამ! – ახლა ერთი ეს მითხარი, ლომა სად ვიპოვოთ?

ეთომ სადღაც გაგვიშვირა თითი.

\*\*\*

ოჯახისთავი ორსართულიანი სახლის გვერდზე ვნახეთ – სუფრის გამწყობ ქალებსა და ნაადრევად, თანაც ზომაზე მეტად შეზარხოშებულ გამწესრიგებულ კაცებს რაღაც დავალებებს აძლევდა. ომა რომ დინახა, შუბლი მოიჭმუნხნა და ბიძაშვილს ყბაში სიყვარულით შემოუწკაპუნა.

– შენ ეხლა უნდა მოდიოდე, შე ჯიგარგარეცხილო, შენა?!

– რა ვქლა, ლომო, ისევ ზაპასნოი კი არა ვარ! – მიახალა ომამ და ჩემი ვინაობა დაუსახელა, – აი, კაცს ვატარებ!

– გამარჯობა შენი! – ლომამ ვეებერთელა ხელი დინჯად მომანოდა.

– ჯიხვის ის... როგოა? – მოუთმენლად იკითხა ომამ.

– ეჰ! – მოიღუშა ლომა, – ხატოს დაებარებინა, ამოდით, ნაიღეთო, მაგრამ ამ ავდრიანში ვინ იყო იქ ამსვლელი!

– როგორ თუ ვინ – კულა თავისი ორხიდიანით...

– კულა! კულამ დილიდანვე სმა გამიბა და ემანდ სათივეში უგდია!

– ეხლავე გავვარდები ჩემი „კოლხოზნიკით“!



- დანებე თავი - ეხლა რაღას მოასწრებ!  
 - შენ ეს მითხარი, ხატო სად უნდა ვნახო?  
 - რაკი აღარ დაგიშლია, გადადი ეგე, ძოძისთან - ყველაფერს ეგენი გეტყვიან!

აფორიაქებული ომა მონინებით მომიტრიალდა.  
 - არ იწყინო, უფროსო, რამდენიმე საათით უნდა დაგტოვო!  
 - როგორც საჭიროა, ისე მოიქეცი.  
 - არა, შუალამეც რო გადაგვივიდეს, აქ მაინც უნდა აშიშხინდეს ჯივის მწვადები! - დაიტრახა ომა და ბიძაშვილს ჩემზე ანიშნა, - მოდი იცის, როდის დასხდებით, ნამგზავრები ვართ, ე სტუმარს მიჭიე რამე!

ომა ხალხში გაუჩინარდა, ლომა მე მომიტრიალდა.  
 - წამო, ცოტა გაილუკმე!  
 - არა, არა... არა მშია!  
 - იცოდე, აქ ბევრი ხვეწნა არ ვიცით!  
 - ჯერ მართლა არა მშია!

საიდანაც გამომტყვრალმა ლოყანაიარემა ჯეილმა ლომას ყურში რაღაც ჩაუფუჩუნა.

- ეგ სულელი ხო არ არი! - აღშფოთება ვერ დაფარა ლომამ და მორიდებით შემეხო მხარზე, - ბოდიში მომიხოვია!


შეკეიფიანებული ლოყანაიარევი სამზარეულოსკენ წარაცრაცდა, ლომამ კი მარდად შეაპო ხალხის ჯგრო და გაუჩინარდა.

\* \* \*

მარტო რომ დავრჩი, თავისუფლად ვიგრძენი თავი. აქა-იქ ჩამოკიდებული დიდვატიანი ნათურები დამაბრმავებლად კაშკაშებდნენ. შეუპოვრად ფინჟლავედა. რაკი უქუფო და შილიფად გამოპრანჭული ვიყავი, ამიტომ თეთრი ყვავივით ვირჩეოდი და ყველა მე მამტერდებოდა. დანარჩენები ამინდის შესაბამისად წინდახედულად გამოწყობილყვნენ: ტყავისა და რეზინის ფერად-ფერადი ჩექმები, პალტო, სქელი ქურთუკი, თავშალი, ტყაბუჭი, ბოხოხი, მაღალყელიანი სვიტერი, შინაქსოვი უხეში მატყლის ჯემპრი... პირდაპირ საძოვრებიდან მოსულ ვიღაც ცხვირშემრუდებულ ფაფახიანს კი მოკლე ნაბადი მოეხურა. იგი საჩეხვარეთ, წვიმაში გმირივით გამოჭიმულიყო და ქამარზე ჩამოკონწილებული შავვადიანი ხანჯალი მოუჩანდა! წერილფეხოზას ნულარ იტყვიტ - უფროსებს ყველგან თავმომაბეზრებლად ებლანდებოდნენ ფეხებში! ადგილობრივი კაცები კი ემატებოდნენ და ემატებოდნენ!!!

ქალებს დაუსრულებლად მიმოჰქონდათ თეფშები, ჭიქებით საცხე აღუმინის ვეებერთელა ქვაბები, შამფურის კონები, ხილეულით თავმომბული ხონჩები, სპილენძის უცნაური ქაფქირები, მუხუჭმიდან ნათხოვარი რომ გეგონებოდათ!..

პირველი სართულის კუთხის ოთახში თავშეყრილ ახალგაზრდობას პოკერი გაეჩალებინა. მათ მეზობელ, შუალა, უზომოდ გაკაშკაშებულ ოთახის შუაგულში, სკამებზე დასკუპულ თვალბმწუხარე ხნიერი ქალებით გარშემორტყმული, განიერ სავარძელში შამანივით იჯდა მუხლებდახუთული და, როგორც ხმა დაირხა, პატარძლის ოჯახის დამწუნებელი დედამთილი. მას ტლანქად ნაჩორკნი, ფუფუნებისაგან





გამოთავყანებული პირისახე იმისდა მიხედვით ემანჭებოდა, თუ ერთი ნუთით შემორბენილ მოთადარიკე ქალთაგან ვინ რას ჩასწურჩულებდა ყურში.

მეფე-დედოფალი, მათი ამაღა და ნაღები საზოგადოება მაღლა, დარბაზში აკრეფილიყო. სწორედ იქიდან ჩამოისმოდა სიცილ-კისკისი, მუსიკის ჭყვიტინი და ცეკვის ბრაგაბრუჯი.

ბრეზენტის საწვიმრიანი, შეზარხოშებული გამწესრიგებლები ირგვლივ უთავბოლოდ და უხეიროდ გაჭიმულ-გამოჭიმული ბრეზენტების ქვეშ, ცარიელ მაგიდებს შორის დადიოდნენ და ბრეზენტებში აქა-იქ ჩაგუბებულ წყალს მეზობლებში მოკრეფილი იატაკის ჯოხების მიჭერთით გარეთ თქრიალ-თქრიალით ღვრიდნენ.

გასაკვირი იყო: ბერ აქაურ კაცს სადღაც აქვე უკვე მოესწრო გვარიანად გამობრუჟვა. ჩანდა, აქ მაინცდამაინც დიდად არ დაგიდედნენ ადათ-წესებს. უმრავლესობა თავისი სიამოვნების მიხედვით იქცეოდა. ირგვლივ რამდენი კაცი დაითვლებოდა, არც კი გამოეცვალათ და პირდაპირ სამუშაო, თვალშისაცემად შეჭუჭყული ტანსაცმლით გამოცხადებულყვენ. ზოგიერთ მათგანს ხუთი-ექვსი დღის წვერიც კი არ გაეპარსა! თუმც რატომ, ვისთვის და რისთვის უნდა გაეპარსათ, როცა მათი გონება და ბუნება ირგვლივ არაფერს სცნობდა საკუთარი თავის გარდა და თავიანთ ჭიასაც თავისებურად ახარებდნენ: სადღაც იქვე, მოფარებულში ორიოდ ყანნი არყითა და ნაკვერცხლებზე შეხანხლული ნაცრიანი სუკის ნაჭრებით უკვე ჩაყრუებინათ მუცლის გვრემა და ახლა დინჯად ელოდნენ, მეორე სართულზე როდის მოეღებოდა ბოლო ახალგაზრდების ზიმზიმა და მუსიკის გულის გამაწყალებელ ჭყიბის, რათა გაშლილ სუფრასაც მისხდომოდნენ! რა ექნათ, მანამდე კი ჩლუნგი მოთმინებით უნდა მდგარიყვენ თავთავიანთ სქელ ქურთუკებში ჩათბუნებულები და ჯიბეებში ღრმად ხელებჩაყოფილები! საოცარია, ეს მტკიცე, უხეში მალდის ძველმოდური, დაბამული ქურთუკები რა სასანაულებრივად ესადაგებოდა მათ გარეგნობასა და გამომეტყველებას! ჰმ, ეს უბრალო, ხელნამოსაკრევი ქურთუკები არ გეგონოთ: ოთხი ჯიბე ეყერა – ორი ქვემოთ, ჰორიზონტალურად, ორიც ზემოთ, თარაზულად! ჰოდა, ხელებს თუგინდ ჰორიზონტალურად გაჭრილ ჯიბეებში ჩაიყოფდით, თუგინდ თარაზულად გაჭრილ ჯიბეებში! ანდა, ცალ ხელს ჰორიზონტალურ ჯიბეში, მეორეს – თარაზულ ჯიბეში, როგორც, მაგალითად, აგერ, ის, აგურის სვეტს აყუდებული კაცი, რუხი წვერით, ჩამოგრძელებული პირისახითა და მოთმინებით სავსე ნაცრისფერი თვალებით მგლების ხროვის გამობრძმედილ წინამძღოლს რომ ჩამოჰგავდა.

\* \* \*

ფიქრებში გაბმულმა ვერც კი შევნიშნე, ეთო საიდან გაჩნდა ჩემ წინ. მკლავზე საქმიანად გადაეკიდებინა ლილებანყვეტილი, ცვილისფერი რაღაც ხალვათი კურტაკი.

- აჰა, ჩაიცვით, თორემ შეგცივდებათ!
- არა... არა მცივა, - იხტიბარი არ გავიტყხე.
- ჩაიცვით, ჩაიცვით, ნუ გერიდებათ!
- რას ეხევენები, მაიბა აქა! - კურტაკი ხელიდან გამოგლიჯა ვილაც ნასვამმა ჯელიმა, იქვე გაუყარა ხელი და ლაფიანი ჩექმების ბაკუნით



ისევ თავის სამშობლოში გაერია.

ეთომ ქოქოლა მიაყარა.

- თქვენ ხომ ხალხი არა ხართ - არც შინაური იცით, არც გარეუ-  
ლი!

კურტაკის მოცილებმ მერე რამდენჯერმე მტრულად გამომხედა. უფრო სწორედ, მე კი არა, ჩემი ჰალსტუხი არ მოსდიოდა თვალში. ჩემი მხრით, რაკი სხვა საქმე არაფერი მქონდა, მეც შორიდან ვათვალიერებდი და უცებ უსიამოდ ამეხილა თვალი: უშნოდ წამოგდებული ნიკაპი ჰქონდა, ხოლო ძმაკაცებთან ყბედობისას და მეტადრე გაცინებისას, ტუჩები სადღაც ეკარგებოდა და ღრძილები უზომ-ულაზთოდ უტიტვლდებოდა. როგორც მერე და მერე აღმოვაჩინე, ეს ადგილობრივი უმრავლესი ქალებისა და კაცების რაღაც საერთო ნიშანი იყო.

სიცივე ძალიან რომ არ გამჯდომოდა, იმ ჭედვაში გავლა-გამოვლა ვცადე. ამოდენა მიღეთის ხალხს ერთად ვერანაირად ვერ დასხამდნენ, ხუთიოდე ვაშლის ხე კი არა, ვრცელი ხეხილის ბაღიც რომ გადაეკაფათ. ამიტომ ერთი, მთლიანი სუფრა კი არ იშლებოდა - ანდა, სად უნდა გამლილიყო ამხელა სუფრა?! - არამედ ალაგ-ალაგ, ერთმანეთისაგან მოწყვეტილ: მაღლა დარბაზში, აივანზე, ბაღში, ხუთი-ექვსი მეზობლის ოჯახში... თავ-ბოლო გადაკეტილ ორღობეში, ასევე გადაჭიმული ბრე-ზენტების ქვეშ გაგრძელებულ მაგიდებს ბოლო სად ჰქონდა, მასპინძლის ეზოდან არცა ჩანდა.

ეთომ რამდენჯერმე გაიელვა, ვითომ შემთხვევით, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ თითქო ცდილობდა, სულ თვალქვეშ ვყოლოდი.

\* \* \*

მოზაიკური მარმარილოს განიერი კიბით აივანზე ავედი და თვალი შევავლე სარკმლებლია, მობუბუნე დარბაზს. ნაირგვარი სასმელებით, ხილითა და ნუგბარით სავსე გრძელი მაგიდის თავში, მოფარდაგებულ შემადლებზე მეფე-პატარძალი და მათი ნათლიები დაესხათ. მემუსიკენი სულმოსაბრუნებლად მიყუჩებულყვენენ და დროის გაყვანის მიზნით თავ-თავიანთ ინსტრუმენტებს უკირკიტებდნენ.

თავის ნებაზე მიშვებული, ლაფში ამოგანგლული და შოკოლადით პირმოთხვრილი სამი-ოთხი წლის ფეხგაუზდელი გოგო-ბიჭები სკამების დახმარებით სავსე სუფრაზე ამძვრალიყვენენ: ტკბილეულობას უაზროდ ეტანებოდნენ, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ და უგვანო ტირილ-ღნავილით ზედ მაგიდაზევე გორაობდნენ!!! ერთმა მათგანმა შამპანურის გაუხსნელი ბოთლი ჩამოაგდო და ცოტა განყდა, თავში არ დასცა ოთხზე მბობლავ ერთ-ერთ თავისსავე თანატოლს, სასუსნავით მოფენილი მაგიდის ქვეშ ტაცობა და ჩარბუზანა რომ ჩაებათ!!! მაგრამ ეს არავის ანუხებდა, ბავშვებს ყურადღებას არავინ აქცევდა - ეტყობა, ეს ყველაფერი ამ მხარეში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა!!! ფეხზე მოტრიალე, ცოტა ხნით მაღლა ამოცენილი ამ ბავშვების დედები გულდამშვიდებით გამოიყურებოდნენ, რაკი ხედავდნენ, სად იყვნენ და რას აკეთებდნენ თავიანთი შვილები! თვითონ კი აივანზე, ღია სარკმელთან მიჭუჭკულიყვენენ, თვალმისაცემად წაგრძელებული ნიკაპები ერთმანეთისთვის ახლო-ახლოს მიეტანათ და მეფე-დედოფალზე თვალდაფეთებულნი, მათზე მღელვარედ ჩურჩულებდნენ.

- საით? - ვილაც სახენამოგზნებულმა, ღანვმაღალმა ქალმა მეციბ-







ოგნესავით გადამიღობა გზა, მეფე-პატარძლისკენ რომ გავემართე.

- საჩუქარი უნდა...
- მაშინ მყეფარს მიმართე!
- ეგ რაღას ნიშნავს?

დარბაზში დამცინავი სიცილ-კისკისი ატყდა.

- მოდი აქა, ძმისავ, მოდი! მე ვიქნები მყეფარი - წერა მოგზადე!  
 - სახელოში ხელი ჩამავლო მეფის სიახლოვეს მდგარმა ერთმა ჩაკუნ-  
 თულმა, შუახნის პირშმაგმა კაცმა და თავისკენ ყრუ-მუნჯივით გამ-  
 წია. მან ხმადაწევით ამიხსნა, ვინ იყო და რა ევალეობდა მყეფარს. თან  
 ისიც მითხრა, საჩუქრების გადალოცვა-გამოცხადება ხდებოდა არა ასე  
 ნაადრევად, არამედ ქეიფის დროს, გაშლილ სუფრასთან. მაგრამ მე,  
 როგორც ხამ კაცს, აღარ გამანბილებდა.

ჯიბიდან პანია შავი კოლოფი ამოვიღე და მყეფარს გადავეცი. მყე-  
 ფარმა კოლოფი გადახსნა, კუშტად დახედა, საჩუქარი დაშაშრული  
 თითით გაჩხრიკა და კოლოფი აღარც დაუხურავს - ასე გადახსნილი  
 დადო მაგიდაზე. მერე ორივე ხელი უცებ მაგრად ჩამჭიდა და ხალხ-  
 ისკენ ჩუჩელასავით შემატრიალა.

- აი, ეს ქალაქელი კაცი...

- ცოლიანია თუ უცოლო? - მყეფარს სიტყვა წაართვა ვიღაც  
 ხმაყვიანმა გოგომ.

სხვის მეტიჩრობაზე შუბლშეკრულმა მყეფარმა კუშტად ამომხედა.

- უცოლო ვარ!

- უცოლოა და აქვე ვუპოვით საცოლეს! - გაისმა შეხნიანებული  
 ქალის თავდაჯერებული ხმა.

- კარგ მელასაც დაიჭერს! - მოუჭრა მყეფარმა არამკითხვს.

მყეფარი წრფელი სიცილ-ხარხარით დაჯილდოვდა. აივანზე, სვეტს  
 ამომწვდარი მსხლის ტოტებთან ეთომ გაიელვა და გაქრა.

- აი, ეს კაცი, ჯუმბერა, ლომას ბიძაშვილის, ავე, კრუტომანას  
 ქალაქელი ძმადქრახული ყოფილა! - ისეთი ხმით გაპკიოდა მყეფარი,  
 თითქო ცხვირწინ შეყრილ ხალხს კი არ მიმართავს, არამედ სადღაც  
 შორს, ხევადღმა მიმავლებს გასძახისო, - ჰოდა, მზის მეტოქე ჩვენს  
 პატარძალს წმინდა ოქროს ცეფი მოართვა! აი, დინახეთ და დარწმუნ-  
 დით!

მყეფარმა ცერსა და საჩვენებელ თითებზე ჩამოკიდებული ძეწკვი  
 მალლა ასწია და შეტრიალ-შემოტრიალდა, ყველას რომ დენახა.

- ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ჩვენს ცისნამის!

- ამინ!.. ამინ!.. ამინ! - არევით უპასუხა დარბაზმა.

მყეფარი პატარძლის ნათლიას, წარბებგადაკალმულ გოგუცანას  
 მიუტრიალდა.

- აბა, ციურავ, ერთი შამიბი დედოფალსა!

- ეგ სადაური წესია! - წინ გამომწვევად წამოგვიდგა ერთი ურცხ-  
 თვალა ქალი და ათას ოხერ-ტიალთან მხურვალე კოცნით დაცვეთილი  
 ტურები ლირწად მიჩაჩ-მოჩაჩა, - ცეპი პატარძალს თვით მჩუქნებელმა  
 უნდა შეაბას!

- სეირის მოსურნე დარბაზმა ტლანქი ბუბუნით დაუკრა დამქაში.

- მართალია! - დაჰყაბულდა მყეფარიც და ძეწკვი მე შემომაჩეჩა.

მორცხვად თვალდანაბული პატარძალი წამოიწია, კვემამოსილებით  
 გადმოიხარა და წამომიშვირა კისერი. მე თავს უფლება არ მივეცი,



პატარძლის შიშველ კისერზე თითები მეცაცუნებინა. ამიტომ ძენკვი სიძეს გადავეცი.

- ეს სიძეს უფრო მოუხდება!

სიძემ საცოლეს ხელები აჩქარებით ამოუტარა ნიკაპქვეშ და გრძელი ძენკვის ბოლოები კისერთან შეუნყვილა. მაგრამ პანანკინტელა, გონებამახვილურ ხერხელს უცებ ვერაფერი გაუგო და შეკერა გაუჭიანურდა. განაბულ დარბაზს მოუთმენლობის შრიალმა გადაუქროლა. მაგიდაზე დახრილმა, მორჩილად კისერნანვედნილმა პატარძალმაც აღმაცერად ამოიხედა. მეფემ მიაგნო საიდუმლოს: პანია, უხილავეკილებიანი ღერაკი შეუბნია ზამბარაკიან ხერხელში და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

- ეეე, საით, ძმისაგ? - კოსტუმის ბოლოში ჩამეტანა მყეფარი, გამოსვლა რომ დავაპირე და მანამ არ გამომიშვეს, სანამ ერთი ყანნი უბიბთაური არ გადამაკვრევინეს და რალაც შაქარმოყრილი, ცხიმში დამბალი ქადის ლუკმა არ შემეჭამეს.

\*\*\*

თბილი დარბაზიდან ისევ აივანზე რომ გამოვედი, სიცივისაგან უცებ ცხენით შემაკანკალა. შარშანნინ დიუსელდორფში ნაყიდი ძვირფასი ინგლისური შალის ჟილეტიანი შარვალ-კოსტუმი, რომლითაც ქალაქურ წვეულებებზე თავი მომქონდა ხოლმე, ახლა აქ ლილაგახუნებული აღმოჩნდა. ე, სად იყო ჩემი ვერცხლისაბზინდიანი კანადური ჩექმები, თბილ-თბილი, თან საოცრად მსუბუქი ქურთუკი „პიოლაი“, თევთიკის სვიტერი და რომელიმე ქუდი!.. წვრილად წვიმდა. აივნის ერთ კუთხეში მიგროვილი, სქლად ჩაცმული დედაკაცები ერთმანეთში ვიშვიშებდნენ: ზევით დიდი თოვლი მოსულა და ჩვენს მწყემსებს საქონლის გადამორეკვა ვერ მოუსწრიათო.


აივნიდან უცნაურად მოჩანდა ირგვლივ გაჭიმულ-გამოჭიმული, მჭახედ განათებული სველი ბრეზენტის მინდვრები და შიგ ალაგ-ალაგ ჩამდგარი პატარ-პატარა გუბეები.

ბუნებაში არარსებული, უზარმაზარი ფუტკრის სკასავით გუგუნება და ბრეზენტისქვეშეთი. იქ უფრო ეთბილება-მეთქი, ისევ ძირს ჩავედი. საჩხებ და ტალახში აზელილი ნახერხით გადაყვითლებული ეზო-ყურე აქაური კაცებით იყო გადავსებული. ზოგიერთი მათგანი ისე გაღე-შილიყო, ფეხზე ძლივსლა იდგა და თავისი სიამოვნებისთვის ხმადაბლა უნმანურად იგინებოდა. მათ ყურადღებას არავინ აქცევდა - არც ქალები, არც კაცები. რამდენიმე გამობრუჭულს ტალახში გაგორებაც მოესწრო. საკვირველი იყო: თუ ქორნილში მოსვლა გადაუწყვიტათ, მაშინ რალას იბრუფებოდნენ, ხოლო თუ რამ საპატოო მიზეზით გამოითვრალიყვნენ, ქორნილში რალა უნდოდათ - არ ერჩიათ, შინ წასულიყვნენ და მოესვენათ?! ხოლო თუ ფხიზლები მოვიდნენ და მერე სადმე აქვე დაილექნენ ასე უღვთოდ, მაშინ გაუგებრად მეჩვენებოდა მათი ბუნება და საქციელი - ეს რანაირი სულწასულობა სჭირდათ, ნუთუ ველარ უნდა მოეთმინათ საათნახევარი?! ხოლო თუ ველარ ითმენდნენ, მაშინ ორიოდე ჭიქას მაინც დასჯერებოდნენ და ასე საქვეყნოდ არ მოეჭრათ თავი?!

ამგვარი ფიქრებით შეპყრობილი ვაკვირდებოდი ქურთუკის ვი-



საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ბეგებში ღრმად ხელებჩანწყობილი აქაური კაცების დამახასიათებელ, ადვილად დასამახსოვრებელ სახეებს და ვხვდებოდი, რომ თბილისიდან სულ რაღაც ოთხმოციოდე კილომეტრით დაშორებულ ტყით დაბურულ მთებს შორის მომწყვედულ ამ სოფლების საკაცეთს საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული და გაფოლადებული თავისებური ბუნება, ფინი და ჩყვევა მართავდა, რაც ჩემისათნა კაბინეტის მუშაკისთვის, ყოველ წამს რამდენიმე უფროსის დაძახება-დავალების მოლოდინში რომ არის, არამცთუ გაუგებარი, არამედ სრულიად მიუღებელი იყო.

\* \* \*

თერთმეტის ნახევარზე დასხდომა გამოცხადდა. ამდენ ხანს იძულებითი ლოდინით ჟინდაგუბებული საკაცეთი ვატოკდა, აბორგ-და, ბევრმა ერთმანეთს შორიდან ანიშნა – სად, რომელ სუფრასთან დამსხდარიყვნენ ერთად. მთელი უბნის ღუმელდანიტებულ სახლ-კარში თავშეფარებული ეს ამოდენა ქალები, უცხო-უცხო სტუმრები და ახალგაზრდობა – მანამდე მათზე წარმოდგენაც რომ არა მქონდა! – გარეთ გამოიბერტყა და მასპინძლის ეზო-ყურეში ნამდვილი ჭყლეტა გაჩაღდა. ვილა უსმენდა ხმაჩახლეჩილი გამწესრიგებლების ვანკარგულეებს, ხვეწნა-მუდარას, მუქარას, ყვირილს! უმრავლესობა რაღაც მოუთოკავი, ცხოველური ფინით ცდილობდა მეფე-დედოფლის სუფრაზე, ანდა, იქ მაინც მოხვედრილიყვნენ, სადაც, მათი აზრით, დროს უფრო უკეთესად გაატარებდნენ. გულის ამრევი წუთები ჩამოდგა – როცა ყველა ფეხით თელავს დადგენილ წესრიგს და მხოლოდ თავის თავზე და მოახლოებულ ხანმოკლე სიამოვნებაზე ფიქრობს, სხვა კი აღარავინ აგონდება და ადარდება. ირგვლივ ყურთასმენა აღარ იყო. ისევ ფინ-ყლავდა. კიბესთან მოხეთქილმა ხალხის ტალღამ ბრუნეტს შემოყენებულ კუთხის მანა ვადაამტვრია, ბრუნეტის კალთა ჩამოფრიალდა და შიგ ჩაგუბებული წყალი სტუმრებს თქრიალით გადაეშხეფა. ატყ-და ქალების კივილ-წივილი, ღრიანცელი, იქით-აქეთ წყვეტება. მანის ნამტვრევმა ვილაცას სანარბული გაუტეხა.

მე განზე ვიდექი და მოთმინებით დაფუწყე ლოდინი ჩემს რიგსა და ბედს. თუმცა ამანაც ვერ მისხნა უმნიშვნელო ხიფათისაგან. უცებ საიდანღაც რეტინივით გამოსხლტა მარმარილოს კიბისკენ შეზაღებული ცამეტოდე წლის ღრჯოლებგადმოყრილი ბიჭი და, მიუხედავად იმისა, მე სრულიად არ ველოებოდი, ღმერთმანი, დღესაც ვერ მიგმვ-ვდარვარ, ეს რანაირად მოახერხა: გვერდის გაკერისას ტლაპოიანი რეზინის ჩქემა შარვალზე ღონივრად ჩამომისვა და კიბზე ამავალი ხალხის ნაკადში შლეგურად შევარდა! საგრძნობლად შემძიმებული შარვლის ტოტიდან ტლახი ნაფოტით ჩამოვიფხიკე. აქა-იქ გაშლილმა ამდენმა სუფრამ, როგორც იქნა, შეისრუტა მილეთის ხალხი. ხორხოც-ჩოჩქოლიც ჩაყრუვდა.

– შენ რაღაც უცდი, ხალსტუკიანი? – მოკეთურად შემომცინა ერთ-ერთმა გამწესრიგებელთაგანმა – შუახნის გრძელკანჭა, თავქოჩორა კაცმა და ბაღდადის ნაფხრენით სუფთოდ გაპარსული, ფარჩხატულ-ვაშაინი პირისახიდან მონდომებით შეუდგა ოფლის წმენდას. იმწუთას ძალიან ჰგავდა დაქანცულ, მაგრამ გულდანყნარებულ მესაქონლეს, მგლებისგან ნაფრთხენი ნახირი რის ვაი-ვაგაბახით ბაკში რომ შეუყრია და ახლა რამდენიმე თვინიერი სულიდა დარჩენია დასაბინავებელი.

– მე მაგათი!.. – გამწესრიგებელმა სანარბულით სადღაც მანიშნა, ძონძი შეინახა და შეივინა, – აგრე ჰგონიათ (შეივინა), თუ წვეფ-დე-დუფლის სუფრაზე მოვხვდებით (კვლავ შეივინა), სუ ოქროებს დაგვირიგებენო. აი! (შეივინა). შენ ეგეთ სუფრაზე უნდა დაგსვა (შეივინა), რო (შეივინა), რაც რამე კაი ხაშლამა, მწვადი, ჟარკოი და ჩაქაფული იქნება (მკვახედ შეივინა), სუ იქითკენ უნდა მოდიოდეს!

უსიტყვოდ გაყევი. საჩხებიდან წვრილ წვიმაში გავედი და ყორეში ჩატანებული ვინრო სამეზობლო კარით ვიღაცის ტანტახიან, მოუკრე-ფავი შავ-ყვითელი გოგრებით მოფენილ, გაჩახჩახებულ ბალჩაში ამო-ვყავით თავი. გვერდზე დავავადეთ სანეხვე, სათივე, საძროხე, საღორე, რღაც მობლუნძული ფიცრული, სათონე, ჯაჭვით მოკლედ დაბმული ძაღლი და ორსართულიან სახლს სამეფურნეო მიზნით მოგვიანებით მოშენებულ ქვითკირის სარკმლებჩაუსმელ, კედლებშუელესავ და კარ-შუებმელ შენობაში სამმწკრივად გაჭიმულ სუფრას მივადექით. შიფ-რით თავგადახურულ შენობაში საგრძნობლად თბილოდა. ის-ის იყო, სრულდებოდა სუფრის შევსება. ადგილობრივი თბილქურთუკიანი კა-ცები ადგილის დაჭერისას ისე იქნევდნენ მხარბეჭს, ჩანდა, სუფრასთან ხალვითად სხდომას იყენენ მიჩვეულნი.

– აბა, თქვენ იცით, ე ქალაქელი ოქროკაცი მოუღებენლი არ დამიგ-დოთ! – ვიღაცეებს გადაულაპარაკა გამწესრიგებელმა, ერთგან რო-გორც კი ჩამსვა და წავიდა.


\*\*\*

აქ ერთმანეთის ნანდაური და ერთმანეთში წინასწარ მოლაპარაკე-ბული ამ კუთხის დაახლოებით ერთი ყაიდის გულგრილსახიანი საკაცე-თი შეყრილიყო. შიგადაშიგ თავიანთი შესაფერი, ბევრის მნახველი ქა-ლებიც ჩაესხათ. სუფრა შეივსო, დალაგდა, მაგრამ ყატყატ-ჯიყვიცი ყვერ მინც არ წყდებოდა.

– რაღა აქ დაჯექით? – სინანულით ნამჭურჩულა ეთომ, სუფრას ხონჩით რაღაც რომ შემოამატა და ლოყაზე კულულების ლამუნით სი-სხლი ამიღელვა.

როგორც იქნა, თამადა აირჩიეს. თამადას ერთხანს რიხიანად ეჭი-რა თავი, მაგრამ ხალხი რომ შეთვრა, მას აღარავინ უსმენდა. ყოველი კუთხე და მარაქა, როგორც იტყვიან ხოლმე, თავისთვის უბერავდა. ჩემთან, როგორც უცხოსთან და თანაც პალსტუხიანთან, ურთიერ-თობის გაბმა არავინ აიღო თავის თავზე. მაგრამ ეს სრულიადაც არ მამცირებდა. როგორც მსგავსი შემთხვევებისას მჩვეოდა ხოლმე, სა-კუთარ ორეულთანაც მშვენივრად ვგრძნობდი თავს და დაკვირვებით ვერთობოდი. აქაურების სიტყვამახვილობა მეტად თავისებური იყო და ბევრ რამეს მხოლოდ აზრით უნდა ჩასწვდომოდი. ისიც მაშინ, თუ მათ მიერ ნახსენები ეს თუ ის პიროვნება, ამბავი, მოვლენა, შემთხვევა თუ ადგილობრივი რამ ჩვეულება გეცოდინებოდათ. წინააღმდეგ შემთხ-ვევაში უცხოსთვის გაუგებარი რჩებოდა – ერთმანეთში ასერიგად რა ახარხარებდათ კაცებს, ანდა რაზე კისკისებდნენ ქალები.

მჭვერმეტყველური სადღეგრძელოებისთვის თავს მინცდამაინც არავინ იკლავდა. თავიდან შა და შა, მეგრე კი საკმარისი იყო თვალის ჩაკერა, მოხდენილად გადაკრული რაიმე ჟარგონული სიტყვა ან ფრა-ზა და ეს კმაროდა – სანახევროდ გავსებული ჩაის ჭიქებით წყალივით





ყლურწავდნენ დედის რძესთან ერთად შეთვისებულ თავიანთ უბი-ტაურს.

უბიტიური, ჩემს სიცოცხლეში პირველად ნელან მყეფარმა რომ გადამაკრევირა, მაინცდამაინც ვერ მოვიხდინე: რალცნაირი წყალ-წყალა, უთვისებო და უსამოსუნიაანი მეჩვენა. თელავიდან ამოტანილ რქანითელს კი არაფერი დაენუნებოდა, მაგრამ ისე გაყინულიყო, თვითმკვლელობა იქნებოდა გულ-მუცელში მისი ასე ჩაშვება. ამიტომ ნელვინრო ჭიქა ხელისგულებში მანამდე მქონდა მომწყვდეული, სანამ ღვინო საამო სურნელებამდე არ შეთებოდა. ჩემს ამგვარ ფარეზობას დამცინავი ღიმილით უთვალთვალებდნენ. სამაგიეროდ ხორციანი კერძები იყო ერთმანეთზე უფრო გემრიელი! ისეთი გემრიელი, რომ შეიძლება ველარ გაგეძლოთ ცდუნებისთვის და კუჭი გადაგეტვირთათ. ამიტომ ჩაქაფული ხელახლა რომ მოიტანეს, მხოლოდ ერთი კოვზიდა გადავიღე.

– რას ეპარები, ქალაქელო, გადაგელო ბლომად! – პირველად და უკანასკნელად დამელაპარაკა მხარმარჯვნივ მჯდომი სახეთეთრი ახალგაზრდა კაცი და მამრული ურთიერთგაგებისა და გაუმხელი სიყვარულის ნიშნად მხრით მხარზე კამეჩურად მომანვა, – ხვალხვევითაც კი არ გვექნება! ჩახვდი?

ჩაქაფულით სავსე ჯამფილა მოუთმენლად ჩამომართვა და თავის ანგარიშზე სამი კოვზი კიდევ გადმომიღო. მერე ძვლებითა და გაციებული ხაშლამით სავსე თავისი ღრმა თეფში მაგიდის ქვეშ დაცალა და იმდენი ჩაქაფული გადაიღო, წვენი კიდეებიდან გადმოუვიდა. მაგრამ იქიდან ორიოდ ნაჭერიც აღარ მიურთმევირა, ისე წაეყინა. ცოტა ხნის მერე კი, უზომოდ უბიტიურწყალურწს, მაგიდაზევე ჩაეძინა და გამწვანებულგებმა გაიტანეს.

აქ ერთი გასაოცარი ჩვეულების მონმე გავხდი, რომლის მსგავსი მანამდე სხვაგან არსად მეხანა. სუფრაზე ღვინის ბოთლები რომ გამოცილებოდა, ახალი სავსე ბოთლებით კი არ ცვლიდნენ, მაგიდეშუა მოფუსფუსე ბიჭუჭები იმავე გამოცილილ ბოთლებს იქვე, ზედ მოქიფეთა ზურგს უკანვე, ღვინით სავსე ნაირგვარი ჩაიდნებიდან ავსებდნენ! ეს რომ დავინახე, მაშინდა მივხვდი, ბოთლიდან დასხმულ ღვინოს ზოგჯერ რატომ წამოსდევდა დამწვარი მინანქრისა თუ ნადულის წვრილ-წვრილი ფიფქები. ერთ მნითურ, მამის ქურთუქსა და ბრახუნა ჩექმებში ჩაკარგულ ბიჭუქელას, ვიდაცის მიერ გადმოწვდილ ცარიელ ბოთლს ზედ ჩემს ზურგთან რომ ავსებდა, ყურადღება სხვაგან ნასვლოდა, ჩაიდნის ნისკარტი ბოთლის ტუჩს ასცდენოდა და ღვინოს თურმე პიჯაკის ბოლოზე მასხამდა. შემთხვევით წამოსწრებულმა, აღმფოთებულმა ეთომ შენიშვნა რომ მისცა, ბიჭმა დებილურად გაიკრიჭა და ბოთლიანად გავგვოროდა.

– გაიხადეთ, უცებ გავიშრობ. – ჩამჩურჩულა ეთომ და ლოყავზე ლოყის ასმით ცეცხლი წამიკიდა.

– იყოს... ომა ხომ არ მოსულა?

– ჯერ არა ჩანან.

\*\*\*

სუფრაზე მომძლავრებულმა ურიგმარიგობამ თამადა გაახუნა. ვიცაც რა სურდა, იმას აკეთებდა. წარამარა ისმოდა კაცებშუა ჩამსხდარი,



სუფრის ქვეშ ხელნატანებული ქალების თვალთმაქცურ-ნამქეზებლური ნამოკივლება. არავის გახსენები ცეკვა-თამაში, სიმღერა. თუმც მერე ერთ ორმოციოდე წლის შლეგური გამომეტყველების მქონე კაცს აქეთ-იქიდან დაუწყეს ხვეწნა-მუღდარა – მიდი, ერთი შენებურად შეუმღერეო! ისიც აღარ გაპარანჭულა: უეცრად განსაცვიფრებელი უტიფრული იერი მიიღო და ჩახლეჩილი ხმით შემოსძახა:

ლამაზ ქალებში დავდივარ,  
ვით ჭრელაძიგოს კერატი,  
სუყველას ჩქემებს დავპირდი,  
ვითამ თავადა ვკერავდი!!!

სუფრამ თავისი მოწონება ყვირილითა და ღრინცელით გამოხატა. ორ-სამგან შეუჭყვივლეს კიდეც. განსაკუთრებით ქალები იჭაჭებოდნენ და ველარ ჩერდებოდნენ.

– უი, შენ კი დაინვი – რა ენა გაბია! – ნანყვეტ-ნანყვეტად გაიძახოდა საულავაშესთან ხალდაკრული ქალი და სიცილისაგან სავესე ტიკივით ძიგძიგებდა, – გაიგეთ, ჩქემებს შევირდიო! შენა? ში-ში-ში!

– რა იყო, თანო, – ხალდაკრულს შუამავალივით გამოემძრახა ერთი სქელი, კისერშეხვეული კაცო, – რა კვერცხდანადებ ვარიასავით აკაკანდი – ხომ არ გინდა, შენც შაგიკეროს ჩქემები?!

– ი, მეხი კი დაგაყარეთ! – იუკადრისა ხალდაკრულმა, – მაგისაზე უკეთესი ჩქემები მაცვია!

– აბა, ავგინიე ფეხები და გვაჩვენე! – ამის მეტი სხვა ვერაფერი ისიბრძნა მოპირდაპირე მხარეს მჯდომმა წარბებჩამოქუნდრულმა ვაუბატონმა.

– ფეხების ამნევი ყროლები შინ გისხედან! – არ დაუვარდა ხალდაკრული.

– ჰა-მეთქი! – ნამოუვარდა წარბებჩამოქუნდრული და ღვინის ბოთლზე შემოკრული თეფში ჭახანით დაიმსხვრა.

თავის ადგილზევე დაშვებულ წარბებჩამოქუნდრულს ვილაც ქალმა, ალბათ, ხალდაკრულის დაქალმა პირფერულად შესცინა და თვალები გადაიტრიალა.

– იიი, შენ კიდე – რა გული გამიხეთქე!

– ქმარმა სხვა აღარაფერი დაგიტოვა გასახეთქი და ამანაც რა ქნას – ეგ მაინც თუ არ გაგიხეთქა?! – დანყნარებულ წარბებჩამოქუნდრულს ბოდიში მოჰხადა ერთმა საკინძევადადელილმა, გულგრილსახიანმა კაცმა და სასმელისაგან დანისლული მზერა მოძმეებს ყინჩად მოატარა – ხო მაგრად მოვუჭერიო სიტყვა.

\*\*\*

შუალამე გადავიდა. კაცები რჯულზე გამოთვრნენ. ორს პირწყენა აუვარდა და იმდენი კიდე ივაჟკაცეს, შეტრიალება მაინც მოასწრეს და კედლის ძირას არწყიეს. ცოტა ხნის მერე მესამემ ესეც ვერ მოახერხა და პირდაპირ სუფრაზე წამოანთხია. ქალები თავშეკავებული ნიოკით წამოიშალნენ, თან ზიზღნარევი შიშით დაიყურებოდნენ ტანსაცმელზე. ფეხზე მატრიალებელმა დედაკაცებმა უმაღლ მოწმინდეს სუფრა. ერთმა ჩანიკნიკებულკბილებიანმა კაცმა გამობლეთილი თვალებით მიყურა, მიყურა და ძლივს ამოღქა.



– ბოიში!.. აი, ძმურ გავებასა და იმაში... შენ მეცნიერი ხარ თუ პროფესორი?

ხელმოთავებულმა თამადამ – ცოტა ხნით გავალო, მაგრამ სულ გადაგვეკარგა. რამდენიმე კაცმა მოინადინა თამადაობა, მაგრამ არც ამას მოჰყოლია სასიკეთო შედეგი. მერე ვიღაც ჭკუის კოლოფმა აიხიწრა: როგორ, ჩვენ ხალხი არა ვართ – მოდი, ერთი ნახევარი საათით მეფე-დედოფალი ჩვენს სუფრაზეც გადმოვიყვანოთო. ამაზე დიდხანს იყაყანეს, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრეს. მეტიწილი ქალები აიშალნენ და თავ-თავიანთ გამცილებლებს გარეთ დაუწყეს ლოდინი და ძახილი. ჩაიდინიანი ბიჭუქელები მომაბეზრებლად დარბოდნენ მაგიდების გასწვრივ და ხალისით განაგრძობდნენ თავიანთ საქმიანობას, თუმც ღვინის სმის თავი აღარვის ჰქონდა. ბევრი ბიჭუნა ანგარიშს ველარ უწევდა და ზევით-ქვევით სირბილისას ღვინით რწყავდნენ ავურის იატაკს. სუფრაზე წარამარა იქცეოდა ღვინის ბოთლები და ფიპიტაურის სურები. ზოგიერთ მათგანს ფეხზეც აღარავინ აყენებდა და სასმელი ბუყბუყ-რუკრუკით იღვრებოდა სუფრაზე. ნასუფრალით საცხე მაგიდების ქვეშ თავიდან შიშით შემოძურწული ძაღლები ახლა ერთმანეთში ველარ მორიდდნენ და ჯერ მუქარიანი ღრენა-ღმუთუნი გააბეს, მერე კი საშინელი ჩხუბიც ატეხეს. მოჩხუბარ ძაღლებს მთვრალეები მაგიდების ქვეშ ალალებდნენ უქნევდნენ ჩექმიან წიხლებს, მაგრამ აღარავინ ეპუებოდნენ და აღარც გარეთ გამოსვლას აპირებდნენ. ახლა ძილსა და მოსვენებას არაფერი ეშვობინებოდა, მით უმეტეს, ომა და მე ადრინანად ვიყავით ასადგომები. ეთო თითქო ჩემს გულში იჯდა.

– ხომ არ მოისვენებდით? – ნახად ჩამწურწულა ჭურჭლის ასალაგებლად მოსულმა სპილენძისსინიანმა ეთომ და ლოყაზე ლოყით შემეხო, მხარზე – მეკრდით.

– კი, კი!.. დილაზე ადრე... ომა არ მოსუ...

– მაშინ ათ წუთში სათივესთან გამოდი.

\* \* \*

ათი წუთის შემდეგ სათივესთან ვიცდიდი. წვიმას გადაელო, მაგრამ ისეთი სქელი წილი ჩამოწოლილიყო, მეზობლების აივნებსა და ეზობში ანთებული ნათურები წაყვითლო, დაობებულ ლაქებად გამოჩნდა.

ეთოც მოვიდა. მკლავზე ნაჭრის რაღაც მოკლე საწვიმარი გადაეგდო. როგორც წელან გამწვსრიგებელს გამოვეყვი უსიტყვოდ, ეთოსაც ასევე უსიტყვოდ გავყვი.

სახლს უკანიდან შემომატარა და ბლოკით ნაშენებ მალალ კედელში დატანებული რკინის ღრჭიალა კარით ფართო ბაღაში შევედი. ეთო შედგა, საწვიმარი გაშალა და ერთი კალთა შემომაჩვენა.

– გადავიფაროთ, თორემ დაესვლდებით.

– აქ რამ უნდა დავგავსელოს?

– მნამავ წვიმას ნუ ეხუმრებით – ისე უცებ გადავივებთ, ვერც მიხვდებით!

საწვიმარის კალთა გამოვართვი და უცებ ორივენი მოშრაშუნე ქსოვილის ქვეშ აღმოჩნდით. გალუმპულ, ქოჩორა მიჯნაზე ფეხნაწყობით, უბრად მივდიოდით. ხან საიდან მოისმოდა მამლების ყვირილი, ხან – საიდან. მიჯნის აქეთ-იქით კარტოფილის ამოდებისას უხვიორად

მისწორ-მოსწორებული ორმოები ილანდებოდა. სადაცაა ინათებდა. ნა-  
კარტოფილარი ათავდა და ვრცელ, დაბურულ თხილნარში შევედით.

ეთომ საგრძნობლად დაამძიმა ნაბიჯი.

- როგორი დრო გაატარეთ?

- დიდებული!

შედგა და ხმამინაზებით იკითხა:

- პატარძალი როგორ მოგეწონათ?

ჩვენი ტურები უსიტყვო სურვილით გადაინებნენ და ენის წვერები  
ერთმანეთს მშვიდი მძვინვარებით ეკეენენ.

- ნავიდეთ, - თქვა ეთომ და შეაკანკალა, - თორემ სიცივე გავვი-  
ჯდება.

ბაღრა ავიარეთ და მავთულის ბადურით შემოკავებულ ეზოს მივა-  
დექით. ერთმანეთზე გადაბმული სათავსოებიდან სალაფანაჭამი ღო-  
რების ზანტი ღრუტუნ-ტრუხუნი და საქონლის გრძელი დაფშუვლება  
მოისმოდა. ეზო-ყურეს ბებერი მსხლის ხეზე დაყენებული ფარიანი ნა-  
თურა ანათებდა. ნავაზი ყეფითა და ჯაჭვის ჩხრილით გამოექანა, მა-  
გრამ ეთომ ხმადაბლა რაღაცა ჩაულაპარაკა და ძალიც უმალ კუდის  
ქიციწზე გადავიდა, თან თავის მილებ-მოლებით მაკვირდებოდა.

სახლწინ გამოჩნდა ცემენტისაუზიანი წყლის ონკანი, რკინისა და  
ხის კასრები, უშველებელი ქვაბები, არყის სახდელი ზარფუში, აუარე-  
ბელი ვედროები... ჰაერში საარყედ დამყავებული ვაშლის მქისე სუნი  
იდგა. ეზოს შუაგულში თვითმცლელიდან გადმოყრილი წიფლის სქელ-  
სქელი, დასახეთი მორგვების ზედახორა აღმართულიყო. სულ ზევით,  
ერთ-ერთ მორგვზე ქიმით დარჭობილ სახეთქ ცულს ბურუსიან ზეცაში  
სახელგანთქმულ გერმანულ საზენიტო ქვემეხივით „FLAK-41“ აეშვირა  
გრძელი ტარი.

საჩეხში გაბმული მავთული სავსე იყო ოთხი-ხუთი წლის გოგონასა  
და ბიჭუნას სარეცხით.

ეთომ მალალ აივანზე ვიწრო კიბით ამიყვანა და პირველივე ოთახში  
ბაკუნით შემიძღვა. შუქი აანთო.


- აი, წელანვე გავამზადე, - თქვა და გაშლილ ლოგინზე მიმოითთა,  
- აქ თქვენ მოისვენებთ, იქ - ომა. თუ... გავლა მოგინდეთ, ტუალეტი  
დაბლა, ხელმარჯვნივა... არ შეგეშინდეთ, იქ ძალი ვერ სწვდება!..  
აბა, მოისვენეთ!

მე მოხვევა დავუპირე, მაგრამ სხარტად ამირიდა.


- დაბლა ბავშვებს უნდა დავხედო, მერე კი სხვა სტუმრებიც მყავს  
ამოსაყვანი, - სხვათა შორის შენიშნა და კარისკენ გაემართა, - ძილი  
ნებისა!

გავიხადე, შუქი ჩავაქრე და აღგზნებულ-აფორიაქებული ჩავნექი  
გაყინულ ლოგინში. ისევ პირში მედგა ეთოს ენისა და ტურების გემო.  
რომელიღაც ქვედა ოთახიდან მოხუცებული კაცის დანჯღრეული ხვე-  
ლა და ოხერა-ბუტბუტი ამოისმოდა.

ძალმა წელანდელივით ბოხად შეჰყეფა, მაგრამ მაშინვე მიყუჩდა.  
მალე კიბეზე ფეხების არეული ბაკუნი და ხმადაბალი ლაპარაკი გაისმა.  
დავინახე, ეთომ ჩემს სარკმელთან როგორ გამოატარა ხნიერი სტუმრე-  
ბი - ტყავისქურთუკიანი ბიძა და პალტოიანი სამი ქალი. ჩანდა, ერთი  
ოჯახის წევრები, ან ახლო ნათესავები იყვნენ. კუთხის ოთახიდან მეს-  
მოდა, სტუმრები როგორ ემზადებოდნენ დასანოლად.







ეთომ ფრთხილად შემომილო კარი და ჩურჩულთ იკითხა.

– გძინავთ?

– არა.

– იქნებ „ბორჯომი“ მოგიანდეთ, აი! – თქვა და ჩემ თავით, კოწინა მაგიდაზე ბოთლი, ჭიქა და გასასხნელი გაჩნდა.

ხახა გამიშრა. ვერძნობდი, როგორ ვკარგავდი ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

– ეთო... მოდი აქ... გთხოვ... გეხვეწები...

– ნყალს გადავივლებ და ამოვალ, – თქვა და წავიდა.

ეს სიტყვები სხვათა შორის, თან ისე გულგრილად მითხრა, რომ ასე ადვილად მოცემული დაპირება უმალ ჩემი კადნიერი წინადადების გამასხარავება-განზილების სოფლურ ფანდად მივიჩნიე და იმავე წამს ვიგრძენ, თავდამცირების მწველი განცდა როგორ მთანგავდა და მაქონდრისკაცებდა. ძილი სულ გამიფრთხა. ომა მაინც მყოლოდა გვერდით – მაშინ ხომ ამცდებოდა ეს თავლაფი. ახალა მივხვდი, ქორწილში წამოსვლით რა წინდაუხედავი ნაბიჯი გადავდგი! აღარ ვიცოდი, რა მექნა, ან რაზე მეფიქრა. მომეჩვენა, კაცი კი აღარ ვიყავი, ლოგინში ჩემ მაგიერ ვიღაცის მჩაბე ფიტული ეგდო. მოულოდნელად სულელურზე სულელური აზრი მომივიდა: ავმდგარიყავ, ისევე ქორწილში მივბრუნებულყავ, იმ სქელქურთუკიან ადგილობრივ კაცებს ლოთიფოთურად ჩაეხუტებოდი და მთელი სოფლის სასეიროდ ღორულად გაველემილიყავ! ო, იმწუთას როგორ მენატრებოდა წუხელ, ქეფის დაწყებამდე შენიშნული, ლაფში გაგორებული რამდენიმე მთვრალის ხვედრი!..

აივინიდან უცებ სუსტი ფაჩაფუჩი შემომესმა. გული თითქო გამიჩერდა. კარი შემოიღო, ისევე მიიხურა და ეთო თავს წამომადგა. ტიტველა ფეხები ბოხვერა ფაჩუჩებში წაეყო, ლამის პერანგზე შედარებით მოკლე ბამბაზის ხალათი წამოესხა.

მსხლის ხის ფოთლებშეთხელებული ტოტების სვირინგი უფრო ჯადოსნურად უხატავდა ტანს. ციებცხელებიანივით გავიჩიე კედლისკენ.

ეთომ თავისი ბამბაზის ხალათი სკამზე გადაკიდებულ ჩემს ტანსაცმელზე მიაგდო და მშვიდი, თავდაჯერებული მოძრაობით შემომინვა ჩამთბარ ლოგინში.

– აჰა, მოვედი!

...

მოულოდნელად ვნებაალეკეცილს დავემსგავსე, ვინაიდან შიშმა ამიტანა და ამაკანკალა. მსგავსი შემთხვევითი ამურის სისხლიანი დასასრულის გამო, ვინ იცის, ცხოვრებაში რამდენი თავლაფდასხმული, ხანჯლით განგმირული, ცულით აჩეხილი, სარკმლიდან გადმოხტომისას დამტკერულ-დაფეხვილი ან ტყვიით შუბლგახერეტილი ქალი თუ გონებაჩლუნგი მამრი მყოლია გუნებაში გაკიცხული მათ მიერ გამოჩენილი სულწასულობის, წინდაუხედაობისა თუ ზოგიერთი წვრილმანის გაუთვალისწინებლობისთვის! და, აჰა, მე – სხვის განმსჯელ-გამკილავი! – სრულიად უცხო გარემოში ახლა თვითონ ვიჩენდი საბედისწერო წინდაუხედაობას. რაღანაირი სამარცხვინო თუ სისხლიანი სცენები არ მერეოდა გონებაში! კვლავ შემაკანკალა.

– რა მოვივიდა? – ჩამჩურჩულა ეთომ და ჩამეკრა.

- შიშმა ამიტანა.
- რა გაშინებს?
- ჰმ!.. შენ თითონ არ გეშინია?
- რისა უნდა მეშინოდეს?!
- როგორ თუ რისა!.. შენი ქმარი რომ დაგვადგეს თავზე?
- ვერ დაგვადგება!
- რა იცი?
- ვიცი!
- ეხლა სად არის?
- რაში გაინტერესებს?
- მოიცა, მოიცა! ნელან ომამ ლეგო რომ გიხსენა, ვინ არის?
- ჩემი ქმარი.
- ჰოდა, ეხლა სად არის?
- მინაში!
- ეგ პასუხი არ არის!.. ქორწილში იყო?
- არა.
- რატომ?



- იმიტომ რომ სულელია!
  - როგორ თუ სულელი?! ეს რანაირად გავიგოთ?
- ეთომ თავშეკავებით ამოიხრა.

- ამას და ერთ მეზობლის გოგოს თურმე ბავშვობიდანვე შეჰყვავ-  
რებოდით ერთმანეთი, მაგრამ ის ჩემი ცოდვით საცხე მეთათე კლასიდან  
სხვა სოფელს წაჰყოლოდა, ეს კი გადარეულა და ეგე, ის დღე და ეს  
დღე - აღარ ნელდება მისი სიყვარული!

ეთო დაქანცულივით ჩაჩუმდა.

- ახლაც რამდენი წამოუვლის, სატრფიალო ლექსებს გამოუგონებს  
ხოლმე, მერე თავისივე ხელით გამოთლილი ჩონგურიანად სამი-ოთხი  
დღით იკარგება და იმ ლექსებს გაიმღერის იმათ სახლთან, სკოლის  
ეზოში, თუ რამ დღეობაა ან ქორწილი... ჰო, ან კიდევ იმათი სოფლის  
ტყეებში დაქანკალებს და „დრუებით“ გადანახერხ კუნძებზე თავის  
სასიყვარულო კუპლებებს ანერს - რა არის, შემაზე წასულეებმაც ნახ-  
ონ და ნაიკითხონ!

- რას ამბობს იმ ქალის ქმარი?

- რა უნდა თქვას, არაფერი! აბა, ამას თავს ხომ არ გაუტოლებს:  
ის ჭკუადამჯდარი კაცია, ზოტეჭნიკოსი, კოლმეურნეობის ქონება  
ხელში უჭირავს და ცოლ-შვილს სუ ფუფუნებაში ამყოფებს!.. ემღერება  
და იმღეროსო, დასცინის ამ უბედურს, მაგრამ ეს აინუნშიაც არაფერს  
იტარებს - იმას ლექსები კი უმღერ-უგალობს და!..

- შორია იმ სოფლამდე?

- ოცდაშვიდი კილომეტრია.

- მერე, იქ ღამეს სად ითევს?

- იჰ, ღამის სათევის მეტი რა აშავია! ძმადნაფიცთან, მწყემსებთან,  
მეტყველების ქოხში, თივის ზვინებში... ერთ ზამთარს, ესე თივის ზვინში  
შემჭერალს, მგლები შეჭამდნენ, ქორწილიდან მომავლებული მაცრები  
რომ არ წამოსწყვეტებოდნენ! მაგრამ მაინც არ იშლის! თუ ერთი წამ-  
ოუარა, მერე მორჩა - თოკებითაც ვეღარ დაიჭერ!.. ჰოდა, ახლაც სა-  
მი-ოთხი დღით იმ თავის მზეთუნახავთანაა გადაქაჯული კუპლებების  
სამღერლად!.. აბა, ის მამაა?.. ის ქმარია?..



– რატომ გამოჰყევით ამისთანას?  
 – ეჰ, რა ვიცოდი! მე ამ მხრისა არა ვარ – მოტყუებით ნამომიყვანეს მაგისმა ბიძებმა.

– საიდან?

– მაგას რა მნიშვნელობას აქვს?

ორჭოფული სიჩუმე ჩამოგვივარდა.

– ომა?

– ისინი დილაამდე ვერ ჩამოვლენ... გინდაც მოვიდეს, ძაღლს უჩემოდ ვერ შემოუვა.

ღრმა დუმილმა დაისადგურა. ქვემოდან კვლავ მოისმა ხრანტალ-ბუტბუტი.

– ეგ? ეგ ვილაა?

– მამამთილი! ნუ გეშინია, ბრიყვია!

– მერე, სიბრიყვე რას დაუშლის აქ ამოსვლაში?

ეთოს გულიანად, თუმც თავშეკავებით გაეცინა და უფრო ჩამეკონა.

– როგორ თუ სახლი მაღალაფინიანი ააშენეთ და არა დაბალზე, როგორც მე ვთქვიო, გაგვიწყრა და აღთქმა დადო – მე მაღლა ამომსვლელი არა ვარო! მესხეთე წელია, რაც სიტყვას ჯერ არ გადასულა და რაღა ამაღამ დაარღვევს თავის ფიცს?! – ნამქვებულურად ჩამჭურჩულა და აღარც მახსოვს, როგორ დაგვატრიალა ვნების მორევმა.

\* \* \*

დილაადრიან დამშუული ღორების ხმაშენწყობილმა ჭყვივილმა გამო-მადვიდა, შეუპოვრად რომ აჯაყუნებდნენ სალორის მძიმე კარს. ეთო გვერდში აღარ მენვა. ომას ლოგინიც ხელუხლებელი იყო. გავიხედე სარკმელში – ბურუსით გაპენტილი მსხლის ტოტების მეტი არაფერი მოჩანდა. ისიც კი არ ვიცოდი, საით იყო აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი – ეს კი უარესად მახსენებდა – დაქოქვა დამ-ვინყებოდა! აღარ ვიცოდი, როგორ მოექცეულიყავი – ავმდგარიყავ, ისევე ეწოლილიყავ?! ღორებმა ჭყვივლი შეწყვიტეს და მიუთმენელი ტრუხუნ-ღრუტუნი გააბეს – ჩანდა, სალაფავი შეუტანეს.

ეთომ ფრთხილად შემოალო კარი.

– უკვე გაიღვიძე?

– დიდი ხანია!.. მოდი!

შემოვიდა. ჩემს სანოლთან მიგდებული ცხერის ტყავი ფეხის წვერ-ით მოხდენილად გაისწორა და ზედ მუხლებზე დაეშვა. ფიქალისფერი ყელიანი სვიტერი ეცვა. სახე გუშინდელზე უფრო დასვენებული და ქორფა ჰქონდა, თუმც რაღაცნაირად ნამოგზნებული. ეს უფრო მიმზიდველს ხდიდა.

– გაიხადე და მოდი! – შევღალადავ და კედლისკენ გავინი.

– თბილისში ნამსვლელი ჩემი სტუმრები მალე ადგებიან და ქვევით ჩავიყვან, – თქვა ეთომ, – შენც მათთან ერთად ისაუბმებ და პირველ-საათიან დიდ სუფრას დაუციდი?

– არა, არა, პირველი საათი რასა ჰქვია! – მივუგე აფორიაქებულმა და შეუმჩნეველად ჩემს ფიქრებს გავყევი, ტვინს რომ მიკორტინდნენ, – პირველ საათამდე ხომ ქუთაისში უნდა ვიყო!

- ქუთაისში?! - აკი... ქუთაისელი ხარ?
- არა, არა!.. ომასი რა ისმის?
- არაფერი.
- ალბათ, ლომასთან დაიძინებდა!
- ალბათ.

დრო აღარ ითმენდა. უნდა წამოემხტარეყავ, ომა მომენახა და სასწრაფოდ გზას გამოვდგომოდით. თან ეთოც აღარ მეთომობდა. საშიშელი წუთი ჩამოვდგა.

- ეთო, ნუღარ მანამებ... გთხოვ... გაიხადე და მოდი!
- სიჩუმე უცნაურად გაშეშდა.


- რა, გახდა აუცილებელია? - მოთაფლული ღიმილი თბილი წყაღივით გადამავლო და თვალი თვალში გამიყარა. მისი თვალებიდან ანახსლეთი სხივები არწივის კლანჭებოვით ჩამესო და იმავე წამს ვიგრძენი - რომელიღაც გაუმადლარი, სისხლიწუნწია მტაცებლის უღონო მსხვერპლის მეტს აღარაფერს წარმოვადგენდი.


\*\*\*

ლომასას რომ მივედით, თბილისში წამსვლელებისთვის უკვე იშლეზბოდა სახელდახლო სუფრა. ეზოდან გზაზე გამოყვანილ „რაფს“ ჩასუქებული შოფერი გამართულობას უსინჯავდა. აღარ თქორავდა, თუმცა არც თხელი ბურუსის გადაყრას აპირებდა. ციოდა. ვიღაც თეთრწინდებიანი ყაჩა კაცი აულაგებელი მაგიდების ბოლოდან მთელ-მთელ შოთებს დინჯად ისროდა სალორეში და ასე აჩუმებდა აჭყვივებულ ღორებს. სანახევროდ ბრეზენტგადახდილ სამზარეულოში მომურული ქვაბებით კერძები ცხელდებოდა. ეზო-ყურე წამუსრევით იყო მოფენილი... თვალს ვერ არიდედბდით აქა-იქ მიკიდებულ-მოკიდებულ ცხვრის ქათათა ტყავებს. ბალახებში და ქონით გასიპულ, დაკეჭნილ მაგიდაზე იღლია-იღლია ეყარა წუხელ ნახმარი რკინის უზომოდ გრძელი შამფურები. ზოგიერთ სავსე შამფურს ზედვე შეჭყინოდა ძვლიანი მწვადი... წუხელ უზომო სმისგან გატიალებული რამდენიმე კაცი სათივესთან უაზროდ უტრიალებდა სველ ბალახზე გვერდიგვერდ დალაგებულ ძროხის ოთხ თავსა და შემასავით აყორილ ძროხისავე მოკლე-მოკლე ფეხებს. დაცლილი, მაგრამ ჯერ გაუსუფთავებელი ფაშვები ცოტა მოშორებით ეყარა. ერთი გვერდელა კაცი კი ძროხის კუდეებს განაგებდა. გრძელი, თაფლისფერი კუდი მავთულით უკვე ჩამოება კომმის ტოტზე და ტარჭრელი ჯავვით მდუმარედ ატყავებდა. სანაგვეზე გატანილ შიგნეულსა და წამუსრევს ძალღები ეხვეოდნენ...

ჩვენი მისვლისთანავე ეთო ქალებმა მეზობლებში გაიყოლეს ჭურჭლის დასარეცხად. ლომა არსად ჩანდა, მის ჯალაბობას ჯერ კიდევ ეძინა, ხოლო ვისაც კი შევეკითხე, ომას ალი-კვალი არავინ უწყოდა. აღარ ვიცოდე, რა წყალს მივცემოდი. ბედად გამწნსრიგებელი გამონწნდა - ვინც წუხელ სუფრაზე დამსვა! უმალ მასთან გავწნდი. უძილობისა და მხეცურად სმისგან ადამიანის სახე და ფერი აღარ ჰქონდა.

- ომა...
- წუხელ როგორი დროება გაატარე, ხალსტუკიანო? - ისეთი ხავილი აღმოხდა, ბოლოსღა მივხვდი, რა მკითხა.
- დიდებული! ომა...
- მოდიოდა თუ ვერა ხაშლამა, მწვადი, ჩაქა...





- კი, კი! ომა...
- აბა, რას გელაპარაკებოდი! ხალსტუკი რა უყავი?
- ჯიბეში მიდევს. ომა...
- რა ვიცი, ხო არ დაკარგა-მეთქი! უუუ-უ!..

გამნესრიგებელს საშინლად დაახველა, მერე კი ახველა და ახველა - კინაღამ დაიხრჩო. ხველამ რომ გაუარა, ახლა „პრიმა“ ამოიღო და მოთმინებიდან გამომყვანი, ჯიბრიანი სიდინჯით დაიწყო ისედაც დაფუკული ღერის სრესა და მოკიდება. როგორც იქნა, მოუკიდა და ღრმა ნაფაზი ხველებ-ხველებით დაარტყა.

- ხომ არ იცით, ომა სად იქნება?
- როგორ არ იცი, - გამნესრიგებელმა თითით მოიხოცა ტრემლები,
- ომას კი არა სჭირდება რა, მაგრამ ეს ჯერ არ ამოულიათ!

- ვერაფერი გავიგე.
- რა არ ამოულიათ?
- როგორ, შენ არა გავიგია რა?
- რა უნდა გამეგო?
- დაცა, არ იცი, რა მოხდა?
- სად?

- ერიჰაა!.. მაიცა, მაიცა - შენ ნუხელ სად გეძინა?  
 - სადა? სადა და.. ომას... ლეგოს... ისა, რა ჰქვია, ეთოაანთას!  
 - აჰა, გა-სა-გე-ბია! - ბილნი ღიმილით ჩამომიმარცვლა გამნესრიგებელმა და ისე მისწურად ასნია უჯიშო ბუსუსებო, ნარბების მაგივრობას რომ უწევდნენ, თითქო ფარული ჭუჭრუტანიდან ეცქიროს, რაც ნუხელ და დილას ჩემ და ეთოს შორის მოხდა, - ეხლა ყველაფერი გასაგებია! მაგიტომაც!.. ჰმ!

ბრაზის, ეჭვისა და თავდამცირებისაგან საფეთქლები ამეწვა, ზურგი უსიამოდ შემიტენიანდა. ეთოსადმიც საშინელი ზიზღი და მძინვარება მომიგუბდა. მომეჩვენა, რომ საქვეყნოდ სახელგაყარდნილმა ვილატ აშალლარამ სიბინძურის ტლაპოში ნესტოებამდე შემატოპინა.

- ჰოდა, ახლა სად არის ომა? - ძლივს ვერეოდი ბრაზსაც, ხმასაც.
- ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს! - მან გვერდზე უდარდელად გადაიწია და ისე დამაცქერდა, როგორც ხაფანგში გამომწყვდეულ თავგეს, - სად გეჩქარება, აგე, სუფრის გაშლა ჯერ ეხლა დაიწყეს!.. ჰოდა, ეგენი ხო ნუხელ ჯიხვის ჩამოსატანად უნდა წასულიყვნენ...

- ვიცი, ვიცი! მერე, მერე?
- არა, წავიდნენ კიდევცა!.. მაგრამ, აბა, პურუჭმელები ხო არ წავიდოდნენ?! აგე, გადაღმა მეზობელთან - ძოძის ვეძახით! - იმასთან ისხდნენ! გაგონილს კი არ ვიძახი - კერძები მე თითონ შამქონდა! იმ სახედალლებმა თან ამ ფიპიტაურსაც დაუწყეს სმა! ჯერ ვითომ თითო-თითო ყანწიო, მაგრამ მერე მოდი, კიდე თითო-თითოცაო! რა გესწავლება, როგორ იცის შეყოლიება ამ მამგონძალმა!.. არა, მე კი ვურჩევდი - ბიჭებო, შორი რამ ავსავალი გზატილი გიძევთ წინა, ჯერ ჩამაიტანეთ ჯიხვი და ეს სასმელი სად გაგეცქევთ-მეთქი, მაგრამ არ დაიშალეს!

- მერე, მერე?
- მოკლედ, აქედან რო გავიდნენ, ხუთივენი კარგად იყვნენ!
- კი მაგრამ, ერთი ჯიხვის ჩამოტანას ხუთი კაცი რად უნდოდა?
- რა ვიცი, აბა!.. ჰოდა, აგე, ნახეურებამდე კარგად ევლოთ, ნახეჩურების თავქვეზე კი ამ ომას პავაროტი ველარ აელო და ხევში გად-




აცვენილიყვენენ!

ელდა მეცა.

- ვინმე...

- არა, არა, თითიც არავის სტკენიყო! - თითქოს სინანულით ჩაიხიხინა გამწესრიგებელმა, - ბარდნარში გახვეულ პანტებს მანქანა ბაყაყივით ზურგით დასცემიყო! ოლონდ ეკალ-ბარდებიდან ამოძრომისას ხუთივე ეგეთი გამზდარიყო, კატების დაკანრულები გეგონებათო!. ხევიდან რო ამობლოტებულებიყვენენ, თათბირი ჩაეგდოთ - ეხლა როგორღა მოვიტყეთო. ამოდენა გზას უკან ფეხით რა გავივლის, ე გორგაღმა დედიძმა ცხოვრობს და მოდი, იმასთან მივიდეთო, ეთქო ერთსა, კუშტიასა!.. თითონ ეგ კუშტია აქაური არ გახლავს, ჩამოსიძებულია!.. ჰოდა, ეგრეც მოქცეულიყვენენ!



გამწესრიგებელმა შურნარევი ალტაცებით შემომანათა ნეიტ-ნეიტი თვალები.

- ამ კუშტიას დედიძმის მეზობელს კიდევ ტყუპის ძეობა ჰქონიყო!!! დეიკეთი და ჭედილა დაეკალათ!!!

- უჰ!

- აბა! ნაკანრები მოებანიებინათ, რაც რამ ტანისამოსი დაფხრნოდათ, გამოცვლევინებინათ და ესენიც ძეობაში გადაეპატივებინათ! მერე ამათაც ეთქვათ ერთმანეთში - ე ქორნილში ქეიფი და ჯიხვის მწვადები ხო დავკარგეთ და დავკარგეთ და, უფალი რო არ გავიწყრომთ, მოდი, ჩვენი გადარჩენისა აქ მაინც გაეზახოთო! მათაჰ!

ვიგრძენ, არემარემ ცალ მხარეს როგორ იწყო ნელა-ნელა გადახრა. სკამის საზურგეს ჩამოვეყრდენ, რომ არ ნავექცეულიყავ.

- ჰოდა, ეხლა აქ სად ვნახო ომა? - ფიცხლავ ჩავეკითხე და გამწესრიგებლის შემოხედვამ იმწამსვე მაგრძნობინა, ველარ ვაზროვნებდი.

- ახლა აქ ომას სადა ნახავ?! - შემომამტერდა მთხრობელი, - ხუთივენი ჭყიმგორში კუშტიას დედიძმასთან მთვრალეები უწყვიან და სძინავთო!

- თქვენ ეგ ვინ გითხრათ?

- იქიდან ნამოგზავნილი მაცნე დილას ცხენხეთქებით მოგვადგა - ეგეთი ამბავია და თქვენც იცოდეთო, თავი არ შაიშინოთო!.. ჰოდა, წელან ეს ლომაც მაგიტომ გადავიდა მეზობლებში - იქნებ ე მანქანა მაინც ამოვადებინო ბიჭებსაო!..

- აჰა... გასაგებია... - უაზროდ მივუგე და თან უმოწყალოდ ვინვალებდი ყელსა და სასას, მაგრამ ნერწყვის ნაჟურს ველარსაიდან ვწუწავდი.

- ყური მაიტა აქა, - გამწესრიგებელმა ხიხინი შეთქმულივით დაიდაბლა და ქურდულ-მსუნაგურად გახედა წამსვლელებისთვის განკუთვნილ სუფრას, რომლის განყოფას უკვე ამთავრებდნენ, - რალაც ვერ გატყობ ნასვამობას... ეს ჩვენი ყროლი ყიპიტაური თუ ვერ მოიხდინე, ჭაჭის არაყს გამოვატანინებ და ჯერ იმით დავიწყეთო... დაიცა, ვინ იცის, იქნებ გამოტანილიც ჰქონდეთო... ელო!

- მიწის დაყრა!

"რაფის" შოფერთან მივედი, ვუთხარი, ვინ ვიყავი, სად ვმუშაობდი, აუხესენი, რა ხათაბალაში ჩავიგდე თავი და დახმარება ვთხოვე.

- ჩემ გვერდით დაგსვამ.

წამსვლელები სუფრასთან მიგვიწვიეს. ჰაერი ახალდნაყილი



ნიერის სუნიტ ყარდა. მე საქმლის გაგონებაც კი არ მინდოდა, მაგრამ უარი რომ მეტევა, პატიჟს მოჰყვებოდნენ, ეს კი მხოლოდ დროს დავვაკარგვინებდა. ამიტომ დანარჩენებთან ერთად უსიტყვოდ მივუჯექი მაგიდას.

ჭრელგულსაფრიანი ქალი უმალ თავზე დამადგა. რეზინის მწვანე, ოლონდ ყვითელძირიანი ჩექმები ეცვა. ეს ის ქალბატონი აღმოჩნდა, ნუხელ რომ აიჟინა – პატარძლისთვის ძენკვი მე შემემა. ახალა დავაკვირდი კარგად: ჩემს სიცოცხლეში ჯერ არსად მენახა ასეთი ურცხვი თვალები და ავხორცი პირ-ტუჩი.

- ჩიხირთმა, ბულიონი, თუ ბოზ...
- ბულიონი, ოლონდ უნივროდ.
- უნივროდ რა გემო ექნება!.. რამდენი სანენე?
- ერთი ჩაის ჭიქისოდენა!
- ჰი-ჰი-ჰი!

...

მართალია, შოფერი შემპირდა, ჩემ გვერდით დავსვამო, მაგრამ ერთი ჩაგოდრებული ბიძაკი ვერანაირად ვერ გაიმართა უკან სავარძელზე და ისევე მე გაუცვალე ადგილი. სულ უკან, მარცხენა კუთხეში მოვთავსდი. ეს მყუდრო, მგზავრების თვალს მოფარებული კუნჭული უფრო ეხამებოდა ჩემს სივალაღეს. სარკმლის დალაქავებული მინა ბოლომდე გაენიე. შოფერი სიფრთხილით უქცევდა გვერდს გუბებით დაფარულ სახიფათო ოღროჩოღროებს. სარკმელში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გუმინდელი და ახალი სურათები: თივის ზეინები, ნამჯის პირამიდები, სიმინდის ფუჩჩის მწვერვალები, გაურჩეველი ლობოით გამოტენილი სათავსოები, აივნებზე სქლად გაფენილი ტარიონი სიმინდი, ფერად-ფერადი ვაშლით მოფენილი მოლიანი ბაღები, თრევის-გან გვერდგაყვლეფილი ნიფლის გრძელი ხეები, გზებზე მოხეტიალე პირუტყვი, ჭიშკრის გრძელ სკამებზე ჩამწკრივებულ, რაიონის ბაზარზე ნასალბე თუ თბილისში გასატანებულ თვენაკრულ ვედროებთან მდგარი შავქოლგანი ქალები და შაოსანი დედაბრები, ტყისკენ ბარბან-ბარბანით მიმავალი სათრეველიანი პატარა ტრაქტორი, აქაურთა სევისმომგვერელად გულგრილი სახეები...

სოფელს ათიოდე კილომეტრით რომ გავცდით და ჩავითავქვევით, სალონში უცებ ჩოჩქოლი ატყდა. „აგერ, აგერ!.. დედაააა!“ ყველა მარცხენა სარკმლებს მოაწყდა და დაბურულ ხეში ჩაჭყეტას ლამობდა. ველარ ვიცანი ჩვენი „კოლხოზნიკი“. ანდა, რალა უნდა მეცნო: ხშირ ბარდნარში ჩაფლულს, გაგანგლული მუცელი და ჰაერში აშვერილი ლაფიანი საბურავებია მოუჩანდა.

– აქ როგორ უნდა გადავარდნილიყო?! – მგზავრების, უფრო კი ჩემ გასაკონად ვადმოილაპარაკა ჩვენმა შოფერმა და სიჩქარეს ისე უცებ მოუმატა, თითქო სურდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა დანავსულ ადგილს.

მნუხარებამ გულზე მარნუხივით მომიჭირა. სულიერად მოღლილ-მოთენთილი, ველარ ვახერხებდი გუმინდელს აქეთ ნანახისა და ვანცდილის გააზრებას, დალაგებას, გადახარშვას. განსაკუთრებით ეთორი ფიქრი მაფორიაქებდა. ვინ იყო, რას წარმოადგენდა: წესიერი ქალი, ცამონმენდილზე მართლა რალაცით უცებ რომ მოვენონე და

მერე ხანმოკლე, მაგრამ დიდი სულიერი ტანჯვა-მერყეობის შემდეგ დაუშვა გამონაკლისი, თუ ერთი საქვეყნოდ სახელგავარდნილი, გაუ-მაძღარი და განურჩეველი კახბა, ვისთვისაც მე უმნიშვნელო, ვინ იცის, რიგით მერამდენე მსხვერპლს წარმოვადგენდი.

წიფლნარში რომ შევედით, სქელი ნისლი ჩამოგვიწვა. ტაატით მიმავალი მანქანა აკვანივით გვარწევდა და რულს გვეგვირდა. ვინრო, დაოლ-როჩოლორეობული, მისახვევ-მოსახვევიანი გზის ორივე მხარეს ზღაპრულად გამოჩნდნენ ბურუსის ფაფაში შეფლული ტანმძიმე წიფლები. მათმა თვალგამტერებით ცქერამ გამოიტაცა, თავბრუსხვევით და მხვია და ისედაც მტანჯველურ ფიქრებს თავმიცემულს, უცრად შემაკრთობელი მოჩვენება წამომელანდა: თითქო სქელი ბურუსიდან გამოსული და დიდრონ-დიდრონ წიფლებს ამოსაფრებული ეთოს სულელი ქმრის ბუნდოვანი ლანდი ტყე-ტყე მომდევდა და მომაცილებდა!!!

ამ მოულოდნელმა წამოლანდებამ უცებ ისე შემაძრწუნა და გამომცვალა, მე თვითონ ვეღარ ვცნობდი საკუთარ თავს. გუშინდელს აქეთ ამ წამამდე რაც კი მაკვირვებდა, მიზიდავდა, მართობდა, მაღიზიანებდა, მასფოთებდა, მსიამოვნებდა თუ მაშინებდა, ახლა უცებ ყოვლად უმნიშვნელო წერილმანებად იქცნენ, გამხმარი ყვავილის ფოთლებივით უხბმოდ ჩაიფურცლნენ და მთელი ჩემი ფიქრები ჩემთვის სრულიად უცნობ ადამიანს, ეთოს ქმარს დაუტრიალდნენ!


რადაც აკვირებულნი, მწველი შინაგანი მოთხოვნილებით მომწყურდა სრული სიმართლის შეტყობა – სინამდვილეში რას წარმოადგენდა ეთოს ქმარი?! მართლა ერთი ჭკუისგლახა იყო, როგორც ეთომ დამისურათხატა და მეც, პირუტყველად ჟინმორეულმა, ანგარიშმოუცემლად დავუჯერე, თუ ცოლმა ქმრის სულელობა თავისი უღირსი საქციელის გასაპართლებლად მომიჩმახა. ანდა, ვინ იცის, გონებაშეზღუდულსა და კალთანამობდილ ცოლს იქნებ მართლაც სულელად ჩვენებობდა სრულიად ღირსეული ქმარი?!

მწარე განცდებმა თვალები მომახუჭინეს და მანქანის რწევას აყოლილი ფიქრი უფრო შორს წამივიდა. ბურუსიდან წამოლანდებული ეთოს ქმარი იქნება სულელი კი არა, ცათა სწორი მიჯნური იყო, სატრფოს ღალატმა ლექსების თხზვა რომ შთააგონა, თავისივე მარჯვენიით გამოთლილი ჩონგური ააღებინა და „როცა წამოუვლიდა“, სოფელ-სოფელ მოურიდებელი ხეტიალი და მღერა დაანყებინა!

ან ჭკვაგარკვევით ჯერ კიდევ ვინ უწყაოდა, უპირო სატრფოსადმი იმ უბედურის მიერ ახალგადაწამორებზე წანანერი ლექსები იქნება ღიმილის მომგვრელი გრაფომანული აბდაუბდა კი არ იყო, არამედ ჩვენი ძველი ფოლკლორისტების მიერ შემთხვევიდან შემთხვევამდე ხალხის წიაღში ნაპოვნი ობოლი მარგალიტისებური სტროფები, ხალხური პოეზიის ყდაშემოცრცნილ ერთგომეულებს რომ გვიმშვენიებენ!

ამის გაფიქრებისთანავე ჩემს წარმოსახვაში მთელი თავისი სიმაღლეთა და შიშისმომგვრელი სწორუპოვრობით გამოიძერწა და აღმართა ავზორცი ცოლისაგან ცილდანამებული და ჩემისთანა სულმოკლე კაცისაგან სარცელშეგინებული უდანაშაულო, ჭირთამთმენი, პირველი უიღბლო სიყვარულისგან ისედაც ლახვარსობილი გზაკვალარეული ყარბი, რომლის ფეხის ფრჩხილადაც არ ვღირდით ორთავენი – მეცა და ეთოც.

ცრემლმა მოხუჭული თვალებიდანაც კი გადმომწონა. უცებ საკ-







ვირველი თანაგრძნობა და სიყვარული მომანვა ჩემთვის სრულიად უცხო კაცისადმი.

ახლა მოულოდნელად დაბადებულმა, მაგრამ აუხდენელმა სურვილმა დამიწყო წამება: გადმოვსულიყავი მანქანიდან, ისევ უკან ავბრუნებულიყავი, როგორმე შემეტყო ეთოს ქმრის ასავალ-დასავალი და საკუთარი თვლით მეხილა – ვინ იყო, რას წარმოადგენდა. მაგრამ რამდენადაც მეტად მაცდუნებდა და მიტაცებდა ამის სურვილი, იმდენადვე უმონყალოდ ისუსხებოდა მკაცრი სინამდვილე – ეს შეუძლებელი და თან უაზროც იყო!

წამტირალევი თვალები გავახილე, რათა სარკმელში ცქერით მაინც დამეღწია თავი მტანჯველი ოცნებისათვის. და, აჰა, ისევ ის წელანდებური წამოლანდება: სქელი ბურუსიდან გამოსული ეთოს ქმრის ბუნდოვანი, წარმოსახვითი ლანდი კვლავ ტყე-ტყე მომდევდა და მომაცლილებდა!

...

მას აქეთ ბევრმა კოკაპირმა წყალმა ჩაიარა. მუხთალმა წუთი-სოფელმა მეც რამდენიმე ჯამუკა შხამი შემახვრეპინა. სამჯერ მომიხდა დაოჯახება. ეხუმრებით?! იმ ძველმა, პრესტიჟულმა სამსახურმაც კარგა ხანია, მოჭამა თავისი პური. ბევრი სამსახური, მძიმე სამუშაო და ორგუნება უფროსი გამოვიცვალე. სამივე ცოლთან ნაყოლი შვილები დაიზარდნენ, დაქსუვდნენ და დამეფანტნენ.

როგორც მზეჩანურულ კაცს სჩვევია ხოლმე, მეც ხშირად დავცურავ მოგონებებში. ბევრი რამ, ალბათ, სულ გადამვარდა გონებიდან, ბევრიც ბუნდოვნადლა მაგონდება. მაგრამ როგორც კი მთის იმ პატარა სოფელში, ქორწილის ღამეს ჩანადენი წამომავონდება, სხვა ყველა გასახსენებელს ის გადასწონის ხოლმე და სქელი ბურუსიდან გამოსული უცნობი კაცის ბუნდოვანი ლანდის წარმოდგენა მაშინდელზე უფრო მეტ ზნეობრივ ტანჯვას მაცენებს.

რეზო ადამია

**ტრაპიზონული დღიურიდან**


(გაგრძელება. დასაწყისი № 1, 2009)

3 ოქტომბერი, 1999 წ.

დილაადრიან ღრუბლიანი დღეა, და სანაპიროზე ოდნავი ბურუსიც. მიზნობრივად არ მანყობს თურქეთში სევდიანი სურათების შექმნა, მაგრამ რას იზამ – პეიზაჟი ითხოვს ყველაფერთან ერთად სიმართლესა და გულწრფელობას.

მოტივზე სამუშაოდ ზღვის სანაპიროზე გავედი, სადაც გადასასვლელია ქვის ბუნებრივი ლოდებით. ტანთ ვიხდი, მერმე ახალგაზრდა ბიჭების დახმარებით ჩავდივარ ზღვაში, ჩემ წინ სიღრმეში აღმართულია 30 მეტრის სიმაღლის კლდელოდი. მას უერთდება მეორე კლდის ნაწილი, რომელიც მათ შუა არსებულ ბუნებრივ გვირაბს მოიცავს, კამკამა წყლიანს.

პეიზაჟზე სამუშაოდ როგორც იქნა მოვეწყვე. წყალი აქ მუხლამდეა და ზღვის დეღვა ნულამდეა დასული. სიღრმეში ორი დიდი გემი დგას, ერთი შავი ფერის და სიგრძივი ფორმისა, მეორე – მის უკან უფრო ვიწრო და ისიც მუქი ფერის ჩანს. ბაცი ვერცხლის ფერია ირგვლივ ყოველივე. ამდაგვარი მოტივი ბევრ მათეთრებელს („ბელილას“) მოითხოვს. „ეტიუდნიკი“ წყალში ჩავაყენე და ხატვა დავიწყე. აქაურობა შიშველი, ტრუსის ამარა ბავშვებითაა საესე, ხალისით ბანაობენ და ჭყუმპალაობენ. ბავშვი ხომ ყველგან ბავშვია. უფროსებს ვთხოვ, დააწყნარეთ ესენი-მეთქი და ცოტა ხანში მართლაც წყნარდებიან. ამყამად ვემორჩილები ბუნების უცნაურ განწყობილებას, მისი მხატვრულად მრავალმხრივი გაღრმავებაც შეიძლება, მაგრამ მემშინია მოტივი არ ჩამივიარდეს. ჯგუფ-ჯგუფად მოდიან სტუდენტები, რამდენიმე გოგოცაა, უფრო კი – ბიჭები. როგორც იქნა პეიზაჟი მივიყვანე ბოლომდე. უკან დაბრუნებისას ერთი ხუთი მეტრი გულმკერდამდე სიღრმის წყალი უნდა გამოვიარო, პატარ-პატარა მოცურავე ტალღებიანი. თუ ზღვის დეღვა დაიწყო, აქაურობას კარგი მოცურავეც ვერ გაეკარება – ვინ იცის, რომელ კლდის წვეტს მივახეთქებს. პატარა ბიჭები მესმარებიან და როგორც იქნა გავდივარ სამშვიდობოს. ახალი სურათით სასატუმროში მოვედი. პუსეინ ეფენდი არა ჩანს, მაგრამ ცნობისმოყვარეები არ მაკლია და რიგრიგობით მომმართავენ: „იახში, რესნია ეფენდი“... მეც მაღლობას ვიხდი და ალბათ კაცს არა ვგავარ დაღლილობისაგან, ლეფტი გამოვიძახე და უკანმოუხედავად ნომრისაკენ გავექანე. ოთახში ყველაფერი მოვანჯსრივე, ცოტა დავისვენე და მერე ჩემს ბიჭებთან ჩავედი რესტორანში. მეგობრულად დამხვდნენ. დღევანდელი სურათიც ნახეს, მოეწონათ და გაიხარეს. ერთ-ერთი ახალგაზრდა ოფიცინტი ბიჭი მეუბნება: თურქულ სასმელს, რაქის, მოგიტანო, ეფენდი!





მხატვარს არ აკლდა ქუჩის  
 მაყურებელი.

ნოს. ხშირად საპატიო ტურისტები თუ სტუმრები მთელი მსოფლიოდან ამათთან მოჰყავთ ხოლმე. გუშინ ოცამდე ამერიკელი იყო, გუშინ წინ – გერმანელები. ხვალ ისევ სანაპიროზე გავალ, შემდეგ ნელი-ნელ ამფიბიასავით ხმელეთსაც ვენვევი, რა თქმა უნდა, ურთულეს ობიექტს მხატვრისთვის, თუმცა არც ზღვა და მისი სანაპიროა ნაკლებად საძინელო.


#### 4 ოქტომბერი

ისევ სევდიანი და ბურუსიანი ამინდია. ვეჭვობ ამინდი გამოსწორდეს, მაგრამ მაინც სანაპიროზე გავედი. მერე მარტივით ინათა. დავიწყე პატარა ეტრუდი – ქვის ლოდები და ცოტათი შორს, ზღვის სიღრმეში დიდი გემი. არა უშავს რა გამომივიდა. სასტუმროში ადრე დავბარუნდი. შემდეგ სახატავი ალბომით ქალაქში გავედი. ბაზრის გავლით მოტივები მოვიძიე. რუსულ ბაზართან ახლოს სენაკის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის, ნოე შონიას, ძმისშვილს, ნანა შონიას, ავტობუსების ოფისი აქვს, მასთან შევიარე. იქ რამდენიმე ქართველიც იყო, უფრო ქალები. ქალბატონ ნანას ქალაქის ღირსშესანიშნაობების შესახებ ვეკითხები – სად რა ისტორიული ადგილებია. არ ვიცოდი და მისგან გავიგე, ათა თურქის კოშკი ტრაპიზონში ყოფილა. ცოტა ხანს ვისაუბრეთ და მერმე ჩემს საქმეებზე წავედი. ბატონი გია სოჭიდან ჩამოსულა. საღამოს სასტუმროში მოვიდა. დღეს მეპატრონეს შეხვედრია და იმას უთქვამს, მეჩეთები და ქალაქის ხედები დამიხატოსო. ასეც ვაპირებდი. რა თავდადებული აკვდება ამ სურათებსო, უბრალოდ დახატოს, ჩემთვის საკმარისია, თან ბევრი დახატოსო. ეფენდი თავისას მიიღებს, – ბატონ ვიას ვეუბნები, – მე კი რამდენს დავხატავ, ეს ჩემზეც არაა დამოკიდებული – მანქანა ხომ არა ვარ-მეთქი. ის კი მირჩევნია, უბრალო ბინაში ვცხოვრობდე სადმე და ყველა ნამუშევრის გამოჩენა არ მეშინოდეს. ბატონი გია მეუბნება, თბილისში წასაღები სურათები ჩემთან გადმოიტანე, საკონსულტოს ოფისშიო.

ღამლამობით ჩემი მფარველი ხატების წერა დავიწყე – მთავარ-ანგელოზების. გემ „აპოლონიას“ მეპატრონეს თავისი სურათი დღეს



უნდა მიეუტანო. ასი დოლარი ჩემთვის დიდი საქმეა. მეორე დამკვეთი, ნავსადგურის გავლენიანი პირი, ვერ ვნახე. სურათი მზადაა, ამ დღეებში შევხვდები უთუოდ. თან სასტუმროს მეპატრონისა მერიდება. ასეთია იმ მხატვრის ბედი, რომელიც სხვაზეა დამოკიდებული. მე კი სულ სხვა გეგმებით ჩამოვედი აქ, მაგრამ უსახსრობის გამო ჩემი სათაყვანებელი ლაზების სოფლებში ვერ გავდივარ. ნუხელ, მადლობა ღმერთს, ერთი პატარა ზომის შინდისფერი მთავარანგელოზი დავამთარე.



ტრაპიზონის ძველი უბანი.

### 5 ოქტომბერი

შესანიშნავი ამინდია. დილიდან ადრევე გავდივარ ქალაქის პეიზაჟზე „ეტიუდნიკით“, ტილოთი და პატარა ცელოფანის ჩანთით, სადაც მიღავა აუცილებელი წერილმანები, რაც მუშაობის პროცესშია საჭირო. ერთ პატარა მეჩეთთან შევჩერდი, თითქმის ქალაქის ცენტრში და უმაღლესეულად მუშაობას. მოგროვდნენ მაცურებლები. მრავალი ოფისი ყოფილა აქ და მათი თანამშრომლები არიან. შავგვრემან თურქ ქალებს მოწინებთ მოაქვთ ჩაი და დიდ პატივში ვარ. სამუშაო კარგად რომ წაინია წინ, უფრო და უფრო იმატა ხალხმა. მერმე ფასსაც მეკითხებიან. სამასი ან ოთხასი დოლარიც რომ მომცენ, ამ ნახატის დამთმობი არა ვარ, ვინაიდან ჩემი მეპატრონის მოთმინების ფილა ივსება თურმე: რად მინდა ამდენი ზღვის და გემების სურათები და არც შედეგები მჭირდებაო (სადაა, თორემ კი!), ჩვეულებრივ დამიხატოს ქალაქი და მეჩეთებიო.

ამ სურათში ფერი შეძლებისდაგვარად ავნიე. მშვენიერიო, იძახიან მაცურებლები. მერმე რამდენიმე გოგონა გამოვიდა. ზოგს შთაბეჭდილების წიგნს ვავსებინებ. ჯგუფური ფოტოებიც გადავიღეთ.

დღევანდელ პეიზაჟს არა უშავს, საინტერესოა მეჩეთის თეთრი მინარეთი, მის ირგვლივ მზითი გაჩახახებულნი სახლები და ლურჯი ღრმა ცა. შემოვედი სასტუმროში თუ არა, ატყდა ტკარცალი. ვანისის სიხარულის გამომხატველი ხმები. რა ნახეს ბოლოს და ბოლოს! მხატვარმა დაფხატე მეჩეთი, ესაა და ეს!

აფორიაქებული მომვარდა სასტუმროს ორი თანამშრომელი, ახლავე სურათიანად პატრონთან წამოდიო. გულმოსული ყოფილა თურმე ჩემზე ჰუსეინი ეფენდი: სასტუმრო დავუთმე, ვაჭმევე, ვასმევე და ნავსადგურში გემ „აპოლონიას“ ხალხს გადაჰყვავო!.. რომ შევედი მასთან სურათიანად, ბატონი ჰუსეინი სერიოზული და უღიმგარი სახით მომესალმა. გახარებული მისი ბიჭები უხსნიან, აი რა სურათი მოიტანა ეფენდიმო! მარჯვენა ხელი ზევით ანია, წინ წამოინია და „გუზელ, გუზელიო!“ – წარმოთქვა. მადლობა ღმერთს, ეხლა ერთ-ორ დღეს ამისთანა სუ-

რათებს მოვუტან და მერმე ისევ ჩემთვის ზღვის სანაპიროსკენ გავი-  
 პარები. სიმართლე რომ ვთქვათ, ადგილობრივი ხასიათის მონახვა ამ  
 გზით უფრო ადვილია.

გამიხარდა, რა თქმა უნდა, პატრონი რომ კმაყოფილია. მერმე ნახ-  
 ევარსათიანი ძილი გამოვაცხვე და დასვენებულმა „აპოლონიას“ გემის  
 პატრონთან მისი შეკვეთილი სურათი გავაპარე. მივედი ოფისში. კარგია,  
 დამკვეთს რომ უხარია იმ სურათის ნახვა, რომელიც შენ პატროსნად  
 დაუხატე. კაპიტანმა ასი დოლარი გადმომცა და ლიმილიანი მადლობაც  
 მოაყოლა. ჩემო ეფენდი, ვეუბნები, ტრაპიზონის ხედს დაგიხატე და  
 სოფისკენ ზღვით გამასეირნე-მეთქი. ვიფიქრებ მაგაზეო. გემი სოფში  
 ჩადის და მეორე დღესვე უკან ბრუნდება. ზღვით და გემით არასოდეს  
 მიმგზავრია. თუ გააკეთა ეს საქმე, რას წააგებს ეფენდი კაპიტანი, თუ  
 არა და მეც დიდად არ დავნაღვლიანდები.

## 6 ოქტომბერი

ზაფხულივით ამინდია და მიხარია, სამუშაო მასალა საკმარისად რომ  
 მაქვს, უფრო – ტილოგადაკრული მუყაოები, მაგრამ ბევრი დაგრუნტუ-  
 ლი ტილოებიცაა საჭირო. ხშირი მზიანი ამინდი აუცილებელია ჩემთვის,  
 ასევე ზოგჯერ წვიმიან ამინდზეც უარს არ ვიტყვოდი, განმარტოებით  
 დავჯდებოდი სასტუმროს ოთახში და სახატავ ტილოებს ქვეჩარჩოებზე  
 გადავჭიმავდი. დანარჩენ დროს კი ხატებზე ვიმუშავებდი; საერთოდ,  
 კარგი ამინდები ჯობია მაინც.


ამჟამად გავდივარ სამუშაოდ ტრაპიზონის აღმოსავლეთით, სატ-  
 ვირთო ნავსადგურის გვერდით. თითქოსდა მოტივები წინასწარ არ-  
 ჩეული მაქვს; თუ უკეთეს რამეს ვერ აღმოვაჩენ, მათზე ვიმუშავებ.  
 ამ მოტივებში ფერის აწევის საშუალებაა და ტრაპიზონის სხვადასხვა  
 უბნის ხასიათია ჩაქსოვილი.

„ეტიუდნიკით“, დაუხატავი ტილოთი და პლასტიკატის ჩანთით  
 სამი კილომეტრი მაინც ვიარე ტრაპიზონისათვის დამახასიათებელი  
 მოტივის მოსაძიებლად. მერმე ერთ-ერთ მეჩეთს მივადექი, მაგრამ არ  
 მომენონა, მინარეთი შორიდან კარგად ჩანს, მთის ფონზე სპილოსძვლ-  
 ისფრად შეღებილი ლამაზად იკვეთება, მაგრამ გარემო ირგვლივ არამხ-

ატვრულია. რა მექნა, მეც გულგა-  
 ტეხილი ბაზრის მუშასავით, უკან  
 წამოვედი.

როგორც იქნა მოვძებნე წინა  
 დღეებში მოწონებული მოტივი და  
 საჩქაროდ ხატვა დავიწყე, რად-  
 გან მზე უკვე დასავლეთით გად-  
 აიხარა და განათება წუთი წუთზე  
 მკვეთრად შეიცვლებოდა. ერთ  
 საათში როგორც იქნა ტილოზე  
 ძირითადი ხასიათები დავიჭირე  
 და მზემ თავისი კოსმიური სვლით  
 სულ შეცვალა აქაურობა. მეც  
 ძირითად მოტივზე დაყრდნობით  
 ვაგრძელებ მუშაობას. ეტყობა,

ინტერვიუ ტრაპიზონის  
 ტელევიზიისთვის.





სკოლის გაკვეთილები დამთავრდა და ცნობისმოყვარე ბავშვებით გაივსო იქაურობა. ხელს მიმლიან. აქვე ახლოსაა ბაზარი, სადაც რამდენიმე ქართველიც გავიცანი. ერთი სენაკელი ბიჭი ჯანჯღავაც აღმოვაჩინე. ბინის თაობაზე ვეკითხები ყველას და ისინიც მეუბნებიან, ქალაქში ბინები იშოვებაო. 50 დოლარად, 30 დოლარადაც თვეშიო, არის იაფიანი სასტუმროები, ოთხი დოლარი დღე და ღამე, ოღონდ სამსახილიანიო. სოხუმელი გოგოც გავიცანი, მშვენიერი აღნაგობის. ერთ-ერთ სასტუმროსთანაც შევჩერდი, რომელიც მეძაგი ქართველი ქალებითაა გამოტენილი. შეხედულებით? ზოგიერთი მათგანი ტან-ფეხით ჩამოსხმულია, მაგრამ რა! ყველას სახეზე აწერია, რა დოვლათებიც არიან. საცოდავები... ვაი ჩვენი ცოდავა და ბრალი.



ტრაპიზონის ნავსადგურში.

დღევანდელი სურათი კარგი გამოვიდა. ერთმა თურქმა მიტრიალა ნახევარ საათს, ას დოლარად მომეცით, მერე რატომღაც თავი შეიკავა – ხვალ თბილისში მივდივარო (?!). ჩემი სამუშაო დღეც დამთავრდა, როგორც იქნა მშვიდად მოვედი სასტუმროში, ოთახი დავალაგე, თვითონაც მოვენსრიგდი და საქალაქით ხელში ფოიეში ჩავედი. იქ ერთი ქართველი ქალი გავიცანი, აქაური გამუსლიმებული ქართველის მეუღლე ვარო, რომელიღაც მეზობელი ქალაქიდან. მეუღლის მოსვლამდე ვუთხარი, ამ სასტუმროში ბევრი სურათის დატოვება მიხდება და აქ გაჩერება არ მანყობს-მეთქი. რალაც-რალაცები მიჩჩია და ბოლოს ასე მითხრა: ამ სასტუმროს მეპატრონე ეფენდი ჰუსეინი უმდიდრესი კაცია და ტრაპიზონში დიდად გავფენიანი პიროვნებააო. მას რომ გაეცქიეთ, აქ თქვენ, ბევრ რამესთან ერთად ავტორიტეტსაც დაკარგავთო. ეს რჩევა თითქოსდა მისაღებად დამესახა. თავისი მეუღლეს გამაცნო. დიდებული კაცია. მერმე ჩემი მეპატრონეც მოვიდა.

ჰუსეინ ეფენდიმ პატარა ფერადი უურნალები მომიტანა, ტრაპიზონის ხედებით გაფორმებული. აქედან აირჩიე კადრები და დამიხატეო. მეც ვუუბნები, დამსვით ხოლმე ნებისმიერ ადგილზე და საღამოს სურათი მზად იქნება-მეთქი. ყველაფერთი დაგეხმარებითო, მეუბნება. ენობრივი ბარიერი მირთულებს ხოლმე საქმეს ურთიერთობისას, მაგრამ მაინც ვახერხებ რალაცას, რადგან ზოგიერთი თურქული სიტყვა უკვე ვისწავლე.

**7 ოქტომბერი**

დილა ოდნავი ბურუსით დაინყო, მაგრამ ამინდს ეტყობა, რომ გამო-სწორდება და ჩემდა სასიკეთოდ ცაც გასუფთავდება. ღმერთია ჩვენი მფარველი.

ქალაქის მთავარ პროსპექტს ფეხით გავყვევი ჩემი ხელსაწყობით. ისტორიული ძეგლები თუ მეჩეთები აქეთ უფრო ბლომდაა. სამხანაო ბიზანტიურ ბაზილიკას შევეფეთე. რა თქმა უნდა, მეცნიერებმა უკეთ იციან ბიზანტიურია თუ ქართული. ეტიუდისათვის პატარა ფორმატი მაქვს ნამოღებული, თან უფმურ ხასიათზე ვარ. ცოტათი გავცივიდი კიდევაც.


ვიარე, ვიარე და რამდენიმე დიდ მეჩეთსაც ჩავუარე. დღეს უფრო ქალაქური პეიზაჟი მინდა დავხატო, ყოფითი. რომელიღაც ბაზართან აღმოვჩნდი. ეს მერამდენე ბაზარია, აზრზე არა ვარ. არ მომწონს აქაურობა და ისევე უკან ვბრუნდები. შემდეგ საშუალო დონის თემა ავირჩიე, კარგად მოვეწყვე და დავინწყე მუშაობა. ხელად მომრავლდნენ ცნობისმოყვარენი. ტერიტორიულად სადაცა ვარ, იმ დონის მასურებლები მყავს – ვაჭრები, ხელოსნები, ქრელი საზოგადოება. როგორც კი სურათი თავის სახეს მიიღებს, მაშინვე იწყება შეკითხვები – რა ღირს? როგორ გაყიდი? შექენა უნდათ თუ არა, მაინც კითხულობენ. მერმე ბავშვებიც გამოჩნდნენ და აგერ-აგერ სურათს ხელებით შეეხებიან, პალიტრაზე კი ცხვირით იქექებიან. ძნელია, მაგრამ რას იზამ... როგორც იქნა ხატვას მოვრჩი და დაღლილ-დაქანცული სასტუმროში მოვედი. ქართველი ცოლ-ქმარი, თბილისიდან ნამოღებული სურათი ნუხელ თავის ნომერში რომ შეიტანა, არ ჩანს. ნუთუ სურათი ნაიდეს და ნავიდენ? არა მგონია, ასეთი უმსგავსობა ჩაიდიონ. ჩვენი სასტუმროს მეპატრონე კარგად იცნობს მათ.

დღევანდელი სურათი ძალიან საინტერესო გამოვიდა... მგონი უკვე ვუახლოვდები ტრაპიზონის ბუნების ხასიათს; ოღონდ უფრო მეტი და მეტია საჭირო, მაგრამ ასეთი რთული ამოცანა ერთი დატაკებითა და მხოლოდ ერთუზიანებით არ იქმნება...

ბატონი ვია არა ჩანს, ეტყობა, გასულია ქალაქიდან. ღამის ცხრა საათია და ხატზე მინდა მუშაობა, მაგრამ ტანში უსიამოვნო დაღლილობას ვგრძნობ. უფრო გაცივების ნიადაგზე. ხვალისათვის კარგი და საინტერესო თემა მაქვს არჩეული, ოღონდ უღრუბლო და მზიანი დღე მინდა, მზიანი ამინდი ფერის უღერადობის აწევაში მეხმარება.


## 8 ოქტომბერი

ღლით რუსულ ბაზართან ახლოს ნანა შონისთან გავიარე ოფისში. მოლაპარაკება გვაქვს: მე მას მთავარანგელოზის ხატს მივართმევ, თვითონ მპირდება ნყალტუბოდან თქვენთვის ოც ლიტრა ნითელ ღვინოს ჩამოვატანინებო. ქალბატონ ნანასთან რამდენიმე ხანშიშესული ქართველი ქალიც იჯდა, ტრაპიზონში მუშაობენ მოსამსახურეებად. რა ვქნათ, ბატონო, შვილიშვილებს ვუგზავნით აქედან საქმელს,





ფულს და ჩასაცემელსო. საქართველოში, ერთი თვით ჩავედი და მამინევი შიმშილობა ვიგრძენითო, მეუბნებიან. იქვე, სადაც მე მოტივები მაქვს შერჩეული, რამდენიმე სასტუმროა ჩვენი მეძაღვი ქალებით სასვც-საცოდავები... ზოგიერთები ქუჩაში დგანან, მაგრამ პოლიცია დეენის მათ. სასტუმროების (დაბალი კლასის სასტუმროებია) კაფეებში სხედან მთელი დღე. ან ჩაის სვამენ და ჭორიკნობენ, ანდა რაღაც-რაღაცებით ერთობიან. ხან ვილაცხები კლიენტს გამოუფზავნიან. ჯრჯრობით არა მაქვს შესწავლილი მათი სამყარო. „რა, ძია, – კალმხივით გოგო მეკითხება, – ღამე ვამთობობს ეძებ?“ „არა, გოგონი, – ვუბნები, – მყავს უკვე თურქის გოგო“ (მოვიტყუე). „თურქის გოგო? ყოჩაღ ძია!“



პროსტრუცია ზოგიერთ ქართველ ქალს თურქეთში თავის რჩენის საშუალებად გაუხდია. ყველა მათგანი თურქულ სილამაზეს იცავს აქ, თავისი კოსმეტიკით თუ ჩაცმულობით. ყველაფერს რომ წარმოიდგენთ, საშინელი განწყობილება დაგეუფლებათ! ზოგიერთი სევდიანია, ზოგი ლალად გრძნობს თავს. როგორც კი დაელაპარაკები, უმალ კლიენტის თვალით გზომიან, გზონიან და, ვინ იცის, რა გრძნობები არ აღიძვრება მათში. ერთი პროცენტიცა ალბათ მათგან ქალური სიამოვნებისთვის ჩამოსული. ის ასეთ დღეშია დღევანდელი საქართველო.

ორი საათი იქნებოდა. ქალაქში არა უშავს, ისეთი მოტივი ვნახე და შევუდექი ჩქარი ტემპით მუშაობას. ხალხი, ჩემ ირგვლივ ჯგუფად იკრიბება. როგორც ყოველთვის, ბავშვები აქაც მიშლიან ხელს, მერმე ერთ-ერთ მამაკაცს, წესრიგის დასამყარებლად ცოტას რომ აქტიურობდა, ვუთხარი, შენ ვითომ პატრონი ხარ ჩემი და ამ ბავშვებისაგან დამიცავი-მეთქი. მართლაც, მოინდობა და სულ მიფერტ-მოფერტხა ისინი. ერთ-ერთმა მალაზიის პატრონმა მითხრა, ეს სურათი მე მიინდა და არავის მისცეო! კი, ბატონო, გულში ვიძახი, მაგრამ მე სხვა ანგარიშები მაქვს: ჰუსეინ პატრონი ან საქართველოში წაღება, თუ კარგი გამოვიდა... მაგრამ გულში ვთქვი: თუ ას დოლარად აიღებს, ჯანდაბას!.. მერმე ახალგაზრდა თურქის ბიჭი მოვიდა, რუსულად კარგად ლაპარაკობს: სურათი იმან თუ არ იყიდა, მაშინ მე ვიყიდიო. მერმე გადათქვა: მე მანქანით მოვალ შენთან სასტუმროში და ჩემს უბანს დაგახატვინებო. საერთოდ, შემოსავლის პროცენტი მომეცი და ქალაქში ერთად ვიმუშაოთო. ეს ყოველივე მომავალში სალაპარაკოა და ვნახოთ-მეთქი. მოვრჩი მუშაობას. ერთ-ერთი მალაზიის მეპატრონე სამოცდაათ დოლარზე მეტს არ მაძლევს. მეც ვთანხმდები. რა ვქნა, ამით მასალას მაინც ვიყიდი, კიდევ ცოტა ღვინოს და წვრილმან რაღაცებს-მეთქი. ამ დროს მისმა ამხანაგმა აუტეხა ყვირილი, ჯაჯღანი, ქოთქოთი – რაზე ხარჯავ ამდენ ფულსო, და არაო, მითხრა, ვერ ვიყიდიო. მეც დავავლე ჩემს სურათს ხელი და წამოვედი. იმ ახალგაზრდა თურქმა მითხრა, ის ისეა დაინტერესებული, შეიძლება სასტუმროში მოგაკითხოსო. მივიდვიარ და ორი თურქი ახალგაზრდა გამომეკიდა: აჰა ფული და ნახატი მოგვეციო. რამდენია? – ვეკითხები. არ მახსოვს რამდენი იყო. მე მგონი, რამდენიმე მილიონი თურქული ლირა. არა, ცოტაა, 80 დოლარი მაინც უნდა მომცე-მეთქი. მაგდენი არა მაქვსო. აი ასეთი ომი და დავიდარაბა გადამატანია დღევანდელმა სურათმა.

სალამოს კარგად ვივახშმე. გუშინ ქალაქში იმდენი ვიარე, ტანის ტკივილებმა გამიარა და უკეთ ვგრძნობ თავს. მერმე ღამის პირველ





საათამდე ხატზე ვიმუშავე. დალილმა ორი ჭიქა ღვინოც დავლიე და ძილს მივეცი თავი. ასე დამთავრდა ეს რთული შემოქმედებითი დღე.

### 9 ოქტომბერი

დღე ოდნავ ბურუსიანია. ზღვის სანაპირო ქალაქია და არაა გასაკვირი. ისევ ძველ უბნებს უნდა მივაკითხო. როგორმე უნდა მოვიძიო დამახასიათებელი და ადვილი თემა, ამუშაოდაც ფერის პრობლემებზე ვარ გასული. როცა მეჩეთს ან რაიმე ისტორიულ ძეგლს ვხატავ, იქ სურათი გამოცდილებით კეთდება.

ის ქართველი ქალი აქ ყოფილა თურმე, ჩემი სურათი რომ წაიღო. თქვენი მეუღლე თუ არ შეიძენს იმ სურათს, სასტუმროში ადმინისტრატორს დაუტოვოს-მეთქი, – ნათქვამი მქონდა. საცოდავი ქალი ეს დღეები საავადმყოფოში ყოფილა, ოპერაცია გაუკეთებია. ღმერთმა კარგად ამყოფოს. მართალი ვყოფილვარ, კარგი ხალხია-მეთქი, რომ ვთქვი.

ძველ უბანში ყველაზე ვიწრო ქუჩა ავირჩიე, სადაც მსუბუქი მანქანაც ვერ გაივლის. თავის დროზე ალბათ პატარა ფაიტონები თუ გაივლიდა აქ. თბილისის ვიწრო ქუჩებს მაგონებს ძველი თბილისის უბნებში. ჩვენს თბილისსაც ხომ აღმოსავლური იერი დაჰკრავს. აბა წარმოიდგინეთ არაბების და სპარსელების მიერ საქართველოს საუკუნოვანი დაპყრობები. რა თქმა უნდა, ამას ქალაქმშენებლობის აღმოსავლური გავლენაც მოჰყვებოდა.

ვარდისფრად განათებული ძველებური სახლი ვიღაც ბეგის ყოფილა ერთ დროს. ამ თემაზე დღეს შედარებით მშვიდად ვიმუშავე, მაგრამ ბავშვები, როგორც ყველგან, აქაც ირევიან. ამ უძველესი ვარდისფერი სახლის ხანუმამ ბიჭების ხელით მოსაკითხი გამომიგზავნა (მერმე ისინიც ჩავხატე) – ჩაი, ტკბილეული, ყველი, პური, მოშუშული ტკბილი წინაკა. ტაბურეტის ტიპის სკამი მოიტანეს და მასზე დადეს... მორთვეულს თუ არ შეჭამს სტუმარი, ძალიან სწყინთ და მიმედ განიცდიან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იოჰან ვოლფგანგ გოეთე  
**სცენები „ფაუსტიდან“**

**მეზობლის სახლი**

**მარტა**

ეს რა ქნა ჩემმა ძვირფასმა ქმარმა!  
 ღმერთმა განსაჯოს, მე ბრალი არ მაქვს.  
 გადაიკარგა, დამაგდო მარტო,  
 სახლი, ცოლ-შვილი, – არაფერს დარდობს.  
 რა სჭირდა, ჭამდა რისი ნაღველი?  
 სიყვარული თუ რა დავაკელი?

(ტირის.)

იქნებ მკვდარია, ჩამიღამა ფიქრმა თვალები...  
 არადა, ცნობა მაინც მქონდეს გარდაცვალების!

**მარგერეტე**

შინა ხართ, მარტა?

**მარტა**

მოხდა რამე? შემოდი, გრეტხენ!

**მარგერეტე**


მუხლები მითრთის...  
 კვლავ ზარდახშა! როგორც იმ ერთხელ!  
 აბანოზისა! აღარ ვიცი, სულ დავიბენი...  
 ნივთები, ორჯერ ლამაზები, ორი იმდენი...

**მარტა**

დედას ნუ ეტყვი, არ სჭირდება ახალი ელდა.  
 ნამოხვეტავს და გაქანდება მაშინვე მღვდელთან.

**მარგერეტე**

ამას შეხედეთ! ამას! ამას!





### მარტა

არ ვიცი, რა ვთქვა!  
*(მორთავს.)*

სასწაულია! ბედნიერი გოგო ხარ მართლა!

### მარგერეტე

ვერ გავიკეთებ, რად გინდა, ვერსად,  
 ქუჩაში – ვერა, საყდარში – ვერა.

### მარტა

დრო ნახო, უმალ გადმოდი ჩემსა,  
 გვიყვარს დიაცებს სარკეში ცქერა.  
 ჩახედავ, გოგო ამოგხედავს დედოფლის მგვანი!  
 მერე და მერე, დღეობებზე, ხან აქ და ხან იქ,  
 დღეს ავერ იმ ერთს გაიკეთებ, მეორედ ამ ერთს.  
 დედა ვერც ნახავს. ეტყვიან და მოვბოდავთ რამეს.

### მარგერეტე

მაინც ვის უნდა მოეტანა, ვერ გამიგია!  
 მე მგონი, ვცოდავ, არ ვიქცევი, როგორც რიგია...  
*(კაკუნის კარზე.)*  
 ვაიმე, ღმერთო, დედაჩემი!

### მარტა, იჭვრიტება

უცხო კაცია.  
 ნეტავ რა საქმე გასჩენია, საიდან მოდის?  
 მობრძანდით!

### მეფისტოფელი

ვითხოვ თავმოდრეკით ქალებთან ბოდიშს.  
 დაგაფრთხეთ, მგონი. აგიტყხეთ განამანია.

### მარტა

რით გემსახუროთ, რას გვიბრძანებთ?

### მეფისტოფელი

აქა მშვიდობა!  
 ქალბატონ მარტა შევერტლანის ნახვა მინდოდა.  
*(მარგერეტეს მიაჩერდება და შემკრთალი უკან-უკან იხევს.)*

**მარტა**

მე ვარ, ბატონო.

**მეფისტოფელი, მარტას ხმადაბლა**

მაპატიეთ, ცუდ დროს მოვედი,  
 მაღალშობილი სტუმარი გყავთ, ჯერ არ გცალიათ.  
 ჯოზია, ნავალ, სალამომდე დაგეთხოვებით.  
 გაუფრთხილებლად მოგადექით, ჩემი ბრალია.

**მარტა, ხმამალა**

გესმის, გრეტელხენ, რაზე დამფრთხალა?  
 დიდაზნაურის ქალად ჩაგთვალა.

**გრეტხენი**

ცდებით, ბატონო, სულ უბრალო გოგო ვარ ერთი.  
 შემთხვევით მოვხვდი ამ ძვირფასი ნივთების გვერდით  
 და სასალაობოდ გავიკეთე, არ გახლავთ ჩემი.

**მეფისტოფელი**

მარტო ეგ არა, ავსილობა ისეთი შუქით...  
 ისეთი ბასრი გამოხედვა... იერი თუგინდ...  
 მოხარული ვარ, მოხარული! მაშ, ასე: ვრჩები.

**მარტა**

რამე ამბავი მომიტანეთ? არ მეთმინება!

**მეფისტოფელი**

ვერ გამოვდექი, ვნუხვარ, კარგი მახარობელი:  
 თქვენმა მეუღლემ დაუტევა ესე სოფელი,  
 თავი დაგიკრათ იმქვეყნიდან, – ჰქონდეს ლხინება.

**მარტა**

მოკვდა? მიშველეთ! ვაი ჩემთავს! მოკვდა? ნავიდა?  
 მისანი გული! გამითენდა სიკვდილის დილა!

**მარგერეტე**

გამაგრდით, მარტა!





### მარტა

ვერა, ვერა, ვერ გადავიტან!

### მეფისტოფელი

ნება მიბოძეთ, ყველაფერი მოგიტხროთ წერილად.

### მარგერეტე

ო, ეს წუთები გულშემზარავი!  
 არ შემეყვარდეს ნეტავ არავინ!

### მეფისტოფელი

დღეს ავდარია, ხვალ დარი დგება,  
 მონაცვლეობენ შვება და ვება.

### მარტა

როგორი ბოლო ჰქონდა საცოდავს?

### მეფისტოფელი

ბედს არ ენება, მეტი დასცლოდა.  
 აქვს პადუაში სანოლი გრილი  
 და განისვენებს მარადი ძილით  
 სანტ-ანტონიოს ტაძართან ახლო.  
 მოკლედ, მშვიდობით, ცოლო და სახლო!

### მარტა

სხვა არაფერი?

### მეფისტოფელი

იმქვეყნით გესავეთ,  
 გადაუხადოთ სამასი მესა.  
 სხვა არაფერი, არცერთი გროში.

### მარტა

არც ნივთი რამე? ბეჭედი, ბროში?  
 მოხეტიალე ქარგალი ბიჭიც  
 უმალ მოიკლებს საჭმელს და სასმელს  
 და სამახსოვროდ იყიდის რასმე.  
 მათხოვრად ივლის...



**მეფისტოფელი**

ენუხვარ, მადამ, რამის თქმა მიჭირს.  
ველარ მოასწრო, ყველაფერი უცებ მოთავდა.  
კი, შეცდომებზეც, მაგრამ უფრო ბედზე შფოთავდა.

**მარგერეტე**

რარიგ მწარეა, ახ, კაცის ბედი!  
რეკვიემს ვიტყვი, რა ძალმიძს მეტი!

**მეფისტოფელი**

ლამაზო ბავშვო, ჯობს, ეგენი სხვებს შეატოვოთ,  
გვირგვინი ისკვნათ, ეგ იფიქრეთ, – გათხოვდით მალე.

**მარგერეტე**

მაგაზე ფიქრი ჯერ ადრეა, ჩემო ბატონო.

**მეფისტოფელი**

მაშინ სიყვარულს დაეშურეთ, სატრფოსთან აღერსს.  
სრულად დაატკობთ სულის ცხონებით,  
ვინ ბედნიერსაც ჩაეკონებით!

**მარგერეტე**

ჩვენში არ არის, მომიტევეთ, ასეთი წესი.

**მეფისტოფელი**


არის, არ არის, სულერთია, ყოველდღე გვესმის.

**მარტა**

მითხარით, როგორ აღესრულა?

**მეფისტოფელი**

ჩემს ხელში თითქმის,  
მწირ სარეცელზე, მაინც ალბათ სარეცლად ითქმის,  
თორემ რაც იყო, სანეხვე და დამპალი ჩალა.  
სამაგიეროდ, ისე მოკვდა, ვით ქრისტიანი,  
თუმცა ბოლომდეც ვერ დათვალა, რა გაჰყვა ვალად.  
მოთქმით ნანობდა ცოლისა და ოჯახის ღალატს.  
„როგორ გავწირე! მძულს, – გმინავდა, – თავი ტიალი!  
არ მაპატიებს, ეგ სიმწარე წამიტანია!“





**მარტა, ტირის**

კეთილო სულო, გაპატიე დიდი ხანია!

**მეფისტოფელი**

„მკლავს გახსენება, ამირია თუმცაღა კვალი!  
 ღმერთია მოწმე, ჩემზე მეტად მას უღვეს ბრაღი“.

**მარტა**

გონს გადასულა! ჰგავს ნაბოდვარს! ნამდვილ ნაბოდვარს!  
 სამარის კართან ასეთ ცოდვას როგორ ამბობდა!

**მეფისტოფელი**

კი, ბოდვას ჰგავდა, – ცალი ფეხით იყო იმქვეყნის.  
 ისე, ცოლქმრობის ღრმა ცოდნითაც ვერ დაიკვივნი.  
 კვენესდა: „წელეზე ფეხს ვიდგამდი, არ ვმჯდარეარ უქმად,  
 არ მიმიკლია ცოლ-შვილისთვის ალალი ლუკმა.  
 მაინც არ იქნა, არ მაღირსა მშვიდი ცხოვრება,  
 გზეზე წანწალი ვამჯობინე, გაუპოვრება“!

**მარტა**

მე არ ვწვალობდი? მე კი მქონდა მშვიდი გუნება?  
 არც სიყვარული დამიფასა, არც ერთგულება?

**მეფისტოფელი**

არა, რას ბრძანებთ, თქვენი დარდი აცოდვილებდა,  
 სურდა, პირნათლად წამდგარიყო ცოლთან, შვილებთან.  
 თქვა: „ნადავლისთვის გამოვედით მალტიდან როცა,  
 უმალ ცოლ-შვილზე აღვავლინე მხურვალე ლოცვა.  
 ზენამ კეთილად გაიგონა ვედრება ჩემი,  
 შემოგვახვედრა განძით სავესე თურქული გემი,  
 სულთანისათვის აკრეფილი მიჰქონდა ხარკი.  
 კარგად ვიომე, წილიც მერგო საკმაოდ კარგი“.

**მარტა**

მერე რა უყო, სად წაიღო? დაფლო იქნება!

**მეფისტოფელი**

ისეთი დაფლო, ალიკვალი არ მიიგნება.  
 კეთილმა ქალმა ნეაპოლში, ტიბილმა, ფოფინამ,  
 ეულს, მარტოსულს უცხოობა არ აგრძნობინა,



დააჯილდოვა სახსოვრადაც ისეთი ძღვენით,  
ვერ მოიშუშებ სიკვდილამდე, რაც გინდა ქენი.

**მარტა**

ეს გარეცხილი! აღვირახსნილი!  
შვილებს ქურდავდა ბილნი, თახსირი!  
თან სამარცხვინო ასეთი სენი!



**მეფისტოფელი**

ჰოდა, კიდევაც გასდინდა წვენი.  
გირჩევთ, არადა, რა რჩევა გინდათ, —  
ამ ერთ წელიწადს იგლოვეთ მშვიდად,  
და მერე გეში აიღეთ სხვაზე.

**მარტა**

ღმერთო, მეორეს ვის ვნახავ ასეთს,  
ასე კეთილს და ასე მიამიტს!  
მოვიგონებდი იმ წლებს სიამით,  
რომ არა მისი ზოგ-ზოგი ჩვევა,  
სმა და ბანქო და კახხებში თრევა.

**მეფისტოფელი**

რას იზამთ, აკი ღვთის შემწეობით  
საცელქო ამბებს თქვენც ეწეოდით.  
თუ ასე გაგბრით, არც შევეჭვდები,  
მზად ვარ, გავცვალოთ ჩვენი ბეჭდები.

**მარტა**

ბატონს ხუმრობა ჰყვარებია! ამბობთ სამასხროდ!

**მეფისტოფელი, თავისთვის**

სანამ სიტყვაზე დამიჭერდეს, უნდა გავასწრო,  
თორემ ეშმობაც ვერ მიშველის, ბადე მზად არის!

*(მარგერეტეს)*

გულში რა ხდება? დარისაა?

**მარგერეტე**

დარის? რა დარის?

**მეფისტოფელი, თავისთვის**





ბავშვია, კვალიც არ ატყვია ჯერ დიდობისა!

(ხმამალა)

აბა, ქალებო, ტკბილად გნახეთ!

### მარგერეტე

გზა მშვიდობისა!

### მარტა

ერთხელაც გაგრჯით, დაგიძახებთ ერთ დაძახებას, სად, როდის მოკვდა, დამიმონმებთ, დრო რომ გექნებათ. სასამართლოდან დამჭირდება ცნობის აღება, კვირის ფურცელშიც დამჭირდება გამოქვეყნება.

### მეფისტოფელი

სხვა მონმეც გვინდა, კიდევ ერთი, რომ ცნობა მოგცენ. თან ამხანაგი მახლავს ბედად, მაგ ამბის მომსწრე. გნებავთ, მოვიყვან?

### მარტა

თუ სიკეთეს გამინევთ მაგდენს!

### მეფისტოფელი

ეს კარგი გოგოც ხომ დაგვხვდება, მაგ პატივს დაგვცებს? ზრდილი ვაჟია, ნამყოფია სად და სად არა. ნახავთ, ყოველმხრივ კმაყოფილი თუ არ დარჩებით.

### მარგერეტე

სირცხვილი დამწვავს!

### მეფისტოფელი

სულ ტყუილად, ჩემო პატარავ! ქალი ბრძანდებით ხელმწიფესთან გამოსაჩენი.

### მარტა

ამ სალამოსვე თქვენს მეგობარს გამოსდეთ ხელი. აბა, ნახვამდის! აქ, სახლს უკან, ჩემს ბაღში გელით.



**ქუჩა**


**ფაუსტი, მეფისტოფელი**

**ფაუსტი**

რა ქენი? შეხვდი? ესაუბრე? საქმე გამოდის?

**მეფისტოფელი**

ბრავო! კვლავ ცეცხლი გიკივია, დაბოლთავ ქშენით!  
კარგი, დანყნარდი, მოკლე ხანში გახდება შენი,  
მარტასთან ნახავ, მეზობელთან, ამ სალამოთი.  
ოქრო ქალია, მაგ ამბებში მრავალთა მჯობი,  
მაჭანკალა და ცოტა-ცოტა ბოშური წყობის.



**ფაუსტი**

მით უკეთესი!

**მეფისტოფელი**

რალაც უნდა ოლონდ ჩვენგანაც.

**ფაუსტი**

უნდა, ცხადია! სულ ასეა მთელი ქვეყანა.

**მეფისტოფელი**

არა, ეს თხოვნა სხვა რიგის არის,  
შენ რასაც ფიქრობ, იმას არა ჰგავს.  
ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მისი ქმარი  
წევს პადუაში სამუდამო წმინდა ალაგას.

**ფაუსტი**

ჰკუა გაქვს ახლა? რა თვალებს აზევ!  
იქ წასვლა გვინდა, იმხელა გზაზე?

**მეფისტოფელი**

სად წასვლა? სანკტა სიმპლიციტას! შენც იტყვი რალა!  
სხვა მაგ საქმისა რა გეცოდნია, დავაგდებთ ქალაღდს.

**ფაუსტი**

მაშინ ჩაგვშლია ჩანაფიქრი, ნუ მთხოვ უჯეროს!



### მეფისტოფელი

ო, წმინდა კაცო, ო, სიმართლის საღვთო ჭურჭელო!  
 შენს დღეში ვითომ ცრუ ჩვენება არ მიგიცია!  
 მაშ, ის რა იყო, შუბლუტებად, კაცთა რაობის,  
 პირველსაწყისთა მოძრაობის თუ უძრაობის,  
 ღმერთის, სამყაროს მიდექ-მოდექ დეფინიცია?  
 სჭარბობს რითიმე მაგ ამბებთან შენი ლაციცი,  
 ვთქვათ, იმას, მარტა შვერტლიანის ქმარზე რაც იცი?

### ფაუსტი

სოფისტი ხარ და ცრუ ხარ და ყბედი!

### მეფისტოფელი

ანდა, ვინც ნახა ცოტათი მეტი.  
 და განა ხვალვე საბრალო გრეტხენს  
 თავს არ დაუვლის ალალი მეტრფე?  
 არ დაიწყება სიტყვების ბლანდვა?

### ფაუსტი

სულ წრფელი გულით!

### მეფისტოფელი

ჰოდა, მეც მანდ ვარ.  
 გულწრფელი ფიცით არ დაიწყება  
 მარადიული ტრფობის მტიციება?

### ფაუსტი

კარგი, დამეხსენ! გრძნობა, რომელიც  
 მიპყრობს, ბობოქრობს, აღმურში მახვევს,  
 სიტყვებს დავეძებ დაუცხრომელი,  
 მაგრამ ვერა და ვერ ვაგნებ სახელს,  
 მიმიჩანს მალლად, მიმიჩანს წმინდად,  
 სიცოცხლის ფასად მივესწრაფები,  
 მარადიული ვუნოდო გინდაც,  
 სიცრუე მითქვამს შენი საფერი?

### მეფისტოფელი

არადა, მაინც მე ვარ მართალი.



ფაუსტი

მოვრჩეთ, დაზოგე ჩემი ფილტვები.  
ვინ შეგედრება ენის ქარტალით!  
რას დაგიმტკიცებ, თუ ახირდები!  
გეტყვი, არ გეტყვი, შენსაზე დგახარ.  
კი, მართალი ხარ, მჭირდები რახან.

გერმანულიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



## პოლ რებუ, შარლ მიულერი

ერთი და იმავე გაზეთის თანამშრომლების, მეგობრებისა და თანავე-ტორების, **პოლ რებუსა** და **შარლ მიულერის** პირველი ლიტერატურული პაროდიები გამოქვეყნდა 1907 წელს და ოცი წლის ახალგაზრდებს უზარმაზარი ნარმატიბა მოუტანა. შარლ მიულერი გარდაიცვალა მარნაზე 1914 წელს. პოლ რებუმ მოამზადა ერთობლივად შექმნილი პამფლეტების ახალი კრებული, რომელიც 1925 წელს გამოვიდა. პოლ რებუმ თავის მეგობარზე 50 წლით მეტი იცოცხლა. იყო მხატვარი, ჟურნალისტი, მოთხრობებისა და რომანების ავტორი. გარდაიცვალა 1963 წელს.

მთარგმნელი

## ყელსაბამი

არავინ იცის იმის შესახებ, თუ როგორი მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა ხუთ ყველაზე სახელმძღვანელო რომანისტი: დიკენსს, მოპასანს, გონკურს, ზოლას და დოდეს. ყველანი ერთად ცხოვრობდნენ ერთგვარ კომუნად ისი-ლე-მულინოში. სწორედ იქ შეიქმნა ისეთი უბადლო შედეგები, როგორიცაა „ჟერმინალი“, „ოლივერ ტვისტი“, „ცხოვრება“, „ჟერმინი ლასერტი“, „საფო“...

როცა მოპასანი გარდაიცვალა, მეგობრებმა მისი ქაღალდების გადასინჯვისას იპოვეს ნოველის გეგმა, რომლის დაწერაც ვერ მოასწრო მათმა წასულმა თანამოკალემ:



1. წერილი ჩინონიკი (ლუაზელი). მის ცოლს სურს მეჯლისზე წასვლა. არა აქვს სამკაულები. მეგობარი (მადამ ფორესტიე) ძალიან მდიდარია და ათხოვებს. ვალი.
2. ტანისამოსი. მეჯლისი. მხრები. შენიღბული ორკესტრი (როგორც გრაფინია დე გ-სთან)... გამაბრუებელი ნარმატიბა, დაბრუნება გათენებისას.
3. სახლში დაბრუნება. ყელსაბამი დაკარგულია. როგორ დააბრუნონ? ყიდულობენ მსგავსს (40 000); და, ცხადია, – თამასუქები, ვალები, სრული ვაკოტრება.
4. ათი წლის შემდეგ ყოფილი ამხანაგების – ლუაზელისა და ფორესტიეს შეხვედრისას (მას შემდეგ ერთმანეთი არ უნახავთ) გაცემა: როგორ შეცვლილხართ!... და ა.შ. ქალბატონი ლუაზელი უამბობს. მადამ ფორესტიე ღელავს: „ჩემო საბრალო მატყლდა, ყელსაბამი ხომ ყალბი იყო! სულ 500 ფრანკი ღირდა“.

მოპასანის ერთგულმა მეგობრებმა გადანყვიტეს დაემთავრებინათ გეგმის სახით დარჩენილი ნაწარმოები და შრომა შემდეგ-


ნაირად გაინანოეს: ჩარლზ დიკენსმა დაწერა პირველი, ედმონ დე გონკურმა – მეორე, ემილ ზოლამ – მესამე და ალფონს დოდემ – ბოლო ნაწილი.

ეს მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც რამდენიმე ეროდუიტისთვისაა ცნობილი, ინახება ეროვნულ ბიბლიოთეკაში (ხელნაწერთა განყოფილებაში). ჩვენი აზრით, მისი გამომზეურების დროც დადგა.

**ჩარლზ დიკენსი**

**პირველი ნაწილი**

თქვენი ნათლია ფერია რომ ყოფილიყო და თქვენთვის თემთა პალატის უხუცესს წევრზე ორჯერ უფრო ხანგრძლივი ცხოვრება ებოძებინა, – მაინც ვერ დაივწყებდით მისტერ ლუაზელის გარეგნობას, თუნდაც ბედს თქვენთვის ამ შესანიშნავი ჯენტლმენისათვის მხოლოდ უცაბედი თვალის შევლება ერგუნებინა წილად. რამდენადაც ვიცი, ქვეყნიერებას ასეთი ბედი მანამდე არ სწვევია – ეამაყა ასეთი კლერკით, რომლის სახის კანი ახლადამობინებული ბალახის ყველა ელფერს წარმოგიდგენდათ. როგორც ჩანს, მისტერ ლუაზელს თავზე წყალს არც თუ ისე ხშირად უსხამდნენ, რადგან იგი მელანქოლიურად გადაიხრებოდა ხოლმე მარცხენა მხარეს, თვინიერად, როგორც ნორჩი გეორგინი, რომელზე ზრუნვაც მებაღეს გადაჭრით არ სდომებია. ამ თავის პატრონს გრძელი, გამოხუნებული თმა ჰქონდა და ნორჩ გეორგინს მაინც და მაინც არ უხდებოდა. სამაგიეროდ მისი სერთუკი მრავალი წლის გულმოდგინე სამსახურის შემდეგ ხავსით დაფარულ ბეზერ ხეს დამგვანებოდა. თუ მისტერ ლუაზელი შეჩერდებოდა ხოლმე, იმდენ ხანს იდგა, თითქოს ფესვის გამოღებას აპირებდა და ყველა გაოცდებოდა ხოლმე, როცა ადგილიდან უჩვენებელი დაიძრებოდა...




უაზრობა რომ არ იყოს წარმოვიდგინოთ ყვავილისა და ანგელოზის შეუღლება, მე ერთ ნუთს არ დავფიქრებოდი და განევაცხადებდი, რომ მისის ლუაზელი იყო იმათი ყველაზე მომხიბლავი წარმოდგენილი, რომელთაც სამოთხის ბინადართ ვუნოდებთ.

აკი მისის ფორესტიე, მისის ლუაზელის საუკეთესო მეგობარი ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ თავის მოსაზრებას არც უმაღალადა არავის.

– მოლ, ძვირფასო, – იცოდა ხოლმე თქმა მისის ლუაზელმა, – ანგელოზი ხართ!

ეჭვგარეშეა, ბატონ ლუაზელისათვის ცნობილი იყო მისის ფორესტიეს ერთობ კარგი დამოკიდებულება მისი მეუღლისადმი. სწორედ



ამ მანდილოსანთან გააგზავნა ერთხელ თავისი თანამეცხედრე, როცა ნახა, როგორი მძულარე ცრემლებით ნამავდა ბრისტოლური ქალაქის ფურცელს მხოლოდ იმის გაფიქრებაზე, რომ საოჯახო ბრილიანტების უქონლობის გამო მისის ლუაზელი არ იელვარებდა რაუტზე და აქედან გამომდინარე, მეჯლისზე, რომელსაც ლონდონელ რწმუნებულთა სინდიკატი მართავდა თავის პატივსაცემ კოლეგათა კორპორაციისათვის.

აი, მისის ლუაზელი გაეშურა მისის ფორესტიესთან.

– მიკერს და გამკვირვებია, ძვირფასო, როგორ ახერხებთ ასეთი მომზიბველი იყოთ მუდამ? – ასე შეეგება მისის ფორესტიე თავის მეგობარს.

– გმადლობთ, მადამ, ძალიან კეთილი ბრძანდებით, მადამ, ისეთი მონყაღე ბრძანდებით, – პასუხობდა სახელენილი ყმანვილი მისის ლუაზელი. საქმე ისაა, რომ... იცით... მოკლედ... ერთი სათხოვარი მაქვს, მადამ.

როგორც კი მისის ფორესტიე მიხვდა რაზე იყო ლაპარაკი, ფაშფაშა მკერდზე მიიკრა თავისი ნორჩი ამხანაგი და უზარმაზარი სკივრის საკეტები და ურდულეები ააჟღარუნა, სკივრისა, რომლის სახურავიც უფრო მეტად ნიუშირის ციხის შიმიე კარიბჭეს ჰგავდა, ვიდრე ზარდახშის თავსახურს.

ეს სკივრი მარგალიტებით, ლალით, ბრილიანტებით, ზურმუხტით, საფირონით, ტოპაზით იყო სავსე და, არა მგონია, რეგენტ-სტრიტის ყველაზე ცნობილი ოქრომჭედლის კატალოგში თუნდაც ერთი ქვა გეპოვათ, რომლის ნიმუშიც არ ინახებოდა ამ ყუთში. გოლკონდის განძიდან მისის ფორესტიემ ამოარჩია ბრილიანტის ყელსაბამი, რომლის ელვარებაც დილის ნამის ციმციმს დაჩრდილავდა და მისის ლუაზელს ყელზე შემოახვია.

– ახლა კი, მოლ, ძვირფასო, – თქვა მან დაბეჯითებით, – შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, გვერდით სამოთხის ყველა ანგელოზი რომ დაგიყენონ, ვერც ერთი ვერ იქნება თქვენზე მშვენიერი!

## ედმონ დე გონკური

### მეორე ნაწილი

ფსიქოლოგიურად საინტერესო ფაქტია ხელმოკლე ქალის მიერ კაბის შერჩევა. ქალისათვის, რომელსაც პოპლინის ტურციალი, ატლასის, აბრეშუმის, მუარის სულჩადგმული ნაოჭები, თურქული აბრეშუმის ფუფუშუა ნაკეციები ფუფუნებისადმი უნებურ ლტოლვას უღვიძებენ.

კაბებსა და ბლუზებს შორის გატარებული მრავალი უსასრულო საათის შემდეგ, როცა რბილი ქსოვილი წერნეტ წელს მოერგო, ქალბატონმა ლუაზელმა განაცხადა, რომ კმაყოფილი იყო. საღამოს მეჯლისზე auburn\* თმიდან ვარდისფერი ფრჩხილების წვერებამდე მშვენიერების სხივებს აფრქევევდა. არშიამოვლებული მოსასხამით დამშვენებული კორსეტი საიმედოდ იფარავდა თვალთაგან მის ქანდაკ მკერდს. ქვედატანი, რომელზეც ვერცხლის სირმებით მოხდენილად მოქარგული, მოყვითალო-მოვარდისფრო ფურჩალაჩაყოლებული ვოლანი ირიბად გასდევდა ფონის ნახატს, მიწას ეხებოდა და მხოლოდ ხანდახან აჩენდა სამეფო სტილის შავფეხსაცმლიან ფეხს. ასეთი მოხდენილი ქალბატონი ლუაზელი, რომელიც თითქოს ლატურის\*\*, ლოურენსისა\*\*\* და კარიერას\*\*\*\* ხელოვნებას დაემშვენებინა, ამავე დროს იმ არაჩვეულებრივ მაგნეტიზმს ასხივებდა, რაც XVIII საუკუნის შესანიშნავ პორტრეტებს ახასიათებდა და ამასთან ისეთივე მოქნილი იყო, როგორც ჰოკუსაის\*\*\*\*\* ან უტამაროს\*\*\*\*\* გეიშა.



გრაფინია დე მ-მ თქვა ერთხელ: „მოლექულათა ნაერთი, რომლისგანაც ჩვენი არსება შედგება, არსად და არასდროს არის ისეთი მომხიბლავი, როგორც მეჯლისზე“.

და მართლაც, იმ საღამოს ქალბატონმა ლუაზელმა ის იშვიათი პატივმოყვარეობა განიცადა, რომელიც ქალის სულის უღრმეს წერტილებს აღწევს.

როცა ამხანაგისაგან ნათხოვარი ბრილიანტის წნულით ყელდამშვენებულმა ქალბატონმა ლუაზელმა გაიარა a la-giorno\*\*\*\*\* განათებულ დარბაზებში, სადაც ლაქის ფეხსაცმელები და შავი ფრაკები ფარვანებივით ევლებოდნენ დეკოლტირებულ კაბებს, მაშინვე აღფრთოვანებული ყურადღება და საყოველთაო ლორწირება გამოიწვია, რაც მის თვალს არ გამოჰპარვია.

შემდეგ მხოლოდ ქალბატონ ლუაზელის ხვედრი იყო პალმებისა და araucarias speluncas-ის ჭალაკის უკან შემალული ორკესტრის გრიალში ცეკვისას მომთენთავი მოხვევა, მსუბუქი არშიყი და თეთრხელთათმანიანი ხელის ოდნავი მოჭერა, გულის საგულედან ამომგდები თრთოლა და ტკბილი გაბრუება ხავერდის კანაპეზე, მიხაკისა თუ ოპოპანაქსისა და მანდილოსანთა მუშკის არომატით გაჯერებულ სუნში მხიარული საუბარი.

\* ნაბლისფერი  
\*\* ჟორჟ დე ლატური – ფრანგი მხატვარი (1593-1652)  
\*\*\* ტომას ლოურენსი – ინგლისელი მხატვარი (1769-1830)  
\*\*\*\* როზა კარიერა – იტალიელი მხატვარი ქალი (1675-1757)  
\*\*\*\*\* ჰოკუსაი – იაპონელი მხატვარი და გრაფიკოსი (1760-1849)  
\*\*\*\*\* უტამარო – იაპონელი გრაფიკოსი (1753-1806)  
\*\*\*\*\* დღესავით (იტ.)



დაახლოებით დილის ოთხ საათზე ბატონი ლუაზელი მისმა ცოლმა პატარა სალონში გააღვიძა, სადაც სხვა ქმრები ვისტს თამაშობდნენ. სანთლები ჩამწვარიყო და შანდლებზე ჩამოღვენილიყო – წასვლის დრო დადგა.

ემილ ზოლა

მესამე ნაწილი



– ეშმაკმა დალახვროს! – წამოიყვირა ლუაზელმა, – ეს რა დღეში ჩავცვივდით! მართლაც რომ დიდი ელდა იყო მათთვის, როცა მეფლისიდან დაბრუნებისას მისმა ცოლმა აღმოაჩინა, რომ ქალბატონი ფორესტიეს ყელსაბამი აღარ ეკეთა. ცხადი იყო, რომ ცეკვის დროს არ დაჰკარგოდა. ალბათ, ეტლში ჩაუვარდა. მათ კი აზრდაც არ მოსვლიათ, ფიაკრის ნომერი დაემახსოვრებინათ. ახლა ისინი მკვახედ აყვედრიდნენ ერთმანეთს ამ გულგრილობას. განსაკუთრებით ლუაზელი სცილდებოდა ზღვარს. იგინებოდა, ფეხებს აბრაზუნებდა, ყველაფერს სწყევლიდა. ბიუროკრატიზმით გაუღენთილი მთელი სისხლი უცებ აუვარდა თავში – ოჰ, რა სისულელე ჩაეიდინე, რომ ცოლი შევირთე! – გაჰკიოდა, იტყოდით, იმ დღიდან უსიამოვნების მეტი არაფერი შემთხვევიაო. ქალბატონი ეკელუცი აღმოჩნდა, ძალიან უყვარდა ზეიმებზე და გამოფენებზე სიარული. ყოველდღე ახალ-ახალ სუნამოს, ვარდისფერ კაბებს და ახალ ხელთათმანებს მოითხოვდა.

– როცა ასეთი მადა გაქვს, მზითევი უნდა მოგყვეს, უნიფხვოდ არ უნდა გათხოვდე. ახლა ხომ კმაყოფილი ხარ! წყეულო ინდაურო, ხომ მიიღე, რაც გინდოდა! ასეთი ბრიყვი, ასეთი დაბდურა როგორ უნდა იყო, რომ ორმოციათასიანი სამკაული დაკარგო! ახლა ტირილი რაღას უშველის, ახლა, როცა სისულელე უკვე ჩადენილია?!

უნდოდა დაეცლო ხელი ამ არამზადისათვის, როგორც ჭუჭყიანსაცვლებიანი ბოხჩისათვის, და ენჯღრია, ფეხით გაეთელა, ფანჯრიდან გადაეგდო. მე შენ გასწავლი ჭკუას, როგორ უნდა სხვისი ქონებით თვალის დაყენება, შე ნათხოვარით გაპრანჭულო კახპავ!

ბრაზისა და ხველებისაგან სუნთქვა ეკვროდა. ახლა ხომ ჭკუაზე მოიყვანს! რადაც არ უნდა დაუფდეთ, დაკარგულ ყელსაბამს აანაზღაურებენ, მსგავსს უყიდიან. არავის ათქმევინებენ, რომ უღირსად მოიქცნენ.

და აი, ბრილიანტების დაბრუნების შემდეგ მათთან კატორღა დაიწყო. დაიწყო ცხოვრება ლატაკებისა, რომელთაც ერთთავად სულ ერთი ბენო ბედნიერების, სიმართლის, სამართლიანობის მამო იმედი აქვთ. დაიწყო საცოდავი, მათხოვრული ცხოვრება, როცა ყოველდღე გადიოდნენ ბაზარზე წყვილი შანდლით, ჩამოსაკიდი ლამფით



ან სარკიანი კარადით; თამასუქებითა და იმ აღმფოთებულ კრედიტორების ღრიალით აღსავსე, რომლებიც გაოფლიანებულები და აქოშინებულები მობობლავდნენ მეექვსე სართულზე და რომლებიც ან აგაცყვირებენ, ან ვალის გადახდას ნატურით მოგთხოვენ.

ახლა კი უკვე იცნობდა მამაკაცების ბუნებას პატარა ქალბატონი ლუაზელი! რამდენჯერ დაუნახავს მის ჯანმრთელ თეძოებზე შემოტმასნილი კაბის დანახვაზე როგორ ჩაუსისხლიანდებოდათ ხოლმე თვალები, როგორი ცხოველური ცეცხლი გაუკრთებოდათ ხოლმე!

რომ შესძლებოდა, დავიწყებას მისცემოდა, განმნდობიყო სულით და ხორცით მშვიდ ოჯახურ სიმყუდროვეში... მაგრამ არა... მის ირგვლივ მყოფ ქვებზე უფრო უბედური იყო... დაგვიანება როგორ იქნებოდა, დროზე უნდა ყოფილიყო საჭმელი მზად, სწორედ იმ მომენტისათვის, როცა კიბეზე ამ მუცელამოუყორავი, დაღლილი და მშიერი კანცელარიის ვირთხის მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმოდა; ყელში ამოუვიდა ეს გაუთავებელი ჭურჭლის რეცხვა ქონიანწყლიან ჯამში, ეს ზინზლიანი ტილო და თევზზე მიმზმარი კურდღლის კერძის ნარჩენები, ან წყალსადენის მილის გაუთავებელი ხმაური, მილისა, რომლის ხახიდანაც ჩამპალი პირივით მყრალი სუნი ამოდიოდა.


**ალფონს დოდე**

**მეოთხე ნაწილი**

როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გაგრძელდა ასეთი ცხოვრება? მთელი ათი წელი, ჩემო კეთილო მკითხველო, ტანჯვისა და გაჭირვების ათი წელი! დიდ პარიზულ გზას ხანდახან უცნაური მოსახვევები აქვს. საცოდავი ლუაზელები ერთხელ იყვნენ მხოლოდ ბედნიერების მწვერვალზე და – ბრახ! თავქვე დაეშვნენ როგორც ბაზრობის საქანელა, როცა თავბრუდამხვევი ვარდნისაგან თვალთ გიბნელდებოდა და გული გიქანდებოდა ხოლმე.

და აი, გავიდა ათი წელი. უკვე ყველა ვალი გაისტუმრეს და გადაიხადეს! ო, რა ძნელი იყო! ქალბატონ ლუაზელს არაერთხელ გასჩენია შავბნელი აზრები, მაგრამ როცა ცხოვრება დულს თქვენს ირგვლივ, უნდა ვახვიდეთ, გაიაროთ, გაიხედ-გამოიხედოთ და მზე სულ მალე გაგიხსნით შეჭმუხნულ შუბლს, როგორც ნორჩი ნაბლის ხის ფოთლებს შლის ხოლმე.

სწორედ იმ დღეს, იმ მშვენიერ პარიზულ დღეს, როცა ჰაერი სინაზითა და სინათლითაა გაჟღენთილი, ხოლო ელისეს მინდვრებზე





მოკაზმულ ცხენებშებმული ეტლები დაგრილებენ, იმ დღეს მადამ ლუაზელი თავის ქმრის გვერდით პატარა რკინის სკამზე იჯდა. ორ სულ შეიძლება ეს სიამოვნებაც მიიღოთ მთელი სამი საათის განმავლობაში და იმ ბედნიერებითაც დატკბეთ, რომელიც გვერდით ჩაგივლით და ოდნავ თავბრუს დაგახვევთ.

უცებ გაფთვრებული წამოხტა: ჟანა ფორესტიე?! შეუძლებელია!... დიახ, სწორედ ის გახლავთ, რა თქმა უნდა, ისაა.

არა, ქალბატონი ფორესტიე მას ვერ ცნობს. კუს ბაკნის ჩარჩოიანი ლორწეტიდან გაოცებული შესცქერის ქალს.

— მათილდა ვარ, მათილდა ლუაზელი...

ქალბატონი ფორესტიე თითქოს სულაც არ გაახარა ამ შეხვედრამ. მიუხედავად ამისა, თავაზიანად ოდნავ გაუღიმა.

— მათილდა!.. როგორ შეცვლილხარ... რა დაგმართინა?

რა მოუვიდა? ეჰ, სამწუხარო ამბავია!.. და უამბობს თავის უბადრუკ და უინტერესო ცხოვრებაზე. წარმოგიდგენია, სულ იმ მეფლისის ბრალია!

რომელი მეფლისისა? ქალბატონ ფორესტიეს არაფერი ესმის. — გახსოვს, მეფლისისათვის ყელსაბამი რომ მათხოვე? მე კი დამეკარგა. რომელიც დაგიბრუნე — ვიყიდე, ორმოციათას ფრანკად და აი მას შემდეგ ...

როგორც იქნა, მადამ ფორესტიემ გაიხსენა. გულის სიღრმემდე შეძრულმა ხელი ჩაავლო ამხანაგს.

— ორმოცი ათასი?! ჩემო საბრალო მათილდა! ის ყელსაბამი ხომ ყალბი იყო! სულ დიდი, ხუთასი ფრანკი ღირდა.

და ჩვენი პატარა მადამ ლუაზელი — ოჰ! რა თავშეუკავებელი ქცევავა დარბაისელი ქალისათვის, რომელსაც უბანში ყველა პატივს სცემს — ინყებს ხტუნვას, ტაშისკვრას.

— იზიდორ! — იზიდორ! მდიდრები ვართ!


მძიმე ცხოვრებამ ანგარიში ასწავლა. უცებ გამოთვალა... ქალბატონმა ფორესტიემ ზედმეტი ოცდაცხრამეტი ათას ხუთასი ფრანკი მიიღო. რა თქმა უნდა, დაუბრუნებს. ეს უნებური დანაზოგია, რომელსაც ვერასოდეს მოაგროვებდნენ ნებით, მოთმინება არ ეყოფოდათ — თითქოს განძი იპოვეს.



ახლა კი, გინდათ ამ ამბის დასასრული გაიგოთ? რომელიმე კვირა დღეს გაისეირნეთ იმ მშვენიერ გარეუბანში, სადაც მწვანე ბალები რიუ-ორანჟისიდან შამპროსეიმდეა გადაჭიმული. იქ, სენის სანაპიროზე, შეამჩნევთ მწვანე დარაბებიან ვარდისფერ სახლს... ამ პატარა სახლის ირგვლივ გლიცინიებია, მდელოზე კი ვერცხლის სფერო აირეკლავს ბალის ინისა და ნემსინვერას ტევრს. კარი იღება. აი, პატრონებიც. მამაკაცს პანამა ახურავს და გრძელი ნემსკავი მოაქვს. ქალს ცალ ხელში დასაკეცი პატარა სკამი უჭირავს, მეორეთი კი თასმით – დახუჭუჭებული ძაღლი. რა თქმა უნდა, იცანით, არა? ლუაზელები არიან. შესასვლელში კი მომინანქრებულ ფირფიტაზე წარწერა მოჩანს:

ვ ი ლ ა ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი

ფრანგულიდან თარგმნა ლია დარაშვილმა.



## ინტერპრეტაცია



გიორგი გოგოლაშვილი

## სულიკო – შკვდავი სული საქართველოსა

მე ვეტრფი, მე ვგრძნობ, მე ხოტბას  
 ვასხამ იმ პოეტურ ბუნდოვანებას, რომლის  
 თვითეული ნაწილიც სინათლით სუნთქავს.

გ. რჩეულიშვილი

ძნელად თუ მოიპოვება ქართველი, ვისთვისაც „სულიკოს“ თითო-  
 ეული სტრიქონი „სინათლით არ სუნთქავდეს“, მახლობელი და ბუნე-  
 ბრივი არ იყოს მისთვის ეს ლექსი; თუნდაც არ მღეროდეს, ერთხელ  
 მაინც არ ჩაეღიღინოს, „სადა ხარ, ჩემო სულიკო“...

და მაინც, ძნელად თუ მოიპოვება ქართველი, რომლისთვისაც ბო-  
 ლომდე ნათელი იყოს იდუმალება ამ ლექსისა; რომელსაც შეეძლოს ამ  
 ლექსით აღძრული ყველა კითხვის პასუხის გაცემა, გახსნა იმ პოეტუ-  
 რი ბუნდოვანებისა, გურამ რჩეულიშვილი რომ ეტრფოდა...

აკაკი წერეთლის ლირიკულ ნაწარმოებთა შორის „სულიკო“ ერთ-  
 ერთი ყველაზე პოპულარულია. რა თქმა უნდა, ამაში დიდია დამახაზ-  
 რება ვარინკა წერეთლისაც, ვინც გენიალურ ლექსზე დიდებული სი-  
 მღერა შექმნა, მაგრამ უმთავრესი მაინც ლექსია და დამაჯერებელია  
 კრიტიკოსის მსჯელობა: „სალექსო ფორმაში მოქცეული პოეტის მეტ-  
 ყველება ინარჩუნებს უჩვეულო ბუნებრიობას. საკმარისია ტექსტში  
 რაიმე შეცვალოთ, – გადასვით სიტყვები, შეცვალეთ სინტაქსური  
 წყობა, – რომ ამით დაეარღვევთ არამართო რიტმულ ორგანიზა-  
 ციას, არამედ პოეტის მეტყველებასაც დაუკარგავთ ბუნებრიობას.  
 აკაკის უმაღლესი პოეტური ხელოვნება იმაში ვლინდება, რომ პოეტი  
 ფიქრობს და მეტყველებს პირდაპირ ლექსად. თქვენ გრძნობთ, რო-  
 გორ ბუნებრივად გადადის ქართული ენა სალექსო ფორმაში... პოეტი  
 უბრალოდ გვესაუბრება, მისი მეტყველება კი, რაღაც ჯადოსნობით,  
 ლექსის ფორმით კრისტალდება...“ (თ. დოიაშვილი). ეს აკაკის სხვა  
 ლექსის გამო ითქვა, მაგრამ იგივე ითქმის „სულიკოზეც“. სწორედ  
 ეს უმაღლესი პოეტური ფორმაა, რაც თითქოს უკანა პლანზე გა-  
 დანევს შინაარსს. ამიტომაცაა, როგორც კი დავფიქრდებით სათქ-  
 მელზე (რისი თქმა სურს პოეტს ამ ლექსში), თავს იჩენს „პოეტური  
 ბუნდოვანება“...

თუმცა იდუმალება, ამოსაცნობი, ამოსახსნელი ლირიკული პო-  
 ეზიის აუცილებელი ატრიბუტია, პოეტური ხიზლის მიმნიჭებელი.  
 ქეშმარიტებაა: „აკაკის ლექსს არ აკლია ის იდუმალი, რითაც ყველა  
 ლექსი ლექსია, რითაც ნამდვილი პოეზია სუნთქავს და არსებობს“  
 (ტ. ჭანტურია). და ტარიელ ჭანტურიას ამის ნიმუშად მოჰყავს „სუ-

ლიკო": „აღბათ არ გეგულებათ „სულიკოზე“ უფრო პოპულარული ლექსი, ჭეშმარიტად ხალხური ნაწარმოები, რომლის მსმენელისა და დამფასებლის აუდიტორია დღეს თითქმის მთელ პოეტურ მსოფლიოს მოიცავს, მაგრამ ის, რაც ასე შენი, იოლი, ხელმისაწვდომი, სისხლბორცეული და გასაგები გგონია, სინამდვილეში გარემოსილია იდუმალების ნისლოვანი საბურველით, რომელშიც კაშკაშე სივრცეები ბრუნავს“. მკვეთრი შეფასებაა. თუმცა იქვე ამბობს: „არადა რომელ ქართველსაც უნდა უთხრა, „სულიკო“ ბოლომდე არ გესმისო, ირონიული ღიმილით მოგაჩერდება“. ესეც ფაქტია, მაგრამ გადავდოთ გვერდზე ეს ირონიული ღიმილი და დაფიქრდეთ:

**ვინ (ან რა) არის სულიკო?**

**ვის (ან რას) ეძებს პოეტი?**

**როგორ გავიგოთ პოეტური სახე-სიმბოლოები: სულიკო, საყვარელი, საფლავი, ვარდი, ბულბული, ვარსკვლავი, ბინა?**

მოდით, თვალი გადავავლოთ, რა თქმულა „სულიკოს“ შესახებ; როგორ გაუციათ პასუხი ამგვარ კითხვებზე:

**ვასილ ბარნოვი:** „სულიკოში“ გამოხატულია სატრფო-სამშობლოს ძებნის ტკივილი“.

**გრიგოლ რობაქიძე:** „სულიკო“ სატრფო-მშვენიერების ძიებაა“.

**აკაკი ბაქრაძე:** „სულიკო“ დაკარგული ღმერთის ძიებაა“.

**ემზარ კვიციანიშვილი:** „აკაკიმ სულიკო მრავლისმომცველ ქართულ ხატად, ქართული იერის მქონე მრავალნახნავა სიმბოლოდ აქცია... ოღონდ ამ სიმბოლოში რელიგიური შინაარსი არ დევს“.

**არჩილ სულაკაური:** „სულიკო“ ჩვენი შინაგანი ცხოვრების ანარეკლია, დაკარგულის მარადიული ძიებაა“.


**სიმონ ჩიქოვანი:** „სულიკოს“ საფლავი დაკარგული მიჯნურის სამარეა თუ წარსულში სასიკვდილოდ განწირული ქართველი ხალხის ბედი“.

**იუზა ვეგენიძე (პროფესორი):** „ქართულ სინამდვილეში ლიტერატურის დიდ ექსპერტთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა (გ. ბარნოვი, გ. რობაქიძე, ს. ჩიქოვანი, გ. კიკნაძე და სხვ.) კვალდაკვალ ვფიქრობთ, რომ „სულიკოში“ მოცემულია სამშობლოს ძიება, ან შესაძლებელია სულიკო დაკარგული სატრფოს სახეში პერსონიფიცირებული ღმერთის სიყვარულამდე ამაღლებული დაკარგული სამშობლოს ბედის ძიებაა“.

**პავლე ბერეკაშვილი (პედაგოგი):** „საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი აქვს პოეტს ალეგორიული სახით დახატული „სულიკოში““.

რთული სურათია...

უპირველესად, რა არის **სულიკო**? თენგიზ სანიკიძის „აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონში“ **სულიკო** ადამიანის საკუთარ სახელადაა გააზრებული. დღეს რომ სულიკო ადამიანის საკუთარი სახელია, ეს უდავოა, მაგამ აკაკისათვის ეს ასე არაა, იგი არაა საკუთარი სახელი... აკაკის პოეზიაში ეს სიტყვა მხოლოდ ამ ლექსში გვხვდება (ექვსჯერ არის გამოხატული). სულიკო ილია ჭავჭავაძესაც აქვს





გამოყენებული (ამას იმიტომ შევნიშნავთ, რომ **სულიკო** აკაკის შემნილი სიტყვა ჰგონიათ): „შემცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო **სულიკო**“, – ლუარსაბი მიმართავს დარეჯანს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა ასე განიმარტება: „**საალერსო მიმართვა საყვარელი არსებისადმი**“.

**სულიკო** წარმოქმნილი არსებითი სახელია, **სულ** ფუძისაგან –**იკო** სუფიქსით წარმოებული. შეადარეთ **გული** – **გულიკო**. ამგვარადვე წარმოებული სიტყვებია:

**ფული** – **ფულიკო**: ს. ხუნდაძემ გამოაქვეყნა პაროდია „**სულიკოს**“ თემაზე – „**ფულიკო**“. აკაკის საპასუხო ლექსში „**ფულიკო**“ სიტყვა **ფულიკო** რამდენიმეჯერ არის ხმარებული. ამავე ლექსში გვხვდება სიტყვა **თვალკო**. ასე რომ, ამგვარი სიტყვანარმოება ბუნებრივია: **სული** და **სულიკო**, **ფული** და **ფულიკო**, **თვალი** და **თვალკო**. ყველა შემთხვევაში ესაა: **ძვირფასი სული**, **ძვირფასი ფული**, **ძვირფასი თვალი...**

აკაკი ბაქრაძე მიუთითებს, რომ ფრანგი მეცნიერი და მოღვაწე ბარონ დე ბაი თავის მოგზაურობათა შთაბეჭდილების წიგნში ამ ლექსზეც საუბრობს და განმარტავს: „სულიკო არის საალერსო ტერმინი, რაც ნიშნავს „ძვირფასო სულ““. ჩვენ არ ვიცით, ვინ ჰყავდა კონსულტანტი ბარონ დე ბაის, მაგრამ ის ფაქტი, რომ **სულიკო** ტერმინადაა გაგებული და **ძვირფასი სულის** მნიშვნელობით იხმარება, ფრიად საგულისხმოდ გვეჩვენება.

ცნობილი ფაქტია: საყვარელი, სატრფო სამშობლოს სახე-სიმბოლოა აკაკისთან. ეს ამ შემთხვევისთვისაც ასე ჩანს („სულიკოს“ ვგულისხმობთ).

ჩვენი მთავარი სათქმელი: **ხომ არ არის სულიკო ძვირფასი სული სამშობლოსი?** იგივე, რაც ილიასთვის არის **თანამდევი**, **უკვდავი სული?**

ლექსში „სულიკო“ აკაკი **ხომ არ ეძებს სწორედ ამ თანამდევ უკვდავ სულს** (ე. ი. ძვირფას სულს – სულიკოს) საქართველოსას?

ილიას თქმით, უკვდავი სული მარად და ყველგან საქართველოსთანაა:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,  
 მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული...“

„სადა ხარ, ჩემო სულიკო“ – პოეტი **ხომ არ ეძებს სწორედ საქართველოს ამ უკვდავი, ძვირფასი სულის ადგილსამყოფელს?** სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ხომ არ არის ეს ძიება იმისა, რაშია განსხვულებული ძვირფასი სული (სულიკო) საქართველოსას?**

საფლავი სამყოფელია, **ბინაა** ამ ძვირფასი სულისა: „ახლა კი ვიცი, სადაც ხარ, სამგან გაქვს **ბინა**, სულიკო!..“ ე. ი. პოეტი ეძებდა და იპოვა სამყოფელი საქართველოს უკვდავი, ძვირფასი სულისა (სულიკოსი): „სამგან გაქვს ბინაო“... მაგრამ რას ნიშნავს „სამგან“? „სამად დაშლილა ის ერთი“ – რა არის „ის ერთი“, რაც „სამად დაშლილა“?

„ის ერთი“ სულია საქართველოსი, ძვირფასი სული (სულიკო), რომელიც სამად არის დაშლილი, გამოვლენილი (სამება და ერთარსება!..) – ვარდში, ბულბულსა და ვარსკვლავში:

**ვარდი** – ნაყოფი ქართული მიწისა;

**ბულბული** – ნაწილი ქართული ცოცხალი გარემოსი (მზისქვეშეთისა);

**ვარსკვლავი** – სიმბოლო ქართული ზეცისა...

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აკაკის აზრით, სული საქართველოსი, ძვირფასი სული (სულიკო) განსხვავებულია ყოველივე იმაში, რაც ქმნის საქართველოს, რასაც საქართველო ჰქვია: ქართულ მიწაში (სიმბოლო მიწის ნაყოფისა – ვარდი), ქართულ მზისქვეშეთში (სიმბოლო ქართული ცოცხალი გარემოსი – ბულბული) და ქართულ ზეცაში (სიმბოლო – ვარსკვლავი).

ამიტომ ბედნიერი პოეტი – იცის, სადაა ძვირფასი სული (სულიკო) მისი ქვეყნისა – „ახლა კი ვიცი, სადაც ხარ: სამგან გაქვს შინა, სულიკოო“ და დამშვიდდა, აღარ ტირის „გულამოსკენილი“:

„მენიშნა, აღარ დავეძებ  
საყვარლის კუბო-სამარეს,  
აღარც შევჩივი ქვეყანას,  
აღარ ვღერი ცრემლებს მდულარეს!..  
ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ,  
ვარსკვლავს შევეყურებ ღვინითა  
და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,  
ვერ გამომიტყვამს ენითა!“

დასკვნასავით: სულიკო არის ძვირფასი, უკვდავი სული საქართველოსი, რომელიც განსხვავებულია ყოველივე იმაში, რასაც ქართული ჰქვია: ქართულ მიწაში, ქართულ მზისქვეშეთსა და ქართულ ზეცაში (ქუესკენელთა შინა, ქუეყანასა ზედა და ცათა შინა).





## ხელოვნება

ვალენტინა (ვალა) ხაზალია

## ალიარების დიდი გზა – ნიკო ფიროსმანი

(დაბადებიდან 140 და გარდაცვალებიდან 90 წლის აღსანიშნავად)



პაბლო პიკასო,  
ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტი,  
1972 წ.

ეს იყო გასული საუკუნის დამდგეს... 1912 წელი ქართული კულტურის ისტორიაში დიდი მოვლენით აღინიშნა. ეს მოვლენა იყო ნიკო ფიროსმანაშვილის, როგორც ხელოვანის აღმოჩენა, ნიკალასი, რომელიც ასე ორგანულად ერწყმოდა ძველი თბილისის საოცრად კოლორიტულ ბოჰემას.

ყოველივე ეს სრულიად უბრალოდ მოხდა: ამებს ილია და კირილე ზდანევიჩებს (დღით გამყრელიძეებს) ქართული ხალხური ხელოვნების ნიმუშებით დაინტერესებული ფრანგი მეგობარი, მხატვარი მიშელ ლე დანტოუ ეწვია პეტერბურგიდან.

ახალგაზრდა სტუმარ-მასპინძელთა ყურადღება ჯერ სამიკიტნო „ვარიაციის“ ექსტერიერმა, მისმა აბრამ მიიქცია, ხოლო შემდეგ ინტერიერმა. საოცარი სამყარო იყო გამეფებული – უშუალო, საინტერესო, ხალხური ხელოვნების დარად ზღაპრული...

ავტორი მოიკითხეს...

ვინ „მღებავ ნიკალად“ მოიხსენია იგი, ვინ კიდევ „გრაფად“ – ასე შეურქმევიათ კინტოებს იმ ფეტრის ქუდის გამო, რომელსაც დღენიდავ ატარებდა მხატვარი.

– სად ცხოვრობს?

– არავინ იცის, ისეთი ღარიბია საცხოვრებელი ოთახიც არა აქვს, მოხეტიალე კაცია, აიღებს საღებავებით საესე ყუთს და დადის..

– რას დადის, სად დადის, ვერაინ გეტყვიო... ეძებთ, ნიკალა ძალიან უბედურია, მარტოხელა და ღარიბი.

– ეძებთ ნიკალა, – იყო პასუხი...  
...მიავნეს კვალს...

თორ კედელთან იდგა მხატვარი, დახეულ პიჯაკში, ფეტრის ქუდით, ძალიანი, მშვიდი, ამაყი, გულში ჩამარხული „მალული სევდით“, – ასე იგონებდა მასთან პირველ შეხვედრას ილია ზდანევიჩი.

– იცით, რომ თქვენ დიდი ოსტატი ხართ და თქვენი სურათები ხელოვნების ძვირფასი ნიმუშებია? – უთხრა მას ლე დანტოუმ.

ილია ზდანევიჩმა იქვე დასძინა: „თქვენი სურათებით ქართული ფერწერა ისევ ჩადგება ქართული ხელოვნების ისტორიულ კალაპოტში. თქვენ ავეიხილეთ თვალი მშვენიერ საქართველოზე, სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული ემჩნევა ყველა თქვენს სურათს და ამისათვის დიდება და პატივი თქვენ!“

ვამა ნიკალას... არასოდეს დამავიწყდებაო თქვენთან შეხვედრა...

ასე დაიწყო... ასე დაედო სათავე ნიკო ფიროსმანაშვილის აღიარების დიდ გზას...

ამ შეხვედრას მოჰყვა ილია ზდანევიჩის პირველი ცნობილი წერილი ფიროსმანზე. ამასუჟდა პრესა... სასტიკი იყო რეაქცია:

– უსწავლელი თვითნასწავლი მხატვარი და მისი მეცენატები, ძლივს მოიჩიტილი ბარტყები...

ასე შეამკო იმდროინდელმა პრესამ ეს ახალგაზრდები, რომელთაც პირველდება აღიარეს „მღებავ ნიკალას“



ნამუშევრები ხელოვნების ძვირფას ნიმუშებად.

სულ მალე მათ გვერდით დადგა ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ვანჩელი თავისი გაბედული რეცენზიით.

ამას მოჰყვა სომეხი პოეტის, ყარა-ღარეშის, წერილები. მან ნიკალა გამოაცხადა ქართული სახვითი ხელოვნების ეროვნული ტრადიციების უდიდეს გამგერძელებად და ჩვენნი ეპოქის საუკეთესო მხატვრად.

აზრთა სხვადასხვაობა კიდევ მეტად აღვივებდა ინტერესს. მწერლები სულ უფრო და უფრო ეცნობოდნენ, ღრმად სწვდებოდნენ თვითმყოფადი მხატვრის შემოქმედებას – მის სურათებში „ბუნების პირველქმნილი სახე წარმოვიდგებო“, – აცხადებდნენ ისინი.\*

1916 წელს ფიროსმანაშვილის თავყანისმცემლებს ქართული სახვითი ხელოვნების დიდი მოამავე, გერმანიიდან ახლადჩამოსული დიმიტრი შევარდნაძე შეემატა. არც მას დააკლდა ევრეთწოდებული „აკადემიკოსების“, ანუ ფიროსმანაშვილის მოწინააღმდეგეთა, რისხვა, მაგრამ ყინული უკვე ღღვებოდა...

დაიწყო სურათების შვეროვება, მასალების მოძიება, გამოფენათა მოწყობა თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში...

ასე დაიწყო... ასე დაიწყო, აღიარების დიდი გზა, რომლის მხოლოდ სათავეს მოესწრო ნიკო ფიროსმანი.

ამ დროიდან ნიკომ ერთხანს კიდევ იცოცხლა და, მართალია, ე.წ. „ფიროსმანისტთა“ რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ზღანევიჩები მის ნამუშევართა კოლექციას აგროვებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ნიკალას პირად ცხოვრებაში ამან ვერა შეცვალა რა. სიტყვა თავად ფიროსმანს დაუთმოთ,


აი, თურმე რა უთქვამს მას ლადო გუდიაშვილისათვის, როდესაც მან 1916 წელს მხატვართა საზოგადოების დავალებით მიაკვლია ფიროსმანაშვილის ადგილსამყოფელს დიდუბეში, პატარა სახლის კიბის ქვეშ: „მთელი ჩემი ცხოვრება ჯვარცმაა, ვიტანჯები ყველა მელუქნის, კინტოსა და ნაძირალას თვითნებობისაგან. მე ისინი დაუნდობლად მტანჯავენ, მცვლევენ, სურათში ნატეს პურსა და ერთ ჯამ კერძს მაძლევენ... მე ბევრ თქვენგანსაც ვიცნობ, მათ ვეზიზიბი, დამცინიან... უცნაური კია, მე ზომ მათთვის ცული არაფერი გამიკეთებია. მე ისეთივე მხატვარი ვარ, როგორც ისინი არიან, მე ჩემებურად ვხატავ, მაგრამ უკუღმართმა ბედმა აქ ჩამომავლი, ამ გადასაკარგავში, ტუნწ ადამიანთა სამყაროში. შემომხედეთ, ჩემს კონკებს უყურებთ? ასეთად მათ გამხადეს... მე კოველთვის ვოცნებობდი თქვენ შორის, მხატვართა შორის ცხოვრებაზე, მინდოდა მელაპარაკა ხელოვნებაზე, ფერწერასა და პოეზიაზე“.

კითხვაზე – რატომ წერთ თამარ მეფის, რუსთაველის, სააკაძის პორტრეტებსო – უპასუხნია:

– მე პატრიოტი ვარ, ვიცნობ ჩემი ტანჯული ქვეყნის ისტორიას, ვიცნობ რუსთაველის პოემას, ვიცნობ და მიყვარს აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა. მე მათ ჩემებურად ვხატავ, დაე, სხვებმა ვაციონონ ჩემს ნამუშევრებზე... მე ჩემი გზით მივდივარ...

დაიხ, თავისი გზით, მხოლოდ საკუთარი გზით მიდიოდა ხელოვნებაში ნიკო ფიროსმანი, რომელმაც კითხვაზე – რატომ ხატავთ ასეთ კონტრასტულ სურათებს, როგორცაა: „უშუილო მილიონური და ღარიბი ქალი ბავშვებით“, „თეთრი ძროხა“, „შვი ხარი“, „არწივი და კურდღელი“ – ასე ჩამოაყალიბა თავისი მრწამსი:

– ცხოვრება კონტრასტია: მდი-



\* ვ. ბერიძე, „ნიკო ფიროსმანაშვილი“, თბილისი, 2007, გვ. 9.



დარი – ღარიბი, შავი – თეთრი, ცხოვრებაში ყველაფერს ორი მხარე აქვს: კეთილი და ბოროტი. აი, თეთრი ძროხა არის სინაზის, სიმშვიდის, სიყვარულის სიმბოლო, თეთრი ფერი სიყვარულის ფერია. შავი ხარი ჩხუბობს, ღრიალებს – ომია, არწივი ღიღია და დაუნდობელი, პატარა, სუსტსა და უბედურ კურდღელს ძიძგნის, არწივი – მეფის სიმბოლოა, კურდღელი კი... – ეს მე და თქვენ ვართ...

„უშვილო მილიონერი“ – მდიდარია, ბედნიერი, სხვისი უბედურების მიმართ ყრუ. ის ბატონია – მოჯამაგირეები და დღიური მომუშავეები ჰყავს, ბავშვებიანი ღარიბები, ფეხშიშველები, შშვირები არიან. ისინი მებრალბებიან...\*

მორიგ კითხვაზე – რატომ ხატავდა მუშაშასა და მუყაოზე, ასეთ არამყარ მასალებზე, ნიკოს შემდეგი განმარტება მოუცია: მე კარგად ვიცი, რომ თქვენ იქ, მაღლა გაქვთ შესანიშნავი ტილოები, ტუბიანი საღებავები და კარგი ფუნჯები – ეს მასალები ჩემთვის მიუწვდომელია, მე იაფ მასალას ვიღებ, თვითონ ვამზადებ საღებავსაც და ფუნჯსაც!

ვერა და ვერ იფიქრებდა **ღალი გუდაშვილი** ნიკალასთან განშორების წუთებს, აკი იფიქრებდა კიდევ მრავალგზის: უკან მივიხედე, – ნიკო იდგა და გაბრწყინებული, ნამიანი თვალებით მაცილებდა. მისი ანთებული სახე ყოველთვის მიდგას თვალწინ. ახლაც მასსოფს მისი ხმა, დამშვიდებული და წყნარი, გამოფიტული ფიგურა და სახე ისეთი უბედური, რომ თვალებზე ცრემლი მაღვებო...

და ბოლოს, ვერა და ვერ დავეიწ-

\* უთუოდ ამიტომ შეხვდა ალბათ ნიკალა 1905 წლის რევოლუციას აღტაცებით – „ახლა აღარ იკითხავენ – „ეს ვინ არი, აქ რათ არი“ – დადიოდა თურმე და მიტინგებს ესწრებოდა, „მოვრჩით განსაცდელსო“, ამობღაო – იფიქრებდა ნიკოს ბიძაშვილი. დაუხატავს კიდევ მიტინგი ნაძალადეგში.

ყვინა გამოშვიდობებისას ნათქვამი მისი სიტყვები: „ნუ მიმატოვებ, არ წახვიდე, მეგობარო, შენთან ერთად, ყველასთან, ხელოვნების ადამიანებთან მინდა ყოფნა“.

ღიახ, მათთან ეწადა ყოფნა ყარაჩოხელების, კინტოების, მოქიფე დარდიმანდების სამყაროში უკულად მავალ მარტოსულს...

მოესწრო, მოესწრო ნიკალა ხელოვნების ადამიანებთან შეხვედრასაც, მიიღო ქართულ მხატვართა მიწვევა პირველ შეკრებაზე, მივიდა კიდევ, როგორც ამას შემდეგ იფიქრებდა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი **მიხეილ ჭიაურელი**.

მივიდა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ჯობდა, არ მისულიყო...

ერთ-ერთმა ორატორმა ხოტბა რომ შეასხა და ქართულ მიწაზე დაბადებულ არაჩვეულებრივ მხატვრად აღიარა, მეორემ მიწასთან გაასწორა...

ნიკალას სახეზე მარღვიც არ შესტოკებია და ეს უთქვამს სხდომის დასასრულს:

– აი, რა გვინდა ძებო: ქალაქის შუაგულში, ისე, რომ ყველა ჩვენგანისათვის ახლოს იყოს, საჭიროა ავაშენოთ ხის დიდი სახლი, სადაც შეგვეძლებოდა შეკრება. ვიყიდოთ დიდი მაგიდა, დიდი სამოწარი, დავდოთ ხოლმე ჩაი, ვილაპარაკოთ ფერწერასა და ხელოვნებაზე...

ეს იყო ფიროსმანის პირველი და უკანასკნელი გამოჩენა მხატვართა შეკრებაზე...

იმავ 1916 წელს **კირილე ზდანევიჩმა** თავისი მშობლების ბინაში მოაწყო ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევართა ერთდღიანი გამოფენა. დამთვალეირებული ბევრი მივიდა, მაგრამ ნიკალას არც ამჯერად გაუღიმა ბედმა. ღვთის რისხვად დააცხრნენ ზდანევიჩს, ბევრმა „მნახველთა მოტყუებად“ აღიქვა ეს გამოფენა, ნაწილმა კი იმდენად სასაცილოდ მიიჩნია, რომ



თავი შურაცხყოფილადაც, ჩათვალა, რომ მიიწვიეს.

ყოველთვის ამან იმ ზომამდე აღმაშფოთებული ხასიათი მიიღო, რომ მოსეთიძე იძულებული გახდა, დაეწერა და გამოეცხვენებინა წერილი „ნიკო ფიროსმანაშვილი და მისი ნახატები“, სადაც წერდა:

„ახლა ფიროსმანაშვილი არსად ჩანს, ვინ უწყის, ცოცხალია იგი თუ მკვდარი, მას ვეღარ ვუშეველით, მხოლოდ უნდა ვეცადოთ, თუ სადმე კიდევ არის მისი ნაშუშევარი დარჩენილი, შევკრიბოთ და მუზეუმში ვიქონიოთ. თვითგამორკვევისათვის ყველა ამგვარ ხალხურ შემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს...“

ასე ძნელად მიიკვლევდა ნიკალას შემოქმედება გზას იმ დიდებული ტაძრისაკენ, რომელსაც ერის სულიერი კულტურის საგანძური ჰქვია.

იმ დროს ფიროსმანი ცოცხალი იყო, მაგრამ ისე გაეტეხა წელში ავადმყოფობას, უსასლკარობას, მიუსაფრობას, რომ უკვე აღარაფრის თავი არ ჰქონდა. ფიზიკურად დაუძლურებულს სულის სიმტკიცე და სიამაყე შერჩენილა მხოლოდ.

1917 წლის 5 მაისს ნიკალა გარდაიცვალა. არავინ იცის მისი საფლავი. როგორ არ ეცადა, რა არ იღონა წლების მანძილზე ჟურნალისტმა ნელი კობიაშვილმა, მაგრამ ვერა და ვერ მიაკვლია მის საფლავს.

წავიდა ისე, რომ ოცნება ოცნებად დარჩა... ვერა და ვერ ეღირსა ხელოვნების აღამაინებთან ყოფნას, ვერ ეღირსა დამსახურებულ მოფერებას, როგორც თავად ამბობდა, „ნატეხი ჰური და ერთი ჯამი კერძი-ლა“ ემეტებოდათ მისთვის.

სამაგიეროდ ერთი ასად მიეზღო ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ...

30-იანი წლებიდან მისი აღიარების გზა მხოლოდ წალმა წარიმართა... მართალია, 40-იან წლებში II მსოფ-

ლიო ომმა, ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებმა თავისი კვალი დაამჩნია ფიროსმანის ხელოვნებით საყოველთაო დაინტერესებას, მაგრამ 50-იანი წლებიდან მეტ-ნაკლებად ყველაფერი მწყობრში ჩადა და გასული საუკუნის მეორე ნახევარი ფიროსმანის ხელოვნების ტროუსმის წლებად მოგვევლინა.

აქ მცირე მოვონება ფიროსმანთან დაკავშირებით:

...60-იანი წლებია. ჯერ კიდევ ის ხანაა, როდესაც ცივილიზებულ ევროპას საბჭოთა კავშირი „დამყაყებულ ბურჟუაზიულ სამყაროდ“ მიიხსენიებს, ხოლო ევროპისაგან ჩვენ ე.წ. „რკინის ფარდით“ ვართ იზოლირებული.

ჩვენი ოჯახი დიპლომატიურ სარბიელზეა, მუდღეუ – გივი მელაძე პარიზში ოუნესკოს წარმომადგენლობაში დიპლომატიური რანგით პირველი მდივანია, მე, მედიის მსახური, ერთ-ერთი მათგანი, ვინც საქართველოში სათავე დაუდებ ტელევიზიას, საფრანგეთში ერთხანს სსრკ-ს საკონსულოს მუშაკი, პარიზში მეორედ ვეზიარები სტუდენტობის ღამაზ წლებს და სორბონის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. პარალელურად იქვე ვსწავლობ ამავე უნივერსიტეტის ფრანგული ენის ფონეტიკის ინსტიტუტში (რისთვისაც სიცოცხლის ბოლომდე მადლობელი ვარ იმხანად ოუნესკოში საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენლის, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ფრიად განათლებული პიროვნების ა. გ. კულაფენკოვის, რომელმაც ე.წ. „რკინის ფარდის“ ეპოქაში დაუშვა უიშვიათესი გამოჩენილი და ნება დამრთო ჩემი პასპორტი, რომლის მიხედვითაც გაურკვეველი ეროვნების ვახლდით – „soviétique“ – მოვეყო-





ბილიყავი უცხო ქვეყნის სასწავლებელში. ამით მან უდიდესი პასუხისმგებლობა დაამკისრა, მაგრამ მეც ყველაფერი გავაკეთე საიმისოდ, რომ დირსეულად მებასუსხა ამ ნდობისათვის. ისე ვიარე ბეწვის ხიდზე, მუდამ მახსოვდა „ვისი გორისა“ ვიყავი, რისი უფლება მქონდა, რისი – არა. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დამთავრდა. მაგრამ ვერ დავიფიცავ, ჩვენი საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომლის მეუღლის, ი. ლისენკოს, სიტყვები ამ 86-წლის მოხუცს ხშირად ახლაც მწარედ მჭირს ყურს: “Это правда Вы решили и здесь устроиться в ВУЗ?” “Да”-მეთქი, ვუთხარი. პასუხად გაისმა: “Зачем вам понадобилась еще Сорбона? У себя Вы кончали Университет да и аспирантуру в Академии Наук, видимо, Вы не подумали о том, что малейшая провокация и мы все из-за вас должны отвечать!”\*.

მე და ჩემს მეუღლეს ქართველთა უკურნებელი „სენი“ გვჭირს – ერთმანეთს ვევიბრებით, ვინ უკეთ წარმოვანეთ ჩვენი ქვეყნის – საქართველოს ზვიად ბუნებას, მის მკვიდრთა მდიდარ, რაინდულ სულს, ადათჩვევებს, ლიტერატურას, ხელოვნებას, სუროთმოდერებას და ა. შ. (ქართველებს სატრაბახოს რა გამოგვიღვეს!) თან ასპარეზიც კარგი გვაქვს – ოუნესკო, სადაც ლამის ყველა ქვეყნის ინტელიგენციაა წარმოდგენილი, და სორბონის უნივერსიტეტი, სადაც ასევე მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან არიან ჩამოსულნი სასწავლებლად. მასსოვს ერთხელაც ამაყად მოუბარს საქართველოს მრავალსაუკუნოვან კულტურაზე (კერძოდ, „ვეფხისტყაოსანზე“, დანტეს და რუსთაველს ვადარებდი ერთმანეთს) პროფესორმა გამპროტიემ მოურიდებლად

მითხრა – „რა საოცრება (სიტყვა „formidable“ ინგარა) ხართ, როგორ ანთებით ქნო მელაძე, ეს საოცრად გაწონასწორებული პიროვნება, როცა საქმე თქვენს ქვეყანას ან მის კულტურას ეხებაო“.

ოუნესკოში მუდმივად იმართებოდა მეტ-ნაკლებად საინტერესო შეხვედრები, საღამოები, კონფერენციები, რომლებზეც ჩვენ სისტემატურად გვიწვევდნენ.

ერთხელაც ასეთ შეხვედრაზე ბატონი Jean A. Keim-ი გამაცნეს. აღმოჩნდა, რომ მას, ხელოვნების კრიტიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრს, ერთხანად რუსეთში საფრანგეთის საელჩოში კულტურის ატაშედ უმუშავია. უმაღ კვითხე თბილისში ხომ არ იყო ნაყოფი, მაგრამ უარყოფითი პასუხი მივიღე. საუბარი შედგა. თუმა ჩვენმა პროფესიამ განსაზღვრა – ფრანგი იმპრესიონისტები. მაგრამ მან სიტყვას მოაყოლა და დიდი სიამაყითა და აღფრთოვანებით უანრული ფერწერის ხალხური ოსტატი (ფრანგები ასე ეძახიან პროფესიულ განათლებას მოკლებულ მხატვრებს) ანრი რუსო ახსენა. ანრი რუსო, რომელსაც მთელი ჩვენი პარიზში ცხოვრების მანძილზე იმპრესიონისტთა მუხეუში ცალკე დიდი დარბაზი ჰქონდა დათმობილი (შემდეგ პომპიდუს ცენტრში არ ვიცი რა პატივი მიავეს).

ანრი რუსოს ხელოვნებასთან ყოველი შეხვედრისას ფიროსმანი მაგონდებოდა (ალბათ ამიტომაც ვერასოდეს ვუვლიდი გვერდს). ასე მოხდა ამჯერადაც და მე, ჩემდა უნებურად, საკმაოდ მინორული ტონით დიდი და პატარა ერების გამორჩეულ, კუმმარიტ ხელოვანთა განსხვავებულ ხედვრზე ჩამოვადე სიტყვა (სხვათა შორის ამ თემაზე ხშირად მიწვედა საუბარი, როცა სიტყვა საქართველოს კულტურის კორიფეებს შეეხ-


\* რა მწვავე იყო ამ სიტყვების სუსხი, ჩემი თაობა დღესაც კარგად წარმოიდგენს.



ებოდა). ხაზი გაუსვი პატარა ერების წარმომადგენელთა აღიარების როლს და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას. თან დაეძინე, რომ ის – ხელოვნების კრიტიკოსი – გაცილებით მეტი გატაცებით და სიყვარულით ისაუბრებდა ნიკო ფიროსმანზე, ერთხელ მაინც რომ ჰქონოდა ნანახი მისი – ხალხური შემოქმედების დარად მიმზიდველი – უშუალო, ჭეშმარიტად ზღაპრული სამყარო.

ის ერთხანს შეჩერდა, დამაკვირდა და მოკრძალებით მიხოვა: „თუ ძალიან არ დაიღლებით, მომიყვებით, რაც კი იცით ფიროსმანზე“.

მეც ვეცადე არა დამეკლო-რა ნიკოლასთვის. გავიხსენე მისი, როგორც ხელოვნის, პირველადმოქმენები – მიმელ ლე დანტო, ილია და კირილე ზდანევიჩები, ნიკოლას დამფასებელი მწერლები, მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები – დ. კაკაბაძე, მ. თოიძე, დ. შვერდნაძე, გ. ზაზიაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ლ. გუდიაშვილი, მ. დულუაგა, შ. ამირანაშვილი, გ. ჯიბლაძე, ა. მირცხულავა და სხვები და სხვები\*. ხაზი გაუსვი, რომ მათ შორის ისეთმა ინტელექტუალმა, როგორც დავით კაკაბაძე იყო, ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში



აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი გამოფენის ორგანიზატორებთან.

განაცხადა, რომ ფიროსმანის შემოქმედება „უადრესად ეროვნულია და ამავე დროს საერთო, საკაცობრიო“ (დ. კაკაბაძე, „ხელოვნება და სიყვარული“, პარიზი, 1926 წ. გვ. 25), თან, რაკი ასე დაინტერესდა ფიროსმანით, იქვე ისე დაბეჯითებით, ისე თვითდაჯერებით დაეპირდი, რომ ის უზრუნველყოფილი იქნებოდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორის, აკადემიკოს **შ. ამირანაშვილის** ინფორმაციითა და ფიროსმანის ნამუშევართა ფოტორეპროდუქციებით, რომ ცოტა შევცბუნდი, შემიშინდა, მეტიც, დამეცხხლა კიდევ, როგორც კი მომაგონდა, რომ ჩვენი საბაჟო მსგავს მასალას საზღვარზე არ ატარებდა. ამის მწარე გამოცდილება უკვე ჰქონდა, ჩემი სადისერტაციო ნაშრომი „კვათაფშაველას ესთეტიკა“ ლეოვის აეროპორტის საბაჟოში შეიწირა 1951 წლის 1 აგვისტოს.

ამ დროს, ასე ვართულებს ანრი რუსოთი და ფიროსმანით, ჩემი მეუღლეც შემოგვიერთდა, გაოცებული ჩემი ხანგრძლივი საუბრით Jean A. Keim-თან (მან იცოდა მე საერთოდ არ მიყვარდა დიდხანს, გაბმული საუბარი დიპლომატებთან, იმ ოფიციალური ტონის გამო, რაც მათთან საუბარს

\* ბუნებრივია, მე მისთვის გრივოლ რობაქიძე არ დამისახებელია და ვერც ვუხსენებდი, ვინაიდან, იმხანად (XX ს-ის 60-იანი წლები) არც ჩემთვის, არც საქართველოს ფართო საზოგადოებისთვის (ხელოვნებათმცოდნეთა ჩათვლით) არ იყო ცნობილი, რომ ფიროსმანის ხელოვნების პირველ ამღიარებელთა შორის ფიგურირებდა გრივოლ რობაქიძე.

პირადად ჩემთვის, რომელმაც ნახევარსაუკუნემდე შევწირე ტელევიზიით ქართული კულტურის პოპულარიზაციას, მხოლოდ ახლა, ფიროსმანის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ ვახსენებ ცნობილი, რომ 2008 წლის დამლევს ისტორიკოსმა პატონმა **გიორგი სარაჯიშვილმა** ვაზ. „ბახტრიონში“, რომელსაც ხელს აწერს რედაქტორი **გიორგი ლეონიძე**, შეაკვლია ინფორმაცია, რომ გრივოლ რობაქიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც პირველმა აღიარა ნიკოლას ხელოვნება. დიდი მადლობა პატონ **გიორგი სარაჯიშვილის** ამ ფაქტის გამოშვებებისათვის.



მარგარიტა დე სვერი (მარცხნივ)  
მეგობრითურთ „აქტრისა  
მარგარიტას პორტრეტთან“

ახლავს ხოლმე, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ზმირად მათი ენა ერთს მეტყველებს, ხოლო სახე მეორეს). საუბრის თემისა და ჩემი შიშნარევი დაპირების შესახებ რომ კუთხარი, ზვადლიდანვე თქვენს სამსახურში მივუღეოთ, დაგვიპირდა გაზარებული ჩემი მეუღლე. მე კიდევ ქართულად გადმომილაპარაკა: „შენ რამ შეგაშინა, დიპლომატიური ფოსტა მარტო ჩვენი წერილებისთვის ხომ არ არსებობს“. დაპირებაც სულ მალე შეასრულა. ოპერატორულად დაუკავშირდა აკადემიკოს **შალვა ამირანაშვილს**, რომელიც მისთვის ჩვეული გულიანხმებერებით მოეკიდა საქმეს და სულ მალე Jean A. Keim-ს ხელთ ჰქონდა აკადემიკოს შ. ამირანაშვილის ამომწურავი ინფორმაცია და ფიროსმანის ნამუშევართა გამოფენის კატალოგი მხატვრის ფოტოსურათით. ყველაფერი ეს დაედო საფუძვლად Jean A. Keim-ის მიერ იუნესკოს „კურიერისთვის“ მომზადებულ მასალას. დიახ, მან „კურიერის“ მრავალეროვან და მრავალრიცხოვან მკითხველს გააცნო ნიკო ფიროსმანი და წერილი დაამთავრა სიტყვებით: „მისი (ნ. ფიროსმანის. – ვ. ხ.) გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ ეს „ბედკრული“

მხატვარი სარგებლობს იმ წარმატებით, რომელიც მას არც უტყბნია და რომელსაც არც ელოდა. ორი წელია, რაც თბილისში აღინიშნა მისი დაბადების 100 წლისთავი და თბილისის მუზეუმში მოეწყო მისი ნამუშევრების დიდი რეტროსპექტიული გამოფენა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული კატალოგის წინათქმაში თბილისის მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი **შალვა ამირანაშვილი** წერს: „რევოლუციამდელი ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაში ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრები ერთი საინტერესო ფურცელია, რომლის სწორი აღქმა და ჭეშმარიტი შეფასება ჩვენი საბჭოთა მხატვრული კრიტიკის ვალია“.

Jean A. Keim-მა აკადემიკოს ამირანაშვილს, მის მიმართ გამოჩენილი ყურადღების გამო, იმის გამო, რომ უზრუნველყო იგი ინფორმაციით, კატალოგით, რეპროდუქციებით, პატივი მიაგო და მისი სიტყვებით დაამთავრა სტატია: „**ნიკო ფიროსმანაშვილი თავისი ჰუმანურობითა და ტვინით მთელი მსოფლიო ხელოვნების კუთვნილებაა**“ („იუნესკოს კურიერი“, №10, 1962, ოქტომბერი).

მე ეს ფრანგულენოვანი იუნესკოს „კურიერი“, მიუხედავად იმისა, რომ იმ წლებში (გასული საუკუნის 50-60-იან წლებში) საზღვარზე სასტიკად იყო აკრძალული და კანონით ისჯებოდა ჟურნალ-გაზეთების გადატანა, უფროსებთან შეთანხმების საფუძველზე (ეს შეთანხმება ასეთი იყო: „Попросят, отдайте, но не говорите, что я разрешил“) მაინც წამოვიღე, რათა ხელოვნების მუზეუმისათვის გადამეცა, მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა. იმხანად უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორმა ბატონმა **ვლადიმერ მაჭავარიანმა** წამოკითხოვ, მოხოვა. უარი ვერ შევკადრე, ვათხოვე. ის დღე იყო და ის დღე. იმ



დღიდან მე იმ ჟურნალის დაბრუნებას ვერც ბატონი ვლადიმერისგან, ვერც მისი ერთდღერი ქალიშვილისგან ვერ ველირე, ეტყობა დაეკარგათ.

ამას წინათ თბილისს პარიზიდან ჩამოსული ბიძინა ჩოლოყაშვილი დამპირდა საფრანგეთში ჟურნალის მოძიებას და ქსეროასლის გადმოგზავნას. და რა გვინათ, უტყუარი გენების პატრონმა სულ მალე მომაწოდა ჟურნალის ქსეროასლი (მინდოდა წერილის მთლიანად თარგმნა, მაგრამ არცთუ დარწმუნებულმა, რომ ბატონი ბიძინა შემძებდა ამ თხოვნის ოპერატიულად შესრულებას, შშობლიურ ეროვნულ ბიბლიოთეკას მივაკითხე. იქ ქალბატონებმა ფანა ქვათაძემ და ეთერ იმნაიშვილმა „კურიერის“ რუსულენოვანი ვარიანტი მოიძიეს (რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ). ასე რომ, ორიგინალის თარგმნის აუცილებლობა მოიხსნა. წერილის გაცნობის ყველა მსურველს შეუძლია წაიკითხოს ის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მე აქ მხოლოდ ფინალი შემოგთავაზეთ, სადაც Jean A. Keim-მა ფიროსმანის შემოქმედებას იმ ტაძარში მიუჩინა ადგილი, მსოფლიო ხელოვნების საგანძური რომ ჰქვია).

მწელი წარმოსადგენი არ არის სიხარულის, კმაყოფილების, მეტიც, სიამაყის რა გრძნობას აზიარა Jean A. Keim-ის ამ წერილმა ჩვენი ოჯახი. ყველაფერი ეს ხომ ოუნესკოში ერთი შეხვედრის შედეგი იყო. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ის იყო, რასაც ამ ავტორიტეტის შეფასებამ ჩაუყარა საფუძველი – კერძოდ, 1969 წლის გამოფენა ლუერის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმის მარსანის გალერეაში. ეს იყო კიდევ ერთი ტრიუმფი ნიკალას აღიარების წინააღმდეგობებით აღსავსე დიდ გზაზე...

...დაიხ, 1969 წლის გაზაფხულზე ფეხი აიდგეს ნ. ფიროსმანის ორთაგანის ტურფებმა, მოქიეფე დარდიმან-

დებმა, ყარაიხელებმა, თავადებმა, კინტოებმა, თმაბურტენულმა მუქოვემ და პარიზს გააცნეს ძველი თბილისის ბოჰემა...

...ფეხი აიდგა „აქტრისა მარგარიტამაც“ და პარიზამდე ჩაიტანა ალალ-მართალი ნიკალას უღებლო სიყვარულის ამბავი.

მათ მხარე აუბა ბრძენისთვალემა პირუტყვთსაფარომ და ყველამ, ყველამ ერთად შეაბრძანა ნიკალა პარიზის დიდებულ ტაძარში. დონეს არ იკითხავთ? 1969 წლის 8 მარტს გამოფენა გაიხსნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიშელ დებრეს, საფრანგეთის კულტურის მინისტრის, გამოჩენილი მწერლის ანდრე მალროს, ხოლო საქართველოს მხრიდან მხატვართა კავშირის თავმჯდომარის ზურაბ ლეჟავას მონაწილეობით. სამწუხაროდ, საქართველოს კულტურის მინისტრი ბ-ნი ოთარ თაქთაქიშვილი, რომელმაც დიდი ენერგია შეაღია ფიროსმანის გამოფენის მოწყობას პარიზში, დაკავებული აღმოჩნდა და ვერ დაესწრო გამოფენის გახსნას.

ექსპოზიციის მხსველთ თავად აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და მხატვარი გიორგი მაქაყარიანი აცნობდნენ ფიროსმანის შემოქმედებას და მოხდა საოცარი რამ: ექსპოზიციას, მის ერთ-ერთ გამორჩეულ ექსპონატს, რომელსაც ფიროსმანმა „აქტრისა მარგარიტა“ დაარქვა, თავად მარგარიტა დე სევრი გამოეცხადა ორი მანდილოსნის თანხლებით... და იდგა თურქე ის ერთხანს მღუმარე მისი ფიგურული კომპოზიციის წინ. შემდეგ ბატონ შალვასთვის მოუხსენებია, რომ მას მარგარიტა ჰქვია და თბილისშია ნამყოფი. თან საჭიროდ ჩაუთვლია ეთქვა ეს ფრაზაც – „არ იფიქროთ, თითქოს ფიროსმანი მარგარიტას ქარაფმუტულად ექცეოდა, მას მარგარიტა რანდულად უყვარდაო“.







ვერაფერს მოგახსენებთ, ვერც მის და ვერც ამ მოვლენის დამსწრეთა ემოციებზე. შემძლია მხოლოდ პროფესორ **ჯუანშერ ამირანაშვილის** კეთილი ნებით აკადემიკოს **შალვა ამირანაშვილის** ოჯახამდე მოღწეული ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტო შემოგვაგზავნა; იგი, ბატონ **ჯ. ამირანაშვილის** ცნობით, **მარგარიტა დე სევერის** მეგობარს, პროფესიონალ ფოტოგრაფს **ელენ ადანტს** გადაუღია, უთუოდ სათანადო ნებართვით (სხვაგვარად ლუერში ფოტოაპარატით ერთი კადრის დაფიქსირებაც გამორიცხებულია. ფოტო და კინო აპარატურას გარღვეობშივე ვვატოვებინებდნენ).

ფიროსმანის გამოფენამ ლუერში კვალიფიციურ მკვლევართა, პროფესიონალთა შეფასებებმა თავისი სიტყვა თქვა ნიკალას საყოველთაო აღიარების საქმეში. მართლაც, ვინ არ ნახა, ვინ არ თქვა სიტყვა მის სადიდებლად. პარიზს სამხრეთ საფრანგეთიდან ჩამოვიდა გამოჩენილი ფრანგი მხატვრის, ფიროსმანის თავყანისმცემლის, ფერნან ლეჟეს მეუღლე — **ნადეჟდა დეჟე**. იქვე იყვნენ ემიგრანტი ქართველი მხატვრები — **ვერა ფადევა**, **ფელიქს ვარლამიშვილი**, **ჟურნალისტი კალისტრატე სალია** და სხვ. აქტიურობდნენ **ელზა ტრიოლე** და **ლუი არაგონი**, რომელმაც გამოფენის გახსნის წინა დღეს (1969 წ. 5 მარტს) გამოაქვეყნა წერილი ფიროსმანზე და გამოფენას წარმატება უსურვა.

თუ გამოჩენილმა მწერალმა, იმხანად საფრანგეთის კულტურის მინისტრმა, ანდრე მალრომ უმაღლესი შეფასება მისცა ფიროსმანის ხელოვნებას და მას ადგილი მსოფლიო ხელოვნების საგანძურში მიუჩინა, ბევრმა ის იტალიური რენესანსის ფუძემდებელს, ჯოტოს შეადარა. იმ დღეებში საფრანგეთის პრესამ არა ერთხელ მოიხსენია ფიროსმანი, როგორც „ჭეშმარიტი გენიოსი მხატვარი“, ხოლო XX საუკუ-

ნის ლეგენდამ — **პაბლო პიკასომ** — ხომ მისი წარმოსახვით შექმნილი ნიკალას პორტრეტიც შემოგვაგზავნა, რომლის ფოტოსასლაც აქვე ვთავაზობთ ბატონ ალ. ჩხეიძის ხელშეწყობით.

დაიხ, დიდი წარმატება ხვდა ნიკალას ლუერში. როგორც აკადემიკოს **ვანტანგ ბერიძე** წერს: „50-იანი წლები დასაწყისიდან ფიროსმანი კვლავ სრული ძალით „აუღვრდა“. მისი სახელი და პოპულარობა საკვირველი სისწრაფით იზრდებოდა არამარტო საქართველოში, არამედ მიუღ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც...“

...თუმცა პროფესიული მოზადება არ გაუვლია, ნ. ფიროსმანი მანც მხატვარი პროფესიონალი იყო... მისი ცხოვრების აზრს მუდამ შეადგენდა მხოლოდ მხატვრობა, რომელიც გატაცებით უყვარდა და რომელსაც მოუძღვნა მთელი თავისი სასიცოცხლო ძალები“ და „ფიროსმანმა საკუთარი სამყარო შექმნა, ამიტომაც, რომ თუმცა მძიმე, ვაჭირვებით სავსე ცხოვრება ჰქონდა, შთამომავლობის თვალში იგი მანც ფიროსმანი, როგორც განსახიერება მხატვრისა, რომელმაც დასახულ მიზანს მიაღწია“.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარა აკადემიკოს ვანტანგ ბერიძის ამ სტრიქონებმა; დაიხ, ჩვენი თაობა მოესწრო ნ. ფიროსმანაშვილის აღიარებას პროფესიონალ მხატვრად ისეთი ავტორიტეტისაგან, როგორიც ბატონი ვანტანგ ბერიძე იყო. თუმცაღა ვერც იმას გავტყვევით ვერსად და ვერ უარყოფთ, რომ მის შემოქმედებას მკაფიოდ ატყვევია ის ბეჭედი, რაც ასე გამოარჩევს ყველა თვითნასწავლი, პროფესიულ განათლებას მოკლებული მხატვრის შემოქმედებას პროფესიონალ ხელოვანთა მხატვრობისაგან. და ამ პროფესიულ განათლებას მოკლებულ მხატვართა შორის, რომელთაც თითქმის იმდენი სახელი

აქეთ, რამდენიც ქვეყანაა\*, ერთ-ერთი გამორჩეული, ღირსეული ადგილი ძველი თბილისის ბოკემის მხატვარს უჭირავს.

90 წელი გავიდა ნიკოლას გარდაცვალებიდან. ქართველი ერი, რომელმაც არც იცის, სადაა მისი საფლავი, ახლა ინტერესით ადევნებს თვალს ყველაფერს, რაც კი მის სახელს უკავშირდება:

ახლა თბილისში ერთ ქუჩას რომ ნიკო ფიროსმანის სახელი ჰქვია, მეორე ქუჩაზე მისი ძველი დგას, მესამეზე მისი მეზუზე გარინდებულა; ხელოვნების მუზეუმში რომ მის ნამუშევრებს ცალკე დარბაზი აქვს გამოყოფილი, მის მშობლიურ მირზანში მემორიალური მუზეუმი ფუნქციონირებს და მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული ვითარებისა, სიღნაღშიც გაიხსნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ნიკო ფიროსმანის მუზეუმი.

თუ **ოთარ ფირალიშვილის** და **ერასტ კუზნეცოვის** სერიოზულ ნაშრომებს დიდი ხანია იცნობს ქართველი და რუსი მკითხველი, ახლა ბრეტანის და ლუარისპარეის აკადემიის წევრმა **გასტონ ბუაჩიძემ** ფრანგ მკითხველებს დაწვრილებით გააცნო ნიკო ფიროსმანის წიგნებით „ირმის განავარდება“ და

„ყვავილები მარგარიტასთვის“. ახლახან გამოვიდა აკადემიკოს **ვ. ბერიძის** ფრიად საყურადღებო ორენოვანი ნაშრომი „ნიკო ფიროსმანი“.


ქართველი მკითხველი აქამდე მოთმინებით ელოდება სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, აწ განსვენებული მხატვრის **თენგიზ მირზაშვილის** ათეული წლობით ნაღვაწ „ფიროსმანიანას“ ორტომეულს, რომელიც გამოსაცემად მოაშადა პროფესორმა **ირინე აბესაძემ**. ის გაწეული რთული და სერიოზული მუშაობისათვის დიდ მადლობას იმსახურებს.

სულ ახლახან, 2008 წლის ოქტომბერში, გერმანიის საელჩოში ქარვასლაში შემოგვთავაზა გამოფენა „**ნი. ფიროსმანი და თანამედროვე მხატვრობა**“, მრავალმხრივ საინტერესო და მრავლისმეტყველმა ამ გამოფენამ ერთხელ კიდევ წარმოაჩინა ფიროსმანის გენიალობა.

ღიახ, იმკის, იმკის და იმკის ნიკოლა იმ სახელსა და დიდებას, რაც სიცოცხლეში დააკლდა... თან ელოდება მორიგ „უკაიაკებს“, რომ სახელი და დიდება შემატოს თავის სამშობლოს.

\* ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში მათ „პრიმიტივისტებად“, შვეიცარიაში „საკვირაო ფერწერის“, გერმანიაში „უბრალო, ალალი გულის“, საფრანგეთში „უანრული ფერწერის ხალხურ ოსტატებად“ მოიხსენიებენ.





იური სტამატელი

სატირული გრაფიკა


იური სტამატელი პროფესიით ფიზიკოსია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. ასწავლიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხელმძღვანელობდა რენტგენოსტრუქტურული ანალიზის რესპუბლიკურ ცენტრს.

ბავშვობიდან იტაცებდა ხატვა. იგი გროტესკული გრაფიკის ოსტატი. მისი გამოფენები საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც ხელოვნების მოყვარულთა და პროფესიონალ ხელოვანთა აღტაცებას იწვევს.

1982 წელს, იური სტამატელის ნამუშევრების გამოფენის გახსნისას, რომელიც გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო, გივლა ფირცხალავამ, ცნობილმა სატირიკოსმა მხატვარმა, ბრძანა:

„ჩვენმა ეპოქამ შვა ფრაზა: „ფიზიკოსები და ლირიკოსები“. მე მთელი სულითა გულით მივესალმები, როცა ფიზიკოსები ხელოვნების სამსახურში დგებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ მოთხოვნილება ამ ფორმითაც გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება სამყაროსადმი. ყოველ ადამიანში ცხვრობს მხატვარი. იური სტამატელის ნამუშევართა გამოფენას იმის გამოც მივესალმები, რომ იგი პროფესიონალურად მოღვაწეობს გრაფიკის დარგში – მისი შტრიხი ლამაზი და დახვეწილია, ნახატი – ლაკონიური“ („ვეჯერნი ტბილისი“, 20. 03. 1982).

გთავაზობთ ბატონი იურის რამდენიმე ნამუშევარს ციკლიდან „წიგნის მოყვარულები“.



1362  
ი.სტამატელი




**შთაბამილმებათა  
წიგნიდან:**

გამოფენა აშკარად საინტერესო თავისი ფორმით და ფილოსოფიური სიღრმით, მოულოდნელობით. თავისთავადია ავტორის მხატვრული ხედეა, აზროვნება. უსათუოდ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი: გამოფენა იმდენად მთლიანია სტილისტურად, რომ ძნელად ვიჯერებთ – ყველაფერი, რაც უნახეთ, არაპროფესიონალის „ჰობია“.

**ელგუჯა ამაშუკელი.**

აღსანიშნავია, რომ ყოველ ნამუშევარში დიდი საშემსრულებლო ხელოვნების გარდა ჩაქსოვილია ღრმა ფილოსოფიური აზრი. ყოველი ნახატი მოითხოვს დაფიქრებას, და ეს არის მისი ღირსების ინდივიდუალობა. შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ ჩემს იური სტამატელს.

**ა. ჯავახიშვილი.**



...ჩემთვის ეს აღმოჩენა გახლავთ. თქვენი პროფესიონალობა, როგორც ფიზიკოსისა, ჩემთვის ცნობილია, მაგრამ ეგ ზომი პროფესიონალიზმი როგორც მხატვრისა წარმოდგენილიც კი გახლდათ ჩემთვის. გმადლობთ!

**ლადო ტოგონიძე.**

კოლეგა, დიდი მადლობა ასეთი საინტერესო და ლამაზი გამოფენისათვის. გისურვებ წარმატებებს.

**ვიგლა ფირცხალავა.**



დიდი სიამოვნებით დავათვალიერე იური სტამატელის გამოფენა. ყოველმხრივ მომხიბლა მისმა გრაფიკამ — აზრის სიღრმით, კეთილშობილებით, გონებაამაზვილური მიგნებებით და, რაც მთავარია, პროფესიონალური ღონით. დღევანდელმა დღემ იგი ჩემი საყვარელი ქართველი მხატვრების რიგში ჩააყენა.

**ბესიკ ხარანაული.**

ბატონო იური! გმადლობთ იმ უდიდესი სიამოვნებისთვის, რომელიც თქვენმა ჭეშმარიტად ნიჭიერმა გამოფენამ მოგვანიჭა. გაუმარჯოს თქვენს მდიდარ ფანტაზიას, დიდ ნიჭსა და ოსტატობას.

**ევგენი ჯეირანაშვილი.**






ღ

ჩემო იურა, გილოცავ ამ შესანიშნავ გამოფენას. აღტაცებული ვარ აზროვნების სიღრმითა და ორიგინალურობით, მხატვრული ხედვის სიმძაფრით. შენი ნამუშევრები დიდ გასაქანს აძლევს ყოველი კონკრეტული ადამიანის ტვინს, იკვლიოს და იფიქროს კიდევ დიდხანს, სავამოფენო დარბაზიდან გასვლის შემდეგ.

პატივისცემით და მაღლივრებით,

ვახტანგ დავითაია.




IN QUO TOTUM CONTINETUR UNDE MUNDUS JUDICETUR

ნიგნები

„არტანუჯი“ ბთაშავოზი

აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ აფხაზურად

АКАКИ ЦЕРЕТЕЛИ ИПОЕМА «АБАЗЗЕИ»



ნიგნში შესულია აკაკი წერეთლის კლასიკური პოემის, „გამზრდელი“, ქართული ტექსტი დიმიტრი გულიას მიერ შესრულებული აფხაზური თარგმანიტურთ. ამ თარგმანმა აფხაზი ხალხის დიდი მოწონება დაიმსახურა და ის დღესაც შედის აფხაზური სკოლის პროგრამაში.

ამ ნიგნით ეყრება საფუძველი ახალი სერიის – „ქართულ-აფხაზურ ლინგვოკულტურულ ურთი-

ერთობათა ისტორიის“ გამოცემას, რომელიც დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქციას შეასრულებს და უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის იქნება გამიზნული.

ნიგნი გამოცემად მოამზადა, წინასიტყვაობა დაურთო და აფხაზურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი შეადგინა თეიმურაზ გვანცელაძემ.




თია კალანდია

ლაზური ტექსტები

ნიგნში წარმოდგენილი ხოფური კილოკავის ლაზური ტექსტები 2005 წელსაა შეგროვებული სოფელ სარფის – საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი ერთადერთი ლაზური სოფლის – მცხოვრებთაგან. ტექსტურ მასალას თან უწარმოდგენილი თარგმანი ახლავს და მრავალფეროვანი და საინტერესო თემატიკით გამოირჩევა. აქ გა-

ეცნობით ლაზთა ადათ-წესებს, მათ მოგონებებს, ხალხურ სიბრძნეს – ანდაზებს, გამოცანებს, ლაზურ იუმორს, ლაზური ტრადიციული კერძების მომზადების წესებს. ტიპური ლაზური ზღაპრების გვერდით შეხვდებით თანამედროვე ლაზ ავტორთა პოეტურ შემოქმედებასაც.



სოლომონ ასლანიშვილი-გაპრალი

წერილები „ოსმალის საქართველოზე“

ქართველი მაჰმადიანების ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სოლომონ ასლანიშვილ-გაპრელს. მისი ნაშრომები, რომლებშიც იგი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგის მესხეთის ისტორიას შეისწავლის, „დროებასა“ და „ივერიაში“ იბეჭდებოდა. დღემდე მისი პუბლიკაციები ბიბ-

ლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული.

ნიგნში მოთხრობილია როგორც უშუალოდ მაჰმადიანი ქართველების ცხოვრებისა და მესხეთის იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ, ასევე თავად სოლომონ ასლანიშვილ-გაპრელის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი ამბებიც.




# „ინტელექტი“ გთავაზობთ

## რუსულ-ქართული სასკოლო ლექსიკონი

აკადემიკოსების ვარლამ თოფურიასა და სიმონ ყაუხჩიშვილის სასკოლო „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ ბოლო გამოცემის შემდეგ თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო. პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური ძვრების გამო სოციალიზმისდროინდელი საზოგადოებრივი ლექსიკაც თითქმის მთლიანად განიდევნა ენიდან. ამიტომ ლექსიკონის ახალი გამოცემისათვის აუცილებე-

ლი გახდა სიტყვანის სათანადო გაცხრილვა-გადამუშავება, რის შედეგადაც ერთი მხრივ ლექსიკონიდან ამოღებულია ის სალექსიკონო ერთეულები, რომლებმაც ახალ ვითარებაში აქტუალურობა დაკარგეს, ხოლო მეორე მხრივ იგი ახალი სიტყვებით შეივსო. გამოცემის რედაქტორები **ალექსანდრე კობახიძე** და **გია გელაშვილი** არიან.



## 100 ლექსი

გამომცემლობა „ინტელექტმა“ პროექტით „100 ლექსი“ უკვე 40-მდე ქართველი პოეტის რჩეული კრებული გამოცა. ბოლო ხუთ ახალ გამოცემაში შეგიძლიათ ტარული **ჭანტურიას, რეზო ამამუკელის, მანანა ჩიტიშვილის, გენო კალანდიას** და ვიქ-

ტორ **გაბესკირიას** ლექსები იხილოთ. პირველი სამის შემდგენლები თავად პოეტები არიან, ვიქტორ გაბესკირიას ლექსები ციცი **გაბესკირიამ** და **რევაზ კვესელავამ** შეარჩიეს, გენო კალანდიას კრებულის შემდგენელი კი **რენე კალანდია** გახლათ.




## იმრა კერტეზი

კადიში არდაბადებულ ბავშვზე

იმრე კერტესის „კადიში არდაბადებულ ბავშვზე“ „ნობელის პრემიის ლაურეატების“ სერიის ერთ-ერთი ბოლო გამოცემაა. ებრაული წარმოშობის ეს უნგრელი მწერალი საქართველოში პირველად ითარგმნა. სულ პატარა იყო, საკონცენტრაციო ბანაკში რომ მოხვდა. მისი ოჯახის წევრები ნაცისტებმა გაზის კამერაში გამოასალმეს სიცოცხლეს. იმრე კერტესი 2002 წლის ნობელის პრემიის ლაურეატია.

გამორჩეულია იმით, რომ გასაოცარი სითამამით წერს პოლოკოსტზე, ტოტალიტარულ რეჟიმზე და ნაცისტურ იმპერიაზე. ამ მოთხრობაში ვეცნობით მამას, რომელსაც არ სურს შეეძინოს შვილი, ვინაიდან არ უნდა მისმა შთამომავალმაც ინვინოს ის სიმწარე, რაც იმ ეპოქის ადამიანთა ხვედრი იყო. ნიგვს ერთვის იმრე კერტესის მიერ სტოკჰოლმში ნაკითხული ლექტეიც სახელწოდებით „ეგრიკა“.





0 43 / 32

**საგამომცემლო ჯგუფი**

ნესტან ბაგაური  
ეთერ კვანჭიანი  
ვლადიმერ პერანიძე  
ვიოლა ტულუში  
მარტა ნიკლაური  
ალექსანდრე ჯიქურიძე



**ბაიოცეფალია ინტელექტი**

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ

25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54

ფაქსი: 25-05-22, 91-22-83

[www.intelekti.ge](http://www.intelekti.ge) [info@intelekti.ge](mailto:info@intelekti.ge)

რედაქტორი: 8(99) 90-37-22

3-

F255  
საერთაშორისო  
სტატისტიკა  
2009

 ბანკი რესპუბლიკა  
BANK REPUBLIC  
ჯგუფი სოსტოქს ეკონომიკა